პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 მარტი პარასკევი 2013
№055 (13 971) ფასი 80 თეთრი

## კიდევ ერთი ოსკარი მამუკა გორგოძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



12

## ხიზანიშვილი თოლუნაისთან, საქართველოსთან ახლოს... ტრაბზონში



თურქულ პრესაში ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ნაკრების 31 წლის მცველი ზურაბ ხიზანიშვილი კლუბს გამოიცვლის - „ქაისერისპორიდან“ გაცილებით უფრო ტიტულოვან „ტრაბზონსპორში“ გადავა. შეგახსენებთ, რომ ხიზანიშვილის ამჟამინდელ გუნდს შოთა არველაძე წვრთნიდა, ხოლო „ტრაბზონსპორში“ ის ლეგენდად არის მიჩნეული.
„ტრაბზონს“ ეთნიკურად ლაზი თოლუნაი კაფკაზი წვრთნის. თურქული სააგენტოები ჩვენებურის კომენტარსაც აქვეყნებენ, რომელშიც ზურაბი კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ საქართველოსთან ახლოს მოუწევს კარიერის გაგრძელება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## უეინ რუნი მანჩესტერს ემშვიდობება?

### ოსტატსა და შეგირდს შორის შავმა კატამ გაირბინა?




7

## დედამიწა TimeLine ზედხედში






16

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# ლევან კაკუბავა: ისევ დინამოში დავბრუნდები!

1 მარტს ცნობილი გახდა, რომ თბილისის "დინამომ" ლევან კაკუბავას მოქმედი კონტრაქტი გაუწყვიტა. კლუბის პრესსამსახურის ოფიციალურ განცხადებაში ეწერა, რომ ეს გადაწყვეტილება 22 წლის მცველისა და "დინამოს" ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდა.

"დინამოს" მთავარ მწვრთნელს დუშან უჰრინს მიზნად ჩემპიონობა დაუსახეს და ფეხბურთელებს ხელს ქართველი მწვრთნელებივით არ აფარებს. მისთვის სულერთია, მოთამაშე ადგილობრივია თუ უცხოელი, პერსპექტიული თუ უპერსპექტივო, მთავარია კონკრეტულ მომენტში გუნდს გამოადგეს.

ვერავინ გაამტყუნებს, უცხოელი ასეც უნდა მუშაობდეს. მაგრამ დასანანია, რომ წამყვანი კლუბის მილმა აღმოჩნდა ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მცველი, რომელიც "დინამოს" ძირითად გუნდში 2008 წლიდან, ანუ 17 წლის ასაკიდან თამაშობდა. იყო დრო, მწვრთნელთა ფავორიტიც გახლდათ, თამაშობდა საქართველოს ასაკობრივ, ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში – ამ უკანასკნელში ორი შეხვედრაც ჩაატარა.

თუმცა, 2011 წლის შემოდგომიდან, ფაქტობრივად, წელიწად-ნახევარი ტრავმების გამო გაუცდა, რაც გახდა კიდეც "დინამოდან" მისი წამოსვლის მიზეზი.



ლევან კაკუბავა იმედოვნებს, რომ დინამოსთვის გოლს კიდევ გაიტანს — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- "დინამოდან" შენი გაშვება მოულოდნელი იყო.**

- ობიექტურები თუ ვიქნებით, ვიტყვი, რომ ალბათ, ლოგიკური გადაწყვეტილება იყო.

**- რას გულისხმობ?**

- ფეხი მქონდა მოტეხილი, შემდეგ კი ფორმის აღდგენის გამო დუშან უჰრინს თავი ვერ მოვაწონე.

**- კონტრაქტის გაწყვეტა ვისი ინიციატივა იყო?**

- გუნდიდან წასვლა თავად ვითხოვე, რადგან ასეთ მდგომარეობაში ძირითადში მოხვედრის შანსი არ მქონდა.

**- ფეხბურთელები შენნაირად თვითკრიტიკულები იშვიათად არიან.**

- აბა, ჩემს ტრავმას და აღუდგენელ ფორმას "დინამოს" ხომ ვერ დავაბრალებ? ან გუნდზე აუგი როგორ უნდა ვთქვა, როდესაც 8 წელი თავს მევლებოდნენ და ყველანაირად გვერდში მედგნენ. "დინამოს", მისი ხელმძღვანელობისა და კლუბის ერთგული ფანკლუბის „გლადიატორების" მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

**- ფორმის აღდგენა რატომ ვერ მოახერხე?**

- წელიწადზე მეტი გამიცდა და დრო მჭირდებოდა. მაგრამ "დინამო" დიდი კლუბია და მოთამაშე სულ ფორმაში უნდა იყოს. თუმცა, კლუბი ამით დაინტერესებული იყო და ხელმძღვანელთა თანადგომას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდი.

სამწუხაროდ, არც ბოლოს გამიმართლა - თებერვლის დასაწყისშიც დავშავდი, მართალია, მიკროტრავმა იყო, მაგრამ გუნდს ასეთ მდგომარეობაში ვერ დავეხმარებოდი. ამაში ვერც "დინამოს" დავადანაშაულებ და ვერც უჰრინს. სამწუხაროდ, მასთან შესაძლებლობები ობიექტური მიზეზების გამო ვერ წარმოვაჩინე, ისიც არ მიცნობდა.

ან რა ნამუსით დავადანაშაულო "დინამო", ამ გუნდმა მომცა ყველაფერი – ზრდის და წინსვლის შანსი, ცნობადობა, სანაკრებო კარიერაც აქედან ავიწყვე. ამ ყველაფრისთვის ხაზის გადასმა უმადურობა იქნება. უბრალოდ, არის ზოგჯერ მომენტები, როდესაც ვერავის დაადანაშაულებ, ყველაფერი უიღბლობის გამო უფრო მოხდა.

თუმცა, იმედი მაქვს, რომ "დინამოში" მაინც დავბრუნდები და თანაც, კარგად. შეიძლება, ეს ამბავი ჩემთვის სასურველიც აღმოჩნდეს, ფეხბურთელს სტიმული სჭირდება და იმედია, "დინამოდან" წასვლა კი არ მაზარალებს, არამედ, ზრდის მეტ სტიმულს მომცემს. დამიჯერეთ, გუნდიდან დაბოღმილი არ წავსულვარ, პოზიტიურად ვარ განწყობილი და "დინამოს" წარმატებებს ვუსურვებ -- ბოლოს და ბოლოს, იქ ჩემი უახლოესი მეგობრები თამაშობენ.

**- ახლა სად ვარჯიშობ?**

- ტრავმა მოვირჩინე და ჯერ ინდივიდუალურად ვემზადები. მაგრამ მთელი დატვირთვით მზადება უკვე შემიძლია.

**- მართალია, თითქოს ბოლნისის "სიონში" გიწვევენ?**

- "სიონი" კარგი კლუბია, მაგრამ საწყენი არ უნდა იყოს, რომ ჩემპიონატის რომელიმე ლიდერ გუნდში მსურს გადასვლა.

**- ამბობენ, რომ ერთ-ერთი ასეთი ვარიანტი ქუთაისის "ტორპედოა".**

- ჯერ ქუთაისელებთან კონტრაქტზე არ მილაპარაკია.

**- მაგრამ მოლაპარაკება დაიწყე.**

- ჯერ ამ საკითხზე ლაპარაკი არ მსურს. თავისუფალი აგენტი გავხდი და ნებისმიერ დროს ნებისმიერ გუნდში ჩარიცხვის უფლება მაქვს. მთავარია, ფორმა დროულად აღვიდგინო.

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# ქართველებს სლომკა აქვირდებოდა



ლუკა ზარანდია (№7) — ფოტო: www.gff.ge

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდისთვის ემზადება, 6 მარტს გერმანიაში ადგილობრივ ნაკრებთან საკონტროლო მატჩი ჩაატარა და 1:4 დამარცხდა. ამის შესახებ "ლელოს" მკითხველი უკვე ინფორმირებულია, მაგრამ იმის გამო, რომ შეხვედრა გვიან ღამით დასრულდა, მის შესახებ მხოლოდ მწირი ინფორმაციის მოწოდება შევძელით.

როგორც სფფ-ის ვებგვერდი გვატყობინებს, შეხვედრა ქალაქ რედა ვიდენბრუკში, სტადიონ "ტიონის არენაზე" გაიმართა. მატჩმა ადგილობრივი მცხოვრებლების დიდი ინტერესი გამოიწვია და სტადიონის ტრიბუნები მთლიანად შეივსო. აღსანიშნავია, რომ ეს არენა "შალკეს" განკარგულებაშია, თამაშს კი არაერთი საპატიო სტუმარი და სკაუტი დაესწრო. შეხვედრას თვალი მიადევნა "ჰანოვერის" მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ**.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გერმანიაში გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** და ტექნიკური დირექტორი **ნიკოლოზ ჩხეიძე** წარმოადგენენ. მატჩს თვალი მიადევნა ჰოლანდიური "ვიტესის" პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამაც**.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ქართველებმა მეორე ტაიმში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს, საეჭვო იყო **გიორგი დევდარიანის** გუნდის კარში დანიშნული მეორე პენალტი, გოლების დიდი ნაწილი კი ქართველებმა დაცვაში დაშვებული შეცდომების გამო მიიღეს.

**ლუკა ზარანდიამ** გოლი ინდივიდუალური ოსტატობით გაიტანა – მან ჯერ მეტოქის რამდენიმე მცველი ჩამოიტოვა, შემდეგ კი მეკარესაც გასცდა.

**მატჩის სრული ოქმი ასეთია:**

**გერმანია–საქართველო 4:1**

**1:0 ვერნერი (10), 2:0 ვერნერი (33. პენ), 2:1 ზარანდია (45), 3:1 ფლიუკე (58), 4:1 ვალდშმიდტი (80)**

*77-ე წუთზე ვალდშმიდტმა ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი*

გერმანია: **ფანკი, ბერგერი, თიშგრაბერი, კერერი, ტაჰი, პრაისინგერი, მულტოპი, ოტსუნალი, ვერნერი, ავდიჯა, ბრანდტი.**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***ჰუსიჩი, ტიკვიჩი, კრანიტსი, დრაგონი, ჰოფგარტნერი, პარკერი, ფლიუკე, ბოდენრიოდერი, ვალდშმიდტი, სულეიმანი, კლოსტერმანი.***

მწვრთნელი: **შტეფან ბიოგერი**

საქართველო: **გოშაძე, შულაია, მარგველაშვილი, ტაბიძე, თევზაძე, პატარკაციშვილი, გოროზია, ხარაიშვილი, კერძევაძე, ზარანდია, რ. ჭანტურია**

*შეცვლაზე შევიდნენ:* **ბერიძე, რუხაძე**

მწვრთნელი: **გიორგი დევდარიანი**

მსაჯი: **დასტინ სიკორსკი** (გერმანია)

ჩვენი 17-წლამდელები ჰოლანდიაში გაემგზავრნენ, სადაც მორიგ ტესტმატჩს „ვიტესის" ასაკობრივ გუნდთან ჩაატარებენ ითამაშებენ. დევდარიანის გუნდი სამშობლოში 10 მარტს დაბრუნდება და შეკრებას თბილისში გააგრძელებს.

შეგახსენებთ, ელიტრაუნდი 25 მარტს დაიწყება და საქართველოს ნაკრების მეტოქეები სერბეთი, ირლანდია და ავსტრია იქნებიან. ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გავა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

პირველი ლიგა. XVIII ტური

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჭიათურა – გურია | 0:1 |
| გაგრა – მეშახტე | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 18 | 15 | 2 | 1 | 50-12 | 47 |
| 2. სასკო | 18 | 14 | 1 | 3 | 58-18 | 43 |
| 3. გაგრა | 18 | 12 | 1 | 5 | 36-17 | 37 |
| 4. დინამო 2 | 18 | 11 | 3 | 4 | 60-30 | 36 |
| 5. ბეთლემი | 18 | 8 | 2 | 8 | 25-34 | 26 |
| 6. სტუ | 18 | 7 | 1 | 10 | 38-49 | 22 |
| 7. იმერეთი | 18 | 6 | 4 | 8 | 18-24 | 22 |
| 8. მეშახტე | 18 | 6 | 3 | 9 | 22-44 | 21 |
| 9. სძური | 18 | 5 | 6 | 7 | 18-28 | 21 |
| 10. ჭიათურა | 18 | 4 | 3 | 11 | 17-32 | 15 |
| 11. სულორი | 18 | 3 | 2 | 13 | 15-46 | 11 |
| 12. რაჭა | 18 | 2 | 2 | 14 | 17-40 | 8 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ადელი – ლიახვი | 2:1 |
| სამტრედია – ზოოვეტი | 3:1 |
| ჩხერიმელა – სპარტაკი | 0:4 |
| კოლხეთი (ხ) – შუქურა | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 17 | 15 | 1 | 1 | 46-8 | 46 |
| 2. კოლხეთი (ხბ) | 16 | 11 | 1 | 4 | 24-16 | 34 |
| 3. შუქურა | 17 | 10 | 3 | 4 | 29-12 | 33 |
| 4. ლოკომოტივი | 17 | 9 | 3 | 5 | 44-22 | 30 |
| 5. სამტრედია | 16 | 8 | 2 | 6 | 23-21 | 26 |
| 6. სამგურალი | 16 | 6 | 5 | 5 | 34-26 | 23 |
| 7. ზოოვეტი | 16 | 6 | 3 | 7 | 22-25 | 21 |
| 8. მერცხალი | 16 | 3 | 6 | 7 | 22-25 | 15 |
| 9. ლიახვი | 17 | 3 | 4 | 10 | 16-36 | 13 |
| 10. ადელი | 16 | 3 | 0 | 13 | 20-48 | 9 |
| 11. ჩხერიმელა | 16 | 2 | 0 | 14 | 14-55 | 6 |

სავარაუდო ტრანსფერი

# ლაშა დვალი: ამის შემდეგ რედინგში



ლაშა დვალი

**ლაშა დვალმა** რიგის "სკონტოში" პირველი გოლი გაიტანა. ეს თურქულ შეკრებაზე მოხდა – ლატვიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი საკონტროლო შეხვედრაში ყაზახურ "ასტანას" დაუპირისპირდა.

თავიდან ლატვიელები დაწინაურდნენ, მაგრამ ყაზახებმა ანგარიში გაათანაბრეს. დვალმა სწორედ ამ დროს გაიტანა, "სკონტომ" ანგარიში წაიყვანა (2:1) და მერე ლატვიელებმა სულ გაილაღეს - 4:1.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მცველმა, რომელიც ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანია, შეუცვლელად ითამაშა. მოედანზე შეცვლაზე გამოჩნდა **ლადო დათუნაშვილიც**.

დვალი "რედინგის" ინტერესის სფეროშია, მაგრამ ინგლისური კლუბი კონტრაქტს ვერ უფორმებდა და ამიტომ ლატვიურ კლუბში გაუშვა. თუმცა, 18 წლის ქართველის განაცხადში შეყვანას ჯერ რიგელებიც ვერ ახერხებენ, რაზეც "ლელო" უკვე წერდა - ფინანსური პრობლემების გამო, "სკონტო" ლატვიის ფედერაციისგან ლიცენზირების სერტიფიკატს ვერ იღებს და გამომდინარე აქედან, ვერც ტრანსფერებს არეგისტრირებს.

თუმცა, დვალი ამბობს, რომ ამ პრობლემას მალე მოევლება: *"გუნდის ხელმძღვანელობა ფინანსურ პრობლემებს აგვარებს. ამის შემდეგ გამიკეთებენ საცხოვრებელ და სამუშაო პასპორტს, კონტრაქტის გაფორმების უფლებას მივიღებ და ჩემპიონატის დაწყებამდე ოფიციალურად დამარეგისტრირებენ. უკვე ერთი თვეა, რაც გუნდთან ერთად ვემზადები – ჯერ რიგაში, ახლა თურქეთში და ვარჯიშებით ძალიან კმაყოფილი ვარ. სერიოზული დატვირთვებია, ძალიან ბევრს გვარბენინებენ - მოსამზადებელ ეტაპზე ეს ბუნებრივიც არის. მეორე მომენტია - აქამდე ასაკობრივ გუნდებში ვთამაშობდი და დიდებთან პირველად ვემზადები. დიდებში გადასვლა თავიდან ძნელი იყო, მაგრამ ყველაფერს შევეჩვიე. გამიმართლა, რომ თამაზ პერტიასთან მოვხვდი. მოედანზე მკაცრი მწვრთნელია, მოედნის გარეთ – მეგობრული პიროვნებაა, ფეხბურთელთან მიდგომა არ ეშლება. მიხარია, რომ "ასტანას" გავუტანე. თამაზ პერტია ძირითად შემადგენლობაში მათამაშებს და ყოველთვის სასიამოვნოა, როდესაც მწვრთნელს იმედს უმართლებ".*

და ყველაზე საინტერესო სიახლე: დვალი დააიმედეს, რომ "სკონტოში" ჩარიცხვის შემდეგ, ხელშეკრულებას ინგლისური პრემიერლიგის "რედინგთან" გააფორმებს: *"ინგლისელები ელიან, როდის მიიღებს "სკონტო" ლიცენზიას, მე კი ევროკავშირის ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის უფლებას და ამის შემდეგ კონტრაქტს გამიფორმებენ. წინასწარი შეთანხმებით, 4-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდება, საიდანაც ერთი წელი რიგაში ვიქნები, დანარჩენი სამი წელი კი - "რედინგში". ყოველ შემთხვევაში, იმას გეუბნებით, რაც მითხრეს".*

შეგახსენებთ, რომ "სკონტოში" კიდევ 2 ქართველია: 19 წლის **ლევან ჭაჭიაშვილი** და 26 წლის მარჯვენა მცველი ლადო დათუნაშვილი. დვალის თქმით, ეს უკანასკნელიც კონტრაქტს იმავე პრობლემის გამო ვერ აწერს ხელს თუმცა მისი საკითხიც გადაწყვეტილია.

**მერაბ მამულაშვილი**

● პორტრეტი


ლუკა რაზმაძე (მარჯვნივ)

# გადამწყვეტი გოლის გამოცდილი ოსტატი

## იყო კუპერი, ახლა რუსთავის ჯერია

გამოცდილ ფეხბურთელს თითქოს მიხრა-მოხრაზე ეტყობა, რომ ბევრი უნახავს, ბევრჯერ დახმარებია გუნდს გადამწყვეტ მომენტში და ბევრი ისეთი რამ იცის, რასაც საჯაროდ არ იტყვის.

რუსთავის „მეტალურგს" ჰყავს რამდენიმე ასეთი მოთამაშე. ერთ-ერთი მათგანი 29 წლის **ლუკა რაზმაძე** გახლავთ.

რაზმაძე „ვიტ ჯორჯიაში" ჩამოყალიბდა საქართველოს ჩემპიონატის კარგ ფეხბურთელად. ის არ არის გამორჩეული დრიბლიორი ან საგოლე პასის შემსრულებელი, მან, პირველ რიგში, შრომის და მონდომების ხარჯზე შექმნა საკუთარი თავი.

რაზმაძე ალღოიანი ფეხბურთელია, ამას ბევრი ვარჯიშით ვერ გამოიმუშავებ, ეს ან გაქვს, ან არ გაქვს.

საქართველოს თასის მიმდინარე გათამაშების მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში „მეტალურგმა" რაზმაძის პენალტით დაამარცხა ბათუმის „დინამო" 1:0 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც რუსთაველთა მეტოქე ცხინვალის „სპარტაკი" იქნება.

რაზმაძეს სხვა ბევრი ძალიან საჭირო გოლიც აქვს გატანილი, ის საყრდენი ნახევარმცველია, თუმცა გადამწყვეტი ბურთის შეგდება ყოველთვის ითვლებოდა მის ხელობად. ლუკას გადამწყვეტი გოლი ევროსარბიელზეც გაუტანია ტრნავის „სპარტაკთან"...

მახსოვს, ერთხელ **დიდიე ოვონოს** გაუტანა გოლი, ის გადამწყვეტი შეხვედრა იყო. „დინამოს" მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, მატჩი კი 1:1 დასრულდა, ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" გახდა.

მიმდინარე სეზონში კი რაზმაძის „მეტალურგი" ზედა ექვსეულში ვერ მოხვდა, ქვედა ექვსეულში პირველ ადგილზეა, უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ ემუქრება და ევროსაგზურის მოპოვებას თასის გათამაშებიდან აპირებს.

„ზედა ექვსეულში რომ ვერ მოვხვდით, ამას უფრო უიღბლობას ვაბრალებ. არის ხოლმე ისეთი პერიოდი, როცა არ წაგივა თამაში, როცა არ გიმართლებს და ასე დაგვემართა ჩვენც" - გვითხრა რაზმაძემ.

ამ სეზონის პირველი ეტაპი ჯერ დამთავრებული არ იყო, „მეტალურგში" მწვრთნელი რომ შეიცვალა - **კობა ჟორჟიკაშვილის** ადგილი **გიორგი ყიფიანმა** დაიკავა. რაზმაძე ამბობს, რომ ყიფიანს თავისი ხედვა აქვს, ყველაფერი კარგად მიდის, ერთ მუშტად შეკრული გუნდი ვართო.

შესაძლოა, ლუკა „მეტალურგში" ისე ეფექტურად ვერ თამაშობს, როგორც „ვიტ ჯორჯიაში", მაგრამ თავის საქმეს მაინც რიგიანად აკეთებს.

*„ხუთი წელი ვითამაშე „ვიტ ჯორჯიაში", სადაც ფეხბურთელები და მწვრთნელები ერთი ოჯახივით ვიყავით. რუსთავულ გუნდში უკვე ორია წელია ვთამაშობ, აქაც კარგად ვგრძნობ თავს, ხოლო მოედანზე როგორ გამოვიყურები, ამაზე ლაპარაკს მოვერიდები, ეს გულშემატკივრებმა უნდა შეაფასონ"* - გვითხრა რაზმაძემ.

...პირობები ბევრს ნიშნავს, ეს მხოლოდ ხელფასსა და პრემიას არ გულისხმობს, როცა გუნდს აქვს საკუთარი ბაზა რამდენიმე მოედნით, საძინებლებით, სარეაბილიტაციო საშუალებებით, სატრენაჟორო დარბაზით, ამ გუნდს დიდ უპირატესობას უქმნის იმ მეტოქეებთან, ასეთი პირობები რომ არ გააჩნიათ. 2008/09 წლების სეზონში „ვიტ ჯორჯია" მცხეთაში ვარჯიშობდა, საშინაო შეხვედრებს კი გორში ატარებდა, ფაქტობრივად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, თუმცა მაინც მოახერხა ჩემპიონობა „დინამოსთან" დაპირისპირებაში. როგორ შეიძლება ასეთი უპირატესობის დაძლევა? ლუკასგან ასეთი განმარტება მივიღეთ: *„იმ საჩემპიონო სეზონამდე რამაზ მუმლაძე უკვე სამი წელი წვრთნიდა „ვიტ ჯორჯიას", ეს კი ცოტა არ არის, უცბად არაფერი მოდის, გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. „ვიტ ჯორჯია" მაშინ ძალიან კარგად შეთამაშებული გუნდი ვიყავით, ანაზღაურებაც ნორმალური გვქონდა და ყველაფერი გამოგვივიდა. ფეხბურთში ხდება ხოლმე, რომ უკეთესი პირობების მქონე გუნდს ზოგჯერ სხვა სჯობნის".*

რაზმაძემ ისიც გვითხრა, რომ „მეტალურგი" საკმოდ გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და, პირველ რიგში, სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს ამ გუნდის ძალასო. ლუკამ ისიც აღნიშნა, რომ „მეტალურგი" კარგად მოემზადა სეზონის განახლებისთვის, თურქულ შეკრებაზეც იყო და გუნდს შეთამაშებაც არ დაეწუნება.

ვიტჯორჯიელობის დროს რაზმაძეს **ექტორ კუპერი** ეროვნულ ნაკრებში ათამაშებდა. ბულგარეთს თბილისში 0:0 რომ ვეთამაშეთ, კუპერმა პრესკონფერენციაზე ისიც კი თქვა, ეს შეხვედრა რაზმაძემ უმაღლეს დონეზე ჩაატარაო.

*„კუპერი ყოველთვის კმაყოფილი იყო ჩემი გარჯით, ყოველ შემთხვევაში, სამდურავი არასდროს უთქვამს. ზუსტად ვერ გეტყვით, კუპერის ხელში რატომ ვერ მოვახერხეთ ერთი თამაშის მოგება მაინც შესარჩევში, არადა ცოტა საგოლე მომენტს ნამდვილად არ ვქმნიდით, ალბათ აქაც უიღბლობასთან გვქონდა საქმე".*

სეზონი უკვე განახლდა, ხვალიდან ჩემპიონატიც დაიქოქება, „მეტალურგის" პრიორიტეტი თასი იქნება, თუმცა რაზმაძე ამბობს, რომ ქვედა ექვსეულშიც მართებთ თავის გამოდება, თუნდაც იმისთვის, რომ დამდეგი სეზონისთვის აქედანვე დაიწყოს საფუძვლის შექმნა.

**დავით თავართქილაძე**

● სავარაუდო ტრანსფერი

# კვარაცხელიამ მეტალურგში უკვე ივარჯიშა

თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, რუსთავის „მეტალურგს" კიდევ ერთი კვალიფიციური ფეხბურთელი დაემატება - 24 წლის თავდამსხმელი **ვახტანგ კვარაცხელია.**

ამ ფორვარდმა გუშინ უკვე ივარჯიშა „მეტალურგში", თუმცა საქმე ბოლომდე ჯერ არ არის მიყვანილი, მისი რუსთავულ გუნდში ტრანსფერი დღედღეზე გადაწყდება.

კვარაცხელია ბოლოს ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელი იყო, თუმცა მძიმე ტრავმის გამო საკმაოდ ბევრი გაუცდა. „ტორპედო" და კვარაცხელია ახლახან გაიყარნენ.

ეს თავდამსხმელი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა. რომ არა მყესის ტრავმა, ალბათ „ტორპედოშიც" გამოიჩენდა თავს. ამ დროისთვის კვარაცხელია სალ-სალამათია და მისი „მეტალურგში" ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილია.

**დავით თავართქილაძე**


ვახტანგ კვარაცხელია

● საქართველოს XXIV ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის II ეტაპის კალენდარი

# ხვალ საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი განახლდება

## I-VI ადგილებისათვის

**I წრე**

**XXIII ტური**

**9 მარტი, შაბათი**
დინამო (თბილისი)-ზუგდიდი
დილა (გორი)-ზესტაფონი
ტორპედო (ქუთაისი)-ჩიხურა (საჩხერე)

**13 მარტი, ოთხშაბათი**
დ. ყიფიანის სახ. თასის
1/4 ფინალი (პირველი მატჩები

**XXIV ტური**

**17 მარტი, კვირა**
ზუგდიდი-ჩიხურა
ზესტაფონი-ტორპედო
დინამო (თბ)-დილა

**XXV ტური**

**30 მარტი, შაბათი**
დილა-ზუგდიდი
ტორპედო-დინამო (თბ)
ჩიხურა-ზესტაფონი

**XXVI ტური**

**6 აპრილი, შაბათი**
ზუგდიდი-ზესტაფონი
დინამო (თბ)-ჩიხურა
დილა-ტორპედო

**10 აპრილი, ოთხშაბათი**
დ. ყიფიანის სახ. თასის
1/4 ფინალი (საპასუხო მატჩები)

**XXVII ტური**

**14 აპრილი, კვირა**
ტორპედო-ზუგდიდი
ჩიხურა-დილა
ზესტაფონი-დინამო (თბ)

**II წრე**

**XXVIII ტური**

**19 აპრილი, პარასკევი**
ზუგდიდი-დინამო (თბ)
ზესტაფონი-დილა
ჩიხურა-ტორპედო

**23 აპრილი, სამშაბათი**
დ. ყიფიანის სახ. თასის
1/2 ფინალი (პირველი მატჩები)

**XXIX ტური**

**27 აპრილი, შაბათი**
ჩიხურა-ზუგდიდი
ტორპედო-ზესტაფონი
დილა-დინამო (თბ)

**XXX ტური**

**4 მაისი, შაბათი**
ზუგდიდი-დილა
დინამო (თბ)-ტორპედო
ზესტაფონი-ჩიხურა

**8 მაისი, ოთხშაბათი**
დ. ყიფიანის სახ. თასის
1/2 ფინალი (საპასუხო მატჩები)

**XXXI ტური**

**12 მაისი, კვირა**
ზესტაფონი-ზუგდიდი
ჩიხურა-დინამო (თბ)
ტორპედო-დილა

**XXXII ტური**

**18 მაისი, შაბათი**
ზუგდიდი-ტორპედო
დილა-ჩიხურა
დინამო (თბ)-ზესტაფონი

**23 მაისი, ხუთშაბათი**
დავით ყიფიანის სახ.
თასის ფინალი



## VII-XII ადგილებისათვის

**I წრე**

**XXIII ტური**

**9 მარტი, შაბათი**
მეტალურგი (რუსთავი)–კოლხეთი (ფოთი)
მერანი (მარტვილი)–დინამო (ბათუმი)
ვიტ ჯორჯია (თბილისი)–სიონი (ბოლნ.)

**XXIV ტური**

**17 მარტი, კვირა**
კოლხეთი–სიონი
დინამო (ბთ)–ვიტ ჯორჯია
მეტალურგი–მერანი

**XXV ტური**

**30 მარტი, შაბათი**
მერანი–კოლხეთი
ვიტ ჯორჯია–მეტალურგი
სიონი–დინამო (ბთ)

**XXVI ტური**

**6 აპრილი, შაბათი**
კოლხეთი–დინამო (ბთ)
მეტალურგი–სიონი
მერანი–ვიტ ჯორჯია

**XXVII ტური**

**14 აპრილი, კვირა**
ვიტ ჯორჯია–კოლხეთი
სიონი–მერანი
დინამო (ბთ)–მეტალურგი

**II წრე**

**XXVIII ტური**

**19 აპრილი, პარასკევი**
კოლხეთი–მეტალურგი
დინამო (ბთ)–მერანი
სიონი–ვიტ ჯორჯია

**XXIX ტური**

**27 აპრილი, შაბათი**
სიონი–კოლხეთი
ვიტ ჯორჯია–დინამო (ბთ)
მერანი–მეტალურგი

**XXX ტური**

**4 მაისი, შაბათი**
კოლხეთი–მერანი
მეტალურგი–ვიტ ჯორჯია
დინამო (ბთ)–სიონი

**XXXI ტური**

**12 მაისი, კვირა**
დინამო (ბთ)–კოლხეთი
სიონი–მეტალურგი
ვიტ ჯორჯია–მერანი

**XXXII ტური**

**18 მაისი, შაბათი**
კოლხეთი–ვიტ ჯორჯია
მერანი–სიონი
მეტალურგი–დინამო (ბთ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ლეგიონერები

# თასისთვის ბრძოლას მხოლოდ ფოფხაძე განაგრძობს

გუშინ აზერბაიჯანის თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ბაქოს "ინტერმა", რომელსაც პირველი შეხვედრა სტუმრად "ბაქოსთან" 1:1 ჰქონდა ნათამაშები, საშინაო შეხვედრა 2:2 დაასრულა და გათამაშებას გამოეთიშა. "ბაქო" 32-ე წუთზე დაწინაურდა, ხოლო 42-ე და მე-60 წუთებზე **ბაჩანა ცხადაძემ** "ინტერი" ეფექტური გოლებით დააწინაურა. "ბაქომ" ანგარიში 68-ე წუთზე გაათანაბრა.

"ინტერის" კარის დარაჯმა **გიორგი ლომაიამ** მეტოქის ორივე გოლისას შეცდომა დაუშვა. ამ შეხვედრაში "ინტერის" ქართველებიდან მან, **ვალერი აბრამიძემ, ილია კანდელაკმა** და **ბაჩანა ცხადაძემ** მიიღეს მონაწილეობა, "ბაქოს" შემადგენლობაში კი **გიორგი ფოფხაძემ** ითამაშა.

"ასეთი ბავშვური შეცდომების დაშვება არ შეიძლება. თასის გათამაშებას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მიზეზით გამოვეთიშეთ", - განაცხადა "ინტერის" თავკაცმა **კახა ცხადაძემ** მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

**გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილ "სიმურგს" სულ მცირედი დააკლდა აზერბაიჯანის ჩემპიონ "ნეფთჩისთან" თერთმეტმეტრიანების სერიამდე მისაღწევად. ზაქათალაში მატჩი 0:0 დასრულდა, ანალოგიური ანგარიში დაფიქსირდა ბაქოში. "ნეფთჩიმ" მეტოქე დამატებითი დროის უკანასკნელ წუთზე გატეხა – 1:0.

**ლევან ჯანეზაშვილი**



რომ არა მეკარე გიორგი ლომაიას ორი დასანანი შეცდომა...

ფუტსალი

# იბერია რუსეთში ემზადება

## საქართველოს ჩემპიონი ერიომენკოს თასზე?

უეფას „ოთხთა ფინალამდე" „იბერია სტარი" მოსკოვში ემზადება. საქართველოს ჩემპიონი მოსკოვსა და მის გარეუბანში რუსეთის სუპერლიგის გუნდებთან სამ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს: 7 მარტს კპრფ-ს შეხვდება, 8 მარტს - „გაზპრომ-იუგრას", ხოლო 10 მარტს - „მიტიშჩის".

ეს გადაწყვეტილება უსაფუძვლოდ არ მიუღიათ: რუსეთს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგა აქვს და ასეთი სპარინგები ჩვენს ჩემპიონს „ოთხთა ფინალამდე" აუცილებლად წაადგება.

საქართველოს დელეგაცია მოსკოვში 4 მარტს გაემგზავრა და იქ 11 მარტამდე დარჩება. "იბერია სტარმა" გუშინ პირველი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. **სერჟიო ზენატის** გაწვრთნილებმა კპრფ-სთან 1:1 ითამაშეს.

ჯერ მეტოქეზე: კლუბი რუსეთის პრემიერლიგის მონაწილეა. მას კი, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტია აფინანსებს და გუნდის აბრევიატურაც აქედან მომდინარეობს. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ეს გუნდი ისედაც სახელგატეხილ პარტიას იმიჯს ვერ უკეთებს – სუპერლიგაში ბოლო ადგილზეა.

გუნდში ორი ქართველია: მეკარე **გიორგი ზამთარაძე** და უნივერსალი **გიორგი სომხიშვილი.** საქართველოს ჩემპიონი პირველ ტაიმში ბრაზილიელი **ფუსტეს** დარტყმით დაწინაურდა. მაგრამ მეორე ნახევარში "კომუნისტებმა" წონასწორობა აღადგინეს და საბოლოოდ მატჩი 1:1 დასრულდა. და ვინ გაგვიტანა? დიახ, სწორედ... სომხიშვილმა! ზამთარაძემ კი ჩვენი ჩემპიონის წინააღმდეგ პირველ ტაიმში ითამაშა.

ამასობაში გუნდის პრეზიდენტი **ვახო წერეთელი** და ვიცე-პრეზიდენტი **ზვიად ხაჩიაშვილი** რუსეთის მინიფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა **ემილ ალიევმა** ოფისში მიიწვია. მათ აპრილში, თბილისში გასამართ „ოთხთა ფინალსა" და სხვა საკითხებზეც ილაპარაკეს, მათ შორის მომავალ თანამშრომლობაზე. მალე მოსკოვში კონსტანტინ ერიომენკოს სახელობის თასის ევრაზიული გათამაშება დაიწყება, რომლის ორგანიზატორიც რუსეთის ფუტსალის ასოციაციაა. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2012 წელს „იბერიას" პრეზიდენტი პოსტსაბჭოური ტურნირის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ.

გუნდის მენეჯერის, **გიორგი დარჯანიას** თქმით, წერეთელმა ალიევი თბილისში „ოთხთა ტურნირზე" დაპატიჟა: *„რუსული ფუტსალი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება ნამდვილად არ გვაწყენდა - რუსეთში უამრავი საკლუბო და სანაკრებო ტურნირი იმართება და მონაწილეობაზე უარის თქმა სისულელე იქნებოდა. გარდა ამისა, „იბერიას" პრეზიდენტი „ერიომენკოს თასზე" გამოსვლითაც დაინტერესდა. საერთაშორისო ტურნირებზე ხშირად ვთამაშობთ, მაგრამ რაც მეტი იქნება, მით უკეთესი. ტურნირზე განაცხადის წარსადგენად აუცილებელ დოკუმენტაციას რუსულ მხარეს აპრილის შუა რიცხვებში გადავცემთ".*

შეგახსენებთ, რომ უეფას თასის „ოთხთა ფინალის" მატჩებს თბილისის სპორტის სასახლე 25, 26 და 28 აპრილს უმასპინძლებს. ტიტულისთვის იბრძოლებენ: საქართველოს საუკეთესო კლუბი „იბერია სტარი", თასის ამჟამინდელი მფლობელი „ბარსელონა", რუსეთისა და ყაზახეთის ჩემპიონები - მოსკოვის „დინამო" და ალმათის „ქაირათი".

ტურნირისთვის მზადება უკვე დაწყებულია. ფედერაციის საორგანიზაციო კომიტეტმა და პრესსამსახურმა მოხალისეების შესარჩევი კონკურსი დაიწყეს. ე. წ. „ვოლონტიორები" ტურნირის მიმდინარეობისას საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს დაეხმარებიან და „ოთხთა ფინალის" მედიაოფიცრის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იმუშავებენ.

ნახევარფინალური შეხვედრების კენჭისყრა თბილისში, 27 მარტს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" გაიმართება.

**მერაბ მამულაშვილი**

თანამშრომლობა

# ტორპედო ქუთაისის პედაგოგიურს დაუმეგობრდა

ბევრი კლუბისგან განსხვავებით, ქუთაისის "ტორპედო" საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი არ არის: კლუბის წევრები და ადმინისტრაცია ქალაქისა და ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობენ, ხშირად სტუმრობენ უპატრონო ბავშვთა სახლებსა და თეატრებს. მცირე ხნის წინ გადაწყდა, რომ კლუბი საკუთარ წვლილს შეიტანდა მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობაში.

"ტორპედოს" პრესატაშის, **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, ახლა გუნდის წევრები ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორატსა და სტუდენტებს შეხვდნენ.

სააქტო დარბაზში მყოფთა შეკითხვებს, ძირითადად, ქუთაისური გუნდის მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე** პასუხობდა. "ტორპედოს" აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი პაპიაშვილმა** მასპინძლებს სამახსოვროდ "ტორპედოს" 12-ნომრიანი მაისური გადასცა და იმედი გამოთქვა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები ქუთაისის სტადიონზე გამართულ შეხვედრებში "მეთორმეტე მოთამაშის" როლს შეასრულებენ.

სასწავლებლის რექტორმა **გიორგი ლავთაძემ** და პაპიაშვილმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

**მერაბ მამულაშვილი**

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ზესტაფონი კახა კაჭარავა | კობახიძე (ალანია, რუსეთი), მამალაძე (დილა), მენთეშაშვილი (მეტალურგი), ელიავა (სიონი, იჯარით), მილხრაუმი (დინამო თბ), შარვაძე (მერანი), კიკნაველიძე (დინამო ბთ) | ლ. კუტალია, ენდელაძე (ორივე ზუგდიდი), ჭანკოტაძე (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), რეკრუკი (?), ლოსანო (მურსია, ესპანეთი), პეტკოვი (ბულგარეთი), ტურავა (?) |
| მეტალურგი გიორგი ყიფიანი | დ. ჯანელიძე (თურანი, აზერბაიჯანი), ი. მაისურაძე (დილა), ტატანაშვილი (დინამო თბ), თექთურმანიძე (დინამო თბ, იჯარა დაუმთავრდა), ჰოსმანი (?), კაკუშაძე (?), გიორ. გურეშიძე (?) | კორღალიძე (ზიმბრუ, მოლდოვა), ახალკაცი (დილა), მ. ალავიძე (?), ფიფია (თურანი, აზერბაიჯანი), მენთეშაშვილი (ზესტაფონი), ვ. კვარცხელია (ტორპედო) |
| ტორპედო გია გეგუჩაძე | იოსელიანი (კეჩკემეტი, უნგრეთი), ვ. კვარაცხელია (?) | გ. ონიანი (დილა), ცინცაძე (დაუგავა, ლატვია) |
| დინამო (თბ) დუშან უჰრინი (უმცროსი) | ვოსკობოინიკოვი (?), იაგუე (?), ლექვთაძე (სიონი, იჯარით), რობერტინიო (ინტერი, აზერბაიჯანი), თექთურმანიძე (?), რეხვიაშვილი (ჩიხურა, იჯარით) | შაშიაშვილი (დილა), მილხრაუმი (ზესტაფონი), ტატანაშვილი (მეტალურგი), გრაიციარი (სპარტა, ჩეხეთი), თექთურმანიძე (მეტალურგი, იჯარა დაუმთავრდა), შინდაგორიძე (?), დიასამიძე (დინამო ბთ), მენდი (?), უსტარიცი (ესპანეთი) |
| დილა ვალდას ივანაუსკასი | გ. დარასელია (მთ. მწვრთნელი, სკა ხაბაროვსკი, რუსეთი), შაშიაშვილი (დინამო თბ), სკენდერი (სონდერიისკე, დანია), სალუქვაძე, ხოჯავა (ორივე სკა ხაბაროვსკი), ს. გურული (დინამო ბთ), გ. ონიანი (ტორპედო), ახალკაცი (მეტალურგი), შ. კაშია (ჩიხურა), კლიმიაშვილი (?) | ვ. ივანაუსკასი (მთ. მწვრთნელი) ი. მაისურაძე (მეტალურგი), კვახაძე (უგუნდოდ), მამალაძე (ზესტაფონი), თოთაძე (დინამო ბთ), ი. ლომიძე (?), ლობე (კამერუნი), არაბული (?) |
| კოლხეთი სოსო ფილია | გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე დინამო ბთ), ცხადაია (სიონი), | ზამ. ჯანაშია (?), როსინი (?) |
| მერანი მალხაზ ჟვანია | გ. ჟვანია (დინამო ბთ), მჭედლიშვილი (ვიტ ჯორჯია) | გ. მეგრელაძე (უგუნდოდ), კრისი (ნიგერია), შარვაძე (ზესტაფონი), ხუბუა (სიონი) |
| სიონი არმაზ ჭელაძე | ქუცურუა (?), ჭედია (?), ჩიკვილაძე (?), დ. ლომაია (?), ხუბუა (მერანი), მაჭავარიანი (?), რ. ჯიქია (?), ფეიქრიშვილი (?), ჭანკოტაძე (ზესტაფონი, იჯარა დაუმთავრდა), თარხნიშვილი (ვენტსპილსი, ლატვია) | ბიბილეიშვილი (სტუ), ფოფხაძე (ზუგდიდი), მიკუჩაძე (ისრაელი), ელიავა (ზესტაფონი, იჯარით), მერლანი (ზუგდიდი), ლექვთაძე (დინამო თბ, იჯარით), ახალაია (უგუნდოდ), ცხადაია (კოლხეთი), ჩივაძე (უგუნდოდ), ჰაიდუჩეკი (პოლონეთი), საპირი (ისრაელი), ფალავანდიშვილი (?) |
| ვიტ ჯორჯია მერაბ კოჭლაშვილი | ჩიმაკაძე (დინამო ბთ), ზაქრაძე (?), ლანიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე (ნეფტეხიმიკი, რუსეთი), მჭედლიშვილი (მერანი) |
| ზუგდიდი ელგუჯა კომეთიანი | ს. თოდუა (გურია), კუტალია, ენდელაძე (ორივე ზესტაფონი), კოშკაძე (დინამო ბთ), მერლანი, ფოფხაძე (ორივე სიონი), დ. ბოლქვაძე (ჩიხურა) | ხუხია (დინამო ბთ), გამრეკლიძე (?) |
| ჩიხურა სოსო ფრუიძე | | დ. ბოლქვაძე (ზუგდიდი), შ. კაშია (დილა), რეხვიაშვილი (დინამო თბ, იჯარით) |
| დინამო (ბთ) გია გურული | დიასამიძე (დინამო თბ), ხუხია (ზუგდიდი), სიჭინავა (?), კაკულია (?), კილაძე (გურია), ბალაძე (?), კლოვისი (?), ცნობილაძე (?), ტიმჩიშინი (?), თოთაძე (დილა) | ჩიმაკაძე (ვიტ ჯორჯია), ს. გურული (დილა), გ. ჟვანია (მერანი), გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე კოლხეთი), კოშკაძე (ზუგდიდი), კიკნაველიძე (ზეტაფონი) |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

## რუსეთი. პრემიერლიგა. II ეტაპის წინათქმა

# ევროპული მოდელი: ფული აქვთ, ვარსკვლავებიც ჰყავთ...

## 5+3: ქართული ლეგიონის რუსული ფორმულა

| XX ტური | |
|---|---|
| **8 მარტი** | |
| ვოლგა – ყუბანი | 13:30 |
| კრასნოდარი – ამკარი | 16:00 |
| **9 მარტი** | |
| დინამო – ლოკომოტივი | 13:30 |
| კრილია სოვეტოვი – ცსკა | 16:00 |
| ალანია – როსტოვი | 18:30 |
| **10 მარტი** | |
| სპარტაკი – ტერეკი | 13:30 |
| რუბინი – ზენიტი | 16:00 |
| მორდოვია – ანჟი | 16:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 19 | 14 | 1 | 4 | 33-17 | 43 |
| 2. ანჟი | 19 | 12 | 5 | 2 | 34-18 | 41 |
| 3. ზენიტი | 19 | 11 | 5 | 3 | 36-20 | 38 |
| 4. ყუბანი | 19 | 10 | 2 | 7 | 32-21 | 32 |
| 5. ტერეკი | 19 | 10 | 2 | 7 | 23-27 | 32 |
| 6. სპარტაკი | 19 | 10 | 2 | 7 | 35-30 | 32 |
| 7. რუბინი | 19 | 10 | 1 | 8 | 26-19 | 31 |
| 8. ლოკომოტივი | 19 | 9 | 4 | 6 | 27-21 | 31 |
| 9. დინამო | 19 | 10 | 0 | 9 | 28-25 | 30 |
| 10. კრასნოდარი | 19 | 8 | 4 | 7 | 33-27 | 28 |
| 11. როსტოვი | 19 | 5 | 5 | 9 | 20-25 | 20 |
| 12. ამკარი | 19 | 5 | 4 | 10 | 19-31 | 19 |
| 13. ვოლგა | 19 | 4 | 5 | 10 | 19-30 | 17 |
| 14. კრილია | 19 | 4 | 4 | 11 | 18-36 | 16 |
| 15. ალანია | 19 | 2 | 5 | 12 | 18-31 | 11 |
| 16. მორდოვია | 19 | 2 | 3 | 14 | 18-41 | 9 |

**ბომბარდირები:** 10 - ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი); 9 - იური მოვსისიანი (კრასნოდარი), ლასინა ტრაორე (ანჟი), ნეკუ (ალანია).

დღევანდელი 2 მატჩით რუსეთის პრემიერლიგა განახლდება: მაისის ბოლომდე გუნდებს 11-11 შეხვედრის ჩატარება მოუწევთ და ამით დასრულდება კიდეც ამ ქვეყნის ისტორიაში პირველი ჩემპიონატი, შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონამდე, ისე როგორც სკანდინავიის ქვეყნებსა და ირლანდიაში, რუსეთის ჩემპიონატიც გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდებოდა. ანუ, ყოფილი საბჭოთა კავშირის დროინდელი მოდელი არ შეცვლილა, მაგრამ რუსეთის საფეხბურთო კავშირისა და ამ ქვეყნის პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობამ 2010 წელს გადაწყვიტეს, რომ „ევროპულ მოდელზე" გადასულიყვნენ და ამისათვის საჭირო გახდა გარდამავალი ჩემპიონატის ჩატარება, რომლის ხანგრძლივობის ანალოგი მართლაც არ გვახსენდება: წინა სეზონი, რომელიც სამ წრედ ჩატარდა, 2011 წლის გაზაფხულზე დაიწყო და 2012 წლის ზაფხულში დამთავრდა!

სხვა მხრივ, რუსულ პრემიერლიგაში ბევრი რამ არ შეცვლილა: გუნდების უმრავლესობას სოლიდურზე-სოლიდური ბიუჯეტი გააჩნია და ნებისმიერი უცხოელი ვარსკვლავის გადაბირებაც უკვე ჩვეულებრივი ამბავია. რუსულ პრემიერლიგაში ვიდრე ზამთრის პაუზა იყო, არაერთი ხმაურიანი ტრანსფერიც განხორციელდა (ამაზე, ოდნავ — ქვემოთ) და იმავეს უნდა ველოდოთ ზაფხულშიც. რაც მთავარია, რუსეთის პრემიერლიგაში კვლავაც ყურადღების ცენტრში იქნებიან ქართველი ფეხბურთელები; თანაც ხუთი ჩვენებურისათვის (**ალექსანდრე ამისულაშვილი, ჯანო ანანიძე, ნუკრი რევიშვილი, საბა კვირკველია, გია გრიგალავა**) რუსეთის პრემიერლიგა თუ ნაცნობი გარემოა, სამი ქართველი (**გიორგი ჭანტურია, მამუკა კობახიძე, აკაკი ხუბუტია**) დებიუტის მოლოდინშია.

### ჯანო და სხვა ჩვენებურები

20 წლის **ჯანო ანანიძემ** სეზონი ბასკი სპეციალისტის, **უნაი ემერის** ხელმძღვანელობით დაიწყო, მაგრამ შემოდგომაზე მოსკოვის „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელად კვლავაც **ვალერი კარპინი** დააბრუნეს, რომელიც კლუბის გენერალური დირექტორი გახლდათ. ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელს ტრავმისა თუ ოჯახური ტრაგედიის (მამა გარდაეცვალა) გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა, იმასაც ვერ ვიტყვით, ემერი ხშირად ენდობოდაო; თუმცა, კარპინის დაბრუნების შემდეგ ჯანო კვლავაც ძირითადის ფეხბურთელი გახდა და იმედი დავიტოვოთ, რომ მეორე ეტაპზეც ასე იქნება. მით უფრო, რომ კარპინი ყოველთვის აფასებდა ქართველი შემტევის ტალანტს. აქვე, დავძენთ, რომ პირველ ეტაპზე ანანიძემ 11 მატჩში 2 გოლი გაიტანა.

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდი გამოიცვალა ბოლო წლების, ალბათ, ყველაზე სტაბილურმა ქართველმა ლეგიონერმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** — 30 წლის მცველი „კრასნოდარიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით „კრილია სოვეტოვში" გადავიდა. ამისულაშვილს სადაც კი უთამაშია, ყველგან შეუცვლელი ფეხბურთელი გახლდათ და თითქმის 100 პროცენტით შეგვიძლია თქმა, რომ მსგავსი სიტუაცია იქნება ახალ კლუბშიც; მით უფრო, რომ „კრილია სოვეტოვის" ახალი მთავარი მწვრთნელი, გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტი **გაჯი გაჯიევი** ქართველების მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობით გამოირჩევა.

ამისულაშვილისგან განსხვავებით, ჯერჯერობით გაურკვეველია **ნუკრი რევიშვილის** ამბავი — 26 წლის მეკარე კვლავაც „კრასნოდარის" განაცხადშია, მაგრამ არ გაგვიკვირდეს ზაფხულამდე სხვა გუნდში რომ გაანათხოვრონ. არადა, რევიშვილის დონის მეკარეს სათამაშო პრაქტიკა რომ არ ექნება, მართლაც საცოდაობაა.

კვლავაც ლოკალური ამოცანის გადაჭრა მოუწევს ნიჟნი-ნოვგოროდის



ვილიანში „ანჟიმ" 35 მილიონი ევრო გადაიხადა!

„ვოლგას", რომლის შეუცვლელ ფეხბურთელადაც ჩამოყალიბდა **გია გრიგალავა.** აღსანიშნავია, რომ 23 წლის მცველმა პირველ ეტაპზე ყველა, 19 მატჩი ჩაატარა და 1 გოლიც გაიტანა; თანაც „ვოლგას" იმდროინდელმა თავკაცმა გაჯი გაჯიევმა ამპლუა შეუცვალა: გრიგალავამ სეზონის უმეტესი ნაწილი ცენტრალურ მცველად ჩაატარა.

ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ „რუბინს" დაუბრუნდა 21 წლის **საბა კვირკველია,** რომელიც ყაზანურ კლუბს პირველი ლიგის „ნეფტეხიმიკში" ჰყავდა განათხოვრებული. კვირკველიას ჩინებული ფიზიკური მონაცემები აქვს და მასში დიდ პოტენციალს რომ არ ხედავდეს ყაზანელთა გამოცდილი დამრიგებელი **ყურბან ბერდიევი,** უკან არც დაიბრუნებდა. კვირკველიას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება „რუბინის" ძირითადში დასამკვიდრებლად, თუმცა დაცვის ცენტრში ერთი კონკურენტით ნაკლები ეყოლება: იტალიელი **სალვატორე ბოკეტი** ხომ მოსკოვის „სპარტაკში" გადავიდა. ამპლუით ასევე ცენტრალური მცველია **აკაკი ხუბუტია** - 26 წლის ფეხბურთელს რუსეთში სადებიუტო სეზონი ელოდება; თუმცა, ისიც აღვნიშნოთ, რომ მის ახალ გუნდს, სარანსკის „მორდოვიას" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. ასევე არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა აქვს ვლადიკავკაზის „ალანიასაც"; თუმცა ამ ოსური კლუბის ქომაგები ძველ-ახალი მწვრთნელის დაბრუნებით ოპტიმისტურად არიან განწყობილნი: კლუბის პრეზიდენტი **ვალერი გაზაევი** კვლავაც სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდა და „ალანიას" თავკაცის პოსტზე... შვილი შეცვალა! შეგახსენებთ, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ „ალანიას" სპორტულ დირექტორად ქართული ფეხბურთის ლეგენდა, **ვლადიმერ გუცაევი** დაინიშნა, გუნდში კი ორი პერსპექტიული ახალგაზრდა, 20 წლის ცენტრალური მცველი **მამუკა კობახიძე** („ზესტაფონიდან") და 19 წლის შემტევი **გიორგი ჭანტურია** („ვიტესიდან") ჩაირიცხნენ. განსაკუთრებით დიდ ინტერესს ჭანტურიას თამაში იწვევს — ამ მართლაც ნიჭიერ ფეხბურთელს საკუთარი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია...

### აშკარა – დასაჯერებელი

ზემოთაც ვთქვით, რომ ბოლო წლებში რუსულ ფეხბურთში განხორციელებული ტრანსფერები უკვე აღარავის უკვირს, ისე როგორც ავტორიტეტული მწვრთნელების მოყვანაც. ცნობილი იტალიელი სპეციალისტის, **ლუჩანო სპალეტის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ზენიტს" ზედიზედ მესამე ჩემპიონობა, ალბათ, გაუჭირდება; სამაგიეროდ, დიდი მოლოდინი აქვთ ცსკა-ს ქომაგებს - **ლეონიდ სლუცკის** გუნდი რუსეთის ჩემპიონი ბოლოს 2006 წელს გახდა და ამ ტრიუმფის მისაღწევად ბრაზილიური „ფლამენგოდან" 28 წლის **ვაგნერ ლავი** დაიბრუნეს. „ზენიტი" და ცსკა ბოლო წლების „მუდმივი" ფავორიტები იყვნენ, თუმცა ახლა მათ „ანჟიც" შეუერთდა: ცნობილი მილიარდერი, **სულეიმან ქერიმოვი** გუნდის გასაძლიერებლად ასტრონომიულ თანხებს ხარჯავს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მახაჩყალელები, სულ მცირე, ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებენ. შეგახსენებთ, რომ „ანჟის" ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი, **გუუს ჰიდინკი** წვრთნის, ნახევარდაცვაში 27 წლის **დასანა დიარა** (საფრანგეთი) თამაშობს, თავდასხმაში კი ცნობილი კამერუნელი გოლიადორი, 31 წლის **სამუელ ეტოო.** ამ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „ანჟიმ" მორიგი ძვირფასი შენაძენი გააკეთა: 35 მილიონ ევროდ დონეცკის „შახტარიდან" მართლაც გამორჩეული ნახევარმცველი, 24 წლის **ვილიანი** შეიძინა! ისე, „ანჟიმ" ფეხბურთელების გასხვისებაც სარფიანად იცის: **კრისტოფერ სამბა** ინგლისურ „ქუინზ პარკ რეინჯერსს" 15 მილიონ ევროდ მიჰყიდა, მის ნაცვლად კი „სევილიადან" 32 წლის **ემილ სპახიჩი** ინათხოვრა და ეს ექვსთვიანი იჯარა მილიონ-ნახევარი ევრო დაუჯდა. საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტი აქვთ კრასნოდარის ორივე კლუბს: „ყუბანში" ახალი მწვრთნელი მივიდა (**ლეონიდ კუჩუკი**), „კრასნოდარს" კი კვლავაც **სლავოლიუბ მუსლინი** ავარჯიშებს და ამ ორივე გუნდმა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში 10 მილიონ ევროზე მეტი დახარჯა. საინტერესო ტრანსფერები განახორციელა „სპარტაკმაც" — ბოკეტის გადმოყვანა 4,5 მილიონი ევრო თუ დაჯდა, სომხეთის ნაკრების ცენტრფორვარდ **იური მოვსისიანში** „კრასნოდარს" 8 მილიონი ევრო გადაუხადეს! „სპარტაკის" კიდევ ერთი ახალწვეულია ხორვატიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **ოგნიენ ვუკოევიჩი,** რომელიც კიევის „დინამოდან" იჯარით გადმოიყვანეს. ვილიანის შემდეგ ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი „რუბინმა" განახორციელა: 22 წლის **იან მ'ვილას** მადრიდის „რეალი" და ლონდონის „არსენალი" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ფრანგული „რენის" აწ უკვე ყოფილი ლიდერი 12 მილიონ ევროდ ყაზანურ კლუბში გადავიდა!..

**გია ტუხაშვილი**

## იტალია. სერია A



„გაძეტას" ვერსიით, „ჯენოას" ელ შაარავი-ბოატენგი-პაცინის ტრიო შეუტევს

# გენერალური რეპეტიცია ბარსამდე

## ალეგრი ბალოტელის უფრთხილდება

| ჯენოა–მილანი | 23.45 |
|---|---|

**დისკვალიფიკაცია:** კუჩკა (ჯენ)
**ტრავმა:** მათუზალემი, ფლორო ფლორესი, ოლივერა, მანფრედინი - დე იონგი, საპატა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +4=2-0

**ურთიერთშეხვედრები**

**სულ 15 თამაში: +2=4-9, (8-20)**

„მილანს" „ბარსელონასთან" ელის ჩემპიონთა ლიგის პაექრობა და როგორც ასეთ დროს ხდება, სერია A-ს შეხვედრას სხვებზე ადრე გამართავს. დღეს, გენუაში მეტად საინტერესო მატჩია, რადგან „ჯენოამ" ბოლო დროს მკვეთრად მოუმატა, ლომბარდიული გრანდი კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის გააფთრებით იბრძვის.

**მასიმილიანო ალეგრი** არავის დასვენებას არ აპირებს, ერთი ეგაა, რომ ტრავმის გამო **მარიო ბალოტელი** აკლია. სუპერმარიო უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და არაა გამორიცხული, სამატჩო განაცხადში მოხვდეს, მაგრამ როგორც თავად მწვრთნელი აცხადებს, ამის ალბათობა მცირეა:

*„ბალოტელის ტკივილები აღარ აწუხებს, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ „ჯენოასთან" ითამაშოს. **ჯამპაოლო პაცინი** შესანიშნავ ფორმაშია, **მბაიე ნიანგი** და **ბოიან კრკიჩი** ჯანმრთელად არიან, რაც როტაციის საშუალებას მაძლევს. მოკლედ, არაა აუცილებელი გავრისკოთ და ახლადგამოჯანმრთელებული ფეხბურთელი ვათამაშოთ. „ჯენოა" საკუთარ კედლებში განსაკუთრებულად სახიფათოა და მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. ჩემპიონთა ლიგაზე ჯერ არ ვფიქრობთ, წინ ურთულესი მატჩი გვაქვს".*

„გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, ალეგრი ტრადიციულ 4-3-3 ტაქტიკას აირჩევს, შეტევაში კი ჯამპაოლო პაცინი, **კევინ პრინს ბოატენგი** და **სტეფან ელ შაარავი** გაირჯებიან. ეს ის სამეულია, რომელიც „ნოუ კამპზე" „ბარსელონას" კონტრშეტევებზე დაჭერას შეეცდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 27 | 18 | 5 | 4 | 54-18 | 59 |
| 2. ნაპოლი | 27 | 15 | 8 | 4 | 47-22 | 53 |
| 3. მილანი | 27 | 14 | 6 | 7 | 47-31 | 48 |
| 4. ინტერი | 27 | 14 | 5 | 8 | 43-35 | 47 |
| 5. ლაციო | 27 | 14 | 5 | 8 | 36-31 | 47 |
| 6. ფიორენტინა | 27 | 13 | 6 | 8 | 48-33 | 45 |
| 7. რომა | 27 | 13 | 4 | 10 | 56-48 | 43 |
| 8. კატანია | 27 | 12 | 6 | 9 | 36-34 | 42 |
| 9. უდინეზე | 27 | 10 | 10 | 7 | 36-34 | 40 |
| 10. სამპდორია | 27 | 10 | 6 | 11 | 34-30 | 35 |
| 11. ბოლონია | 27 | 9 | 5 | 13 | 38-36 | 32 |
| 12. ტორინო | 27 | 7 | 12 | 8 | 32-32 | 32 |
| 13. პარმა | 27 | 8 | 8 | 11 | 32-36 | 32 |
| 14. კალიარი | 27 | 8 | 7 | 12 | 32-47 | 31 |
| 15. ატალანტა | 27 | 9 | 5 | 13 | 26-38 | 30 |
| 16. კიევო | 27 | 8 | 5 | 14 | 27-44 | 29 |
| 17. ჯენოა | 27 | 6 | 8 | 13 | 27-39 | 26 |
| 18. სიენა | 27 | 7 | 6 | 14 | 27-39 | 21 |
| 19. პალერმო | 27 | 3 | 12 | 12 | 22-39 | 21 |
| 20. პესკარა | 27 | 6 | 3 | 18 | 20-54 | 21 |

**შენიშვნა:** სიენა -6 ქულა, ატალანტა –2, სამპდორია –1, ტორინო –1.

**ბომბარდირები:** 18 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 16 - სტეფან ელ შაარავი (მილანი); 15 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 12 - ჯამპაოლო პაცინი (მილანი).

**ლაშა წიკლაური**

## ესპანეთი. ლალიგა

| XXVII ტური. 8 მარტი | |
|---|---|
| ბეტისი-ოსასუნა | 00:30 |

**დისკვალიფიკაცია:** კემპბელი (ბეტ)
**ტრავმა:** პერესი, პერკისი, ვილარჩაო, სევილია - ლო, სისი, რიესგო

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

**სულ 20 თამაში: +9=4-7, (22-27)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 26 | 22 | 2 | 2 | 83-30 | 68 |
| 2. ატლეტიკო | 26 | 18 | 3 | 5 | 48-23 | 57 |
| 3. რეალი | 26 | 17 | 4 | 5 | 64-24 | 55 |
| 4. მალაგა | 26 | 12 | 7 | 7 | 37-24 | 43 |
| 5. ვალენსია | 26 | 12 | 6 | 8 | 38-39 | 42 |
| 6. სოსიედადი | 26 | 11 | 8 | 7 | 44-34 | 41 |
| 7. ბეტისი | 26 | 12 | 4 | 10 | 37-38 | 40 |
| 8. ხეტაფე | 26 | 11 | 5 | 10 | 37-44 | 38 |
| 9. ვალეკანო | 26 | 12 | 2 | 12 | 34-43 | 38 |
| 10. სევილია | 26 | 10 | 5 | 11 | 38-38 | 35 |
| 11. ლევანტე | 26 | 10 | 5 | 11 | 32-40 | 35 |
| 12. ვალიადოლიდი | 26 | 9 | 7 | 10 | 34-33 | 34 |
| 13. ესპანიოლი | 26 | 8 | 8 | 10 | 31-35 | 32 |
| 14. ბილბაო | 26 | 8 | 5 | 13 | 31-50 | 29 |
| 15. ოსასუნა | 26 | 7 | 7 | 12 | 22-28 | 28 |
| 16. გრანადა | 26 | 7 | 5 | 14 | 25-38 | 26 |
| 17. სარაგოსა | 26 | 7 | 4 | 15 | 25-38 | 25 |
| 18. სელტა | 26 | 6 | 5 | 15 | 25-36 | 23 |
| 19. მალიორკა | 26 | 5 | 6 | 15 | 26-49 | 21 |
| 20. დეპორტივო | 26 | 3 | 8 | 15 | 29-56 | 17 |

**ბომბარდირები:** 39 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## გერმანია. ბუნდესლიგა.

| XXV ტური. 8 მარტი | |
|---|---|
| აუგსბურგი–ნიურნბერგი | 23:30 |

**დისკვალიფიკაცია:** ბაიერი - პოლტერი
**ტრავმა:** მანინგერი, ფილი, პეტრჟელა - შტეფანი, მარკოს ანტონიო, გებჰარტი, პლუშეკი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +1=4-1

**ურთიერთშეხვედრები**

**სულ 3 თამაში: +0=2-1, (0:1)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 24 | 20 | 3 | 1 | 64-8 | 63 |
| 2. დორტმუნდი | 24 | 13 | 7 | 4 | 54-28 | 46 |
| 3. ლევერკუზენი | 24 | 13 | 6 | 5 | 45-31 | 45 |
| 4. აინტრახტი | 24 | 11 | 5 | 8 | 38-35 | 38 |
| 5. ფრაიბურგი | 24 | 9 | 9 | 6 | 30-23 | 36 |
| 6. შალკე | 24 | 10 | 6 | 8 | 41-39 | 36 |
| 7. ჰამბურგი | 24 | 10 | 5 | 9 | 29-33 | 35 |
| 8. მაინცი | 24 | 9 | 7 | 8 | 32-29 | 34 |
| 9. გლადბახი | 24 | 8 | 10 | 6 | 33-34 | 34 |
| 10. ჰანოვერი | 24 | 10 | 3 | 11 | 47-45 | 33 |
| 11. შტუტგარტი | 24 | 8 | 5 | 11 | 26-42 | 29 |
| 12. ფორტუნა | 24 | 7 | 7 | 10 | 29-32 | 28 |
| 13. ნიურნბერგი | 24 | 6 | 10 | 8 | 24-31 | 28 |
| 14. ვერდერი | 24 | 8 | 4 | 12 | 39-48 | 28 |
| 15. ვოლფსბურგი | 24 | 7 | 6 | 11 | 24-37 | 27 |
| 16. აუგსბურგი | 24 | 4 | 9 | 11 | 21-36 | 21 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 24 | 4 | 4 | 16 | 27-49 | 16 |
| 18. ფიურტი | 24 | 2 | 8 | 14 | 14-37 | 14 |

**ბომბარდირები:** 16 – რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი); 15 – მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი).

**გოტფრიდ ლენცი**

## საფრანგეთი. ლიგა 1

| XXVIII ტური. 8 მარტი | |
|---|---|
| რენი–სტ. ეტიენი | 23:30 |

**ბოლო 6 მატჩი:**

+2 =2 -2 +5 =1 -0

**ურთიერთშეხვედრები:**

**სულ 85 თამ: +22 =22 -41 (91-135)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 27 | 16 | 6 | 5 | 49-17 | 54 |
| 2. ლიონი | 27 | 15 | 7 | 5 | 47-26 | 52 |
| 3. მარსელი | 27 | 15 | 4 | 8 | 34-32 | 49 |
| 4. სტ. ეტიენი | 27 | 13 | 8 | 6 | 44-19 | 47 |
| 5. ნიცა | 27 | 12 | 9 | 6 | 39-32 | 45 |
| 6. მონპელიე | 27 | 13 | 5 | 9 | 43-32 | 44 |
| 7. ლილი | 27 | 11 | 10 | 6 | 37-27 | 43 |
| 8. რენი | 27 | 12 | 5 | 10 | 39-36 | 41 |
| 9. ლორიანი | 27 | 10 | 10 | 7 | 43-43 | 40 |
| 10. ბორდო | 27 | 9 | 11 | 7 | 27-24 | 38 |
| 11. ვალანსიენი | 27 | 9 | 8 | 10 | 35-37 | 35 |
| 12. ტულუზი | 27 | 8 | 10 | 9 | 32-32 | 34 |
| 13. ბასტია | 27 | 8 | 6 | 13 | 30-51 | 30 |
| 14. აიაჩო | 27 | 7 | 10 | 10 | 29-37 | 29 |
| 15. ბრესტი | 27 | 8 | 5 | 14 | 28-37 | 29 |
| 16. რეიმსი | 27 | 6 | 9 | 12 | 23-31 | 27 |
| 17. სოშო | 27 | 7 | 6 | 14 | 28-40 | 27 |
| 18. ევიანი | 27 | 5 | 9 | 13 | 25-39 | 24 |
| 19. ნანსი | 27 | 4 | 9 | 14 | 24-45 | 21 |
| 20. ტრუა | 27 | 3 | 11 | 13 | 29-48 | 20 |

შენიშვნა: „აიაჩოს" –2 ქულა

**ბომბარდირები:** 22 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ-ჟერმენი); 15 - პიერ ობამეიანი (სენტ ეტიენი); 12 - დარიო ცვიტანიჩი (ნიცა).

**ტატო ბაციკაძე**

უცხოური ფეხბურთი

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი

# ბრაზილიელთა უიღბლო დღე


„უაჩიპატომ" ბრაზილიიდან ქულა წაიღო

**I ჯგუფი. III ტური**

**ტოლუკა-ბარსელონა 1:1**

**გოლები:** 0:1 დ. დიასი (36), 1:1 ტეხადა (83).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნასიონალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 2. ტოლუკა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 3. ბოკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ბარსელონა | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |

**II ჯგუფი. III ტური.**

**ლიბერტადი-სპორტ. კრისტალი 2:2**

**გოლები:** 0:1 ავილა (25), 0:2 ავილა (65), 1:2 პ. ბენიტესი (68), 2:2 ა. ნუნიესი (88).

**ტიგრე-პალმეირასი 1:0**

**გოლი:** 1:0 პენიალბა (90).
**გაძევება:** ვილსონი (87. პალმეირასი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიბერტადი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. სპ. კრისტალი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 3. პალმეირასი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. ტიგრე | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |

**V ჯგუფი. III ტური.**

**ტიხუანა-კორინთიანსი 1:0**

**გოლი:** 1:0 განდოლფი (65).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტიხუანა | 3 | 3 | 0 | 0 | 6-0 | 9 |
| 2. კორინთიანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 3. მილიონარიოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. სან ხოსე | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

**VIII ჯგუფი. IV ტური**

**ფლუმინენსე-უაჩიპატო 1:1**

**გოლები:** 1:0 ფრედი (31-პენ), 1:1 ნ. ნუნიესი (71).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 2. გრემიო | 3 | 2 | 0 | 1 | 8-3 | 6 |
| 3. უაჩიპატო | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 4. კარაკასი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |

**ბომბარდირები:** 3 – ბარეირო (ოლიმპია), ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო), ვილიალობოსი (დეპორტეს იკიკე).

კოპა ლიბერტადორესის მორიგი სათამაშო დღის მთავარი შეხვედრა მექსიკაში გაიმართა – ქვეყნის ჩემპიონმა „ტიხუანამ", რომელიც ამ ტურნირზე პირველად მონაწილეობს და სულ რაღაც 6 წლის არის (2007 წელს დაარსდა), მოქმედ ჩემპიონს და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულ „კორინთიანსს" უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს ორი ტურის შემდეგ ორი მოგება ჰქონდათ და გოლიც არ ჰქონდათ გაშვებული, ფავორიტად მაინც ბრაზილიელები ითვლებოდნენ, მაგრამ პროგნოზები არ გამართლდა. არგენტინელი **ანტონიო მოამედის** შეგირდებმა, მრისხანე მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიეს და კიდევ ერთი არგენტინელის, **ხავიერ განდოლფის** გოლით დაამარცხეს.

ვარსკვლავური შემადგენლობის მიუხედავად, **ტიტეს** გუნდმა ბოლო დროს აშკარად მოუკლო. თავად განსაჯეთ: ყველა ტურნირზე ჩატარებული ბოლო 8 შეხვედრიდან, „კორინთიანსმა" 1 მოიგო, 1 წააგო და 6 ფრედ დაასრულა. „ტიმაო" პაულისტას ჩემპიონატში მე-8 პოზიციაზეა, ჯგუფში კი მეორე ადგილზეა, მაგრამ ლიდერ „ტიხუანას" უკვე 5 ქულით ჩამორჩება.

მექსიკელებს მხოლოდ საქებარი სიტყვები ეკუთვნით – 6 წლის გუნდმა სამივე შეხვედრა მოიგო, კარი სამივეჯერ მშრალად შეინახა და ჯგუფში ერთპიროვნულად გალიდერდა.

მე-8 ჯგუფში მე-4 ტურის პირველი შეხვედრა გაიმართა და ისიც მოულოდნელი შედეგით დასრულდა. ბრაზილიის 2012 წლის ჩემპიონმა და ლიბერტადორესის თასის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ფლუმინენსემ", საკუთარ მოედანზე „უაჩიპატოს" ვერ მოუგო. ანგარიში **ფრედმა** 31-ე წუთზე პენალტით გახსნა, მაგრამ ბრაზილიელებმა უპირატესობის გაზრდა ვერ მოახერხეს, რის გამოც მეორე ტაიმში დაისაჯნენ – 71-ე წუთზე **ნიკოლას ნუნიესმა** წინასწორობა აღადგინა და საკუთარ გუნდს ქულა მოუტანა.

არგენტინულ-ბრაზილიური დუელი შედგა ბუენოს აირესში. „ტიგრემ", რომელსაც ორ ტურში გოლიც კი არ ჰქონდა გატანილი, „პალმეირასს" უმასპინძლა და შეხვედრის ბოლო წუთზე **გაბრიელ პენიალბას** გოლით მოუგო. „არხენტინოს ხუნიორსის" ყოფილმა ფეხბურთელმა საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა – „ტიგრემ", რომელიც „პალმეირასს" წამოეწია, ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა.

როგორც ხედავთ, ეს სათამაშო დღე ბრაზილიელთათვის საკმაოდ ცუდი გამოდგა – სამმა გუნდმა ჯამში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა.

ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში ფრე დაფიქსირა. „სპორტინგ კრისტალი" „ლიბერტადს" ორბურთიანი სხვაობით უგებდა, მაგრამ პერუელებმა ამხელა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და ორი ქულა დაკარგეს. სტუმრები **ირვენ ავილას** დუბლის წყალობით იგებდნენ, მაგრამ პარაგვაელები არ დანებდნენ და ჯერ გუნდის ახალწვეულმა, ცენტრალურმა მცველმა **პედრო ბენიტესმა** ტურნირზე თავისი მეორე გოლი გაიტანა, 88-ე წუთზე კი გუნდის საუკეთესო ფორვარდმა **არიელ ნუნიესმა** წონასწორობა აღადგინა. მართალია, „ლიბერტადმა" პირველი გოლები გაუშვა და პირველი ქულები დაკარგა, მაგრამ თამაშის მიმდინარეობიდან გამომდინარე, პარაგვაელები საბოლოოდ შედეგით უკმაყოფილონი არ დარჩენილან.

მესამე ტური დაიწყო სიკვდილის ჯგუფში, სადაც „ტოლუკამ" ეკვადორის „ბარსელონას" უმასპინძლა და წაგებას შეხვედრის ბოლოსკენ გადაურჩა. გუაიაკილის გუნდი, რომელიც სანახევროდ არგენტინელებით არის დაკომპლექტებული, **დამიან დიასის** გოლით იგებდა, ვისაც საგოლე პასი **არიელ ნაუელპანმა** გაუკეთა, მაგრამ შეხვედრის 83-ე წუთზე წონასწორობა პანამელმა **ლუის ტეხადამ** აღადგინა.

ამ ჯგუფის მთავარი მატჩი, „ბოკა ხუნიორსი"-"ნასიონალი", გამთენიისას გაიმართა. ამ და სხვა შეხვედრების შესახებ, ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ.

MLS. რეგულარული სეზონი. I ტური

# ჩემპიონური დასაწყისი

**ფილადელფია-კანზას სიტი 1:2**

**გოლები:** 1:0 ლე ტუ (18), 1:1 ზუსი (41), 1:2 ორიოლ როსელი (66), 1:3 ბილერი (84).

**ვანკუვერი-ტორონტო 1:0**

**გოლი:** 1:0 კოფი (59).

**ჰიუსტონი-DC იუნაიტედი 2:0**

**გოლები:** 1:0 რაილი (80-საკ. კარში), 2:0 კლარკი (89).

**დალასი-კოლორადო 1:0**

**გოლი:** 1:0 ჯექსონ გონსალვეში (11).

**სიეტლი-მონრეალი 0:1**

**გოლი:** 0:1 არნო (35).

**ჩივასი-კოლამბუსი 0:3**

**გოლები:** 0:1 ფ. იგუაინი (51), 0:2 ჯ. უილიამსი(89), 0:3 ოდურო (90).

**ნიუ ჯერსი-ჩიკაგო 4:0**

**გოლები:** 1:0 მაგი (38), 2:0 მაგი (68), 3:0 მაგი (74), 4:0 კინი (80).

**პორტლენდი-რედ ბულსი 3:3**

**გოლები:** 0:1 ესპინდოლა (9), 1:1 დ. ვალერი (14), 1:2 ესპინდოლა (25), 1:3 ოლავე (28), 2:3 ნაგბე (56), 3:3 ოლავე (83-საკ. კარში).

**სან ხოსე-სოლტ ლეიკი 0:2**

**გოლები:** 0:1 ა. საბორიო (71), 0:2 ა. საბორიო (85).

MLS-ის მე-18 სეზონი **დევიდ ბექჰემის** გარეშე დაიწყო. ეჭვი არაა, ეს ყველაზე დიდი ცვლილებაა, რომელიც ახალი სეზონის დაწყების წინ აშშ-ის მთავარ საფეხბურთო ლიგაში მოხდა. ბექჰემმა ამერიკაში მთელი ეპოქა შექმნა, მისმა ამ ქვეყანაში ჩასვლამ „სოკერის" ნამდვილი ბუმი გამოიწვია და საინტერესოა, როგორი იქნება პოსტბექჰემური ეპოქა.

ახალი სეზონი საკმაოდ საინტერესოდ დაიწყო. დევიდის წასვლა არ დაეტყო ბოლო ორი სეზონის ჩემპიონ „ლოს ანჯელეს გელექსის", რომელმაც საკუთარ მოედანზე „ჩიკაგო ფაიერი" გაანადგურა. სამი გოლი **მაიკ მაგიმ** გაიტანა, ერთი კი შარშანდელ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა **რობი კინმა**. „ლოს ანჯელესის" კარს 39 წლის **კარლო კუდიჩინი** იცავდა, რომელმაც პირველივე შეხვედრაში „შათაუტი" შეასრულა.

„ტორონტოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარუმატებელი დებიუტი ჰქონდა **რაიან ნელსენს** – ახალზელანდიელის გუნდი, რომლის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელიც უელსელი **რობი ერნშოუ** გახლავთ, კანადურ დერბიში „ვანკუვერ უაითქეფსთან" დამარცხდა. ამ უკანასკნელში უამრავი ლეგიონერი თამაშობს, მათ შორის ზოგიერთი საკმაოდ ცნობილიც, მაგალითად: კორეელი **იან პიო ლი**, ირლანდიელი **ენდი ობრაიენი**, შოტლანდიელი **კენი მილერი** და ინგლისელი **ნაიჯელ რეო-კოკერი**.

წელსაც, წინა წლების მსგავსად, აშშ-ში სათამაშოდ ბევრი ცნობილი ფეხბურთელი წავიდა. „პორტლენდ ტიმბერსი" **მიკაელ სილვესტრით, ფრედერიკ პიკიონით** და **დიეგო ვალერით** გაძლიერდა. ვეტერანმა არგენტინელმა პირველივე შეხვედრაში გოლიც გაიტანა, მაგრამ მისმა გუნდმა ვერ მოიგო – **ტიერი ანრის** „ნიუ იორკ რედ ბულსთან" გამართული მატჩი ძალიან საინტერესო და უხვგოლიანი გამოდგა. საბოლოოდ, შეხვედრა ფრედ, 3:3 დასრულდა. სტუმართა მხრიდან ორი გოლი კიდევ ერთმა არგენტინელმა **ფაბიან ესპინდოლამ** გაიტანა, რომელიც „რედ ბულსში" სეზონის დაწყების წინ, „რეალ სოლტ ლეიკიდან" გადავიდა. ასევე „სოლტ ლეიკის" ყოფილი ფეხბურთელია **ხამისონ ოლავე**, ვინც ესპინდოლას მსგავსად ორი გოლი გაიტანა, ოღონდ აქედან ერთი საკუთარ კარში. „ნიუ იორკის" რიგებში ანრიმ, **ტიმ კეჰილმა** და **ჟუნინიო პერნამბუკანომ** 90 წუთი ითამაშეს, მაგრამ არც გოლი გაუტანიათ და არც საგოლე პასი გაუკეთებიათ.

გაძლიერდა „ჩივასიც", რომელმაც შევსება პარტნიორი კლუბისგან, მექსიკური „ჩივასისგან" (უფრო ცნობილია, როგორც „გვადალახარა") მიიღო, მაგრამ გუნდს ეს ვერ დაეხმარა და „კოლამბუს ქრიუსთან" 0:3 წააგო. სტუმართა მხრიდან პირველი გოლი **გონსალო იგუაინის** უფროსმა ძმამ, **ფედერიკო იგუაინმა** გაიტანა.

კარი მშრალად შეინახა **რაულ ფერნანდესმა**, მისმა „დალასმა" კი „კოლორადოს" 1:0 მოუგო. **ალესანდრო ნესტას, მატეო ფერარის, ანდრეა პიზანუს** და **მარკო დი ვაიოს** „მონრეალმა" სტუმრად „სიეტლ საუნდერსს" მოუგო. ოთხივე იტალიელმა მოედანზე 90 წუთი გაატარა.

წინა სეზონის MVP **კრის ვონდოლოვსკიმ** თავი ვერაფრით გამოიჩინა, მისმა „სან ხოსემ" კი „რეალ სოლტ ლეიკთან" 0:2 წააგო. გამარჯვებული გუნდის მხრიდან დუბლი კოსტა რიკის ნაკრების ფორვარდმა **ალვარო საბორიომ** შეასრულა.

MLS-ის რეგულარული სეზონი 28 ოქტომბრამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც უკვე პლეი ოფების ჯერი დადგება. „ლელო" შეძლებისდაგვარად გააშუქებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ საფეხბურთო ლიგას, მით უმეტეს, რომ დევიდ ბექჰემის გარდა, „ემ-ელ-ესს" სერიოზული დანაკლისი არ ჰქონია და ამით პირველობა კიდევ უფრო საინტერესო გახდა.

კრიმინალური საკითხავი

# ფლამენგოს ყოფილ მეკარეს მკვლელობის შეკვეთაში ადანაშაულებენ

ბრაზილიელმა მეკარემ, **ბრუნო ფერნანდეშმა**, რომელსაც 2014 წლის მუნდიალზე თამაშსაც უწინასწარმეტყველებდნენ, აღიარა, რომ იცოდა ყოფილი შეყვარებულის მკვლელობის და სხეულის დანაწევრების შესახებ, მაგრამ ამ ყველაფერში საკუთარი მონაწილეობა უარყო.

28 წლის ბრუნო ფერნანდეშ დე სოუზას, ყოფილი შეყვარებულის, **ელიზა სამუდიოს** მკვლელობის შეკვეთაში ადანაშაულებენ. ელიზა სამუდიომ, 2010 წელს ბრუნო ფერნადეშისგან ბავშვი გააჩინა, ყოფილ მეკარეს კი ალიმენტების გადახდა არ სურდა და გამოძიების აზრით, მკვლელობის მოტივიც ეს გახდა.

აქამდე, ბრუნო ამტკიცებდა, რომ არ იცოდა რა მოუვიდა 25 წლის მოდელს, თუმცა სასამართლოს მორიგ სხდომაზე, ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მისმა მეგობარმა **ლუის ენრიკე რომაომ**, სამუდიოს მკვლელობა შეუკვეთა.

პოლიცია, ბრუნოს და კიდევ რვა ადამიანს, მათ შორის მის მეუღლეს, კიდევ ერთ ყოფილ შეყვარებულს, ახალგაზრდა ბიძაშვილს და ყოფილ პოლიციელ **მარკოს სანტოსს**, ელიზა სამუდიოს მოტაცებაში და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში ადანაშაულებს. გამოძიების მტკიცებით, ბრუნო ელიზა სამუდიოს წამებას თავად ესწრებოდა, რის შემდეგაც ქალი მოკლეს, სხეული დაანაწევრეს, ნაწილი ბრუნოს როტვეილერს აჭამეს, ნაწილი კი ბეტონის საფრის ქვეშ დამარხეს.




ფლამენგოს ყოფილ მეკარეს მკვლელობის შეკვეთაში ადანაშაულებენ

ცოტა ხნით ადრე, „ფლამენგოს" ყოფილი კიპერის ბავშვობის მეგობარი **რომაო** მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს და მას 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ყოფილი პოლიციელის მარკოს სანტოსის სასამართლო პროცესი კი მომდევნო თვეში გაიმართება.

ბრუნო, რომელიც 2009 წელს „ფლამენგოში" ბრაზილიის ჩემპიონი გახდა და „მილანის" ინტერესის სფეროში იყო, ყოველთვის ამტკიცებდა, რომ სამუდიომ ბრაზილია დატოვა და ის ცოცხალი იყო, თუმცა სასამართლოზე ყოფილმა კიპერმა განაცხადა, რომ მისმა ახალგაზრდა ბიძაშვილმა **ჟორჟე როზამ**, რომელიც მკვლელობის ფაქტს შეესწრო, ყველაფერი მოუყვა.

აი, რა თქვა ბრუნომ სასამართლოზე: *„მას შემდეგ, რაც რომაომ ელიზა მოიტაცა, ის ბელუ ორიზონტეს ერთ-ერთ სახლში წაიყვანა, სადაც მათ მარკოსი ელოდათ. მარკოსმა ელიზას კისერზე ჰალსტუხი გაუკეთა, შემდეგ კი მის წამებას შეუდგა. საბოლოოდ, ჰალსტუხით დაახრჩო, შემდეგ მათ გვამი ნაწილებად დაჭრეს და ძაღლებს აჭამეს. ეს ყველაფერი ჟორჟემ მომიყვა. მართალია, მე მისი მკვლელობა არ შემიკვეთავს, მაგრამ თავს მაინც დამნაშავედ ვგრძნობ".*

ქალბატონმა სამუდიომ, რომელზეც თავის დროზე საუბრობდნენ, რომ რომანი **კრიშტიანო რონალდოსთანაც** ჰქონდა, ბრუნო 2009 წელს, ე.წ. „ფეხბურთელთა ორგიაზე" გაიცნო და მისგან მალე დაორსულდა. მეკარემ ქალს აბორტის გაკეთება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

გაუჩინარებამდე ცოტა ხნით ადრე, 2010 წლის 4 ივნისს, ელიზა სამუდიომ პოლიციას მიაკითხა და განაცხადა, რომ ბრუნოს და მის მეგობრებს გატაცებული ჰყავდათ. მისი თქმით, 28 წლის მეკარემ მას იარაღი დაადო და უთხრა: *„შენ არ იცი მე რისი გამკეთებელი ვარ. მე ფაველადან ვარ".*

**ბრუნინიო** 2010 წლის თებერვალში დაიბადა, მაგრამ ფეხბურთელმა მამობასა და ალიმენტის გადახდაზე უარი განაცხადა. პროკურორის აზრით, ბრუნომ სამუდიოს მკვლელობა მას შემდეგ შეუკვეთა, რაც ქალი სასამართლოთი დაემუქრა.

პოლიციაში დაკითხვისას, ბრუნოს თინეიჯერმა ბიძაშვილმა **ჟორჟე როზამ** განაცხადა, რომ ბრუნო ელიზა სამუდიოს დაუკავშირდა და სასაუბროდ დაიბარა, რის შემდეგაც, როზამ და რომაომ ქალბატონს რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ უბანში მიაკითხეს და მანქანაში ჩაისვეს. ამის შემდეგ, მათ 350 კილომეტრი გაიარეს და სამუდიო ბელუ ორიზონტეს იმ სახლში მიიყვანეს, რომელსაც ბრუნო და მისი მეუღლე შაბათ-კვირას სტუმრობდნენ. სამუდიო იმ სახლში 6 დღე ჰყავდათ გამოკეტილი, რის შემდეგაც ის ყოფილ პოლიციელ მარკოსს გადააბარეს, რომელმაც ქალი სასტიკად აწამა და საბოლოოდ ჰალსტუხით დაახრჩო.

სანტოსს, რომელსაც სამუდიოს მკვლელობაში 12 000 აშშ დოლარი გადაუხადეს, წამების მომენტში, იმისთვის რომ ქალის განწირული ყვირილის ხმა მეზობლებს არ გაეგოთ, მუსიკა ხმამაღლა ჰქონდა ჩართული.

მოგვიანებით, სამუდიოს 4 თვის შვილი პოლიციამ ბელუ ორიზონტეს ერთ-ერთ ბარაკში იპოვა, რომელიც იქ სავარაუდოდ, ბრუნოს ცოლმა **დაიენმა** დატოვა. ბრუნოს მამობა დნმ-ის ტესტის შემდეგ დადასტურდა.

ბრუნო ფერნანდეშის სასამართლო პროცესი, რომელიც ორშაბათს დაიწყო, პარასკევს უნდა დასრულდეს. თუ დამნაშავედ ცნობენ, მას 41-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

**გვერდი მოამზადა**
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრემ პოლის მოსაზრება



ჩიუნიეთ ჩაქირის მიერ ნანის გაძევებას სპეციალისტების უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს

# მე, როგორც ინგლისელი, ყვითელ ბარათს ველოდი და ძალიან გამიკვირდა ის, რაც დავინახე

### ინგლისელთა მტერი?

„რეალთან" მატჩის არბიტრ **ჩიუნიეთ ჩაქირს** გამოუცდელს ძნელად თუ უწოდებ. სხვა თუ არაფერი, 36 წლის მსაჯი მესამე სეზონია, ჩემპიონთა ლიგის მატჩებს ემსახურება. ამას გარდა, ის ევრო 2012-ზეც მუშაობდა, სადაც ესპანეთი-პორტუგალიის 1/2-ფინალური მატჩი განსაჯა. კუნძულელებს ზოგადად დეტალებში ჩაღრმავება სჩვევიათ, როცა საქმე მათ ეხება. სწორედ მათ აღმოაჩინეს და ჩაქირს „ბრალად ნაუყენეს", რომ მას ძალიან არ უყვარს ინგლისური გუნდები. თურქმა არბიტრმა 2011 წლის მარტში „მანჩესტერ სიტის" იტალიელი თავდამსხმელი **მარიო ბალოტელი** კიევის „დინამოს" მაკედონიელი მცველის **გორან პოპოვის** წინააღმდეგ უხეშობისთვის გააძევა (მიზეზი მაშინაც გაშლილი ფეხით თამაში იყო); 2012 წლის აპრილში ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალში „ჩელსი"-"ბარსელონაზე" **ჯონ ტერის ალექსის სანჩესისთვის** ზურგიდან ფეხის ჩარტყმის გამო უჩვენა წითელი ბარათი; 2012 წლის სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უკრაინელი **დენის გარმაშის** წინააღმდეგ უხეშობისთვის **სტივენ ჯერარდს** მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალა; 2012 წლის დეკემბერში კი ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში „კორინთიანსთან" „ჩელსის" ცენტრალური მცველი **გარი კეჰილი** გააძევა.

### გრემ პოლი განმარტავს

ჩვენმა ინგლისელმა კოლეგებმა „დეილი მეილის" ფურცლებზე წარსულში სახელგანთქმულ ინგლისელ არბიტრ **გრემ პოლს** საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება სთხოვეს. აი, რა თქვა 49 წლის ვეტერანმა არბიტრმა:

- ჩიუნიეთ ჩაქირი გამოცდილი და ავტორიტეტული არბიტრია, თუმცა მის გადაწყვეტილებას პირადად მე მაინც ვერ გავიზიარებ. მთელი მატჩის განმავლობაში ყურადღებით ვაკვირდებოდი. პირველი ტაიმი მან პრაქტიკულად იდეალურად ჩაატარა. ფეხბურთელებს ბურთი ხელზე ორჯერ მოხვდათ, მაგრამ მას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ვიმეორებ, პირველი 45 წუთი კარგად იმსაჯა. 59-ე წუთზე კი წითელი ბარათი გამოიყენა. ინგლისში სიტყვა უხეშობა ფეხბურთში გვესმის, როგორც წინასწარ განზრახული მოქმედება. ფეხბურთელი ბურთს ხედავს, მაგრამ მაინც უხეშობს, რომ ის ხელში ჩაიგდოს. მე, როგორც ინგლისელი, აღნიშნულ მომენტში არბიტრის ხელში მაქსიმუმ ყვითელ ბარათს ველოდი და ძალიან გამიკვირდა ის, რაც დავინახე. შეხვედრის შემდეგ ბევრ ავტორიტეტულ მსაჯს ველაპარაკე, რათა მათი შეფასება მომესმინა. ჩემი კოლეგების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჩაქირი მართალი იყო. მათი პოზიცია იდეალურად განმარტა როი კინმა. მან თქვა, რომ მსგავს სიტუაციებში მნიშვნელობა არ აქვს, ფეხბურთელის ქმედება გამიზნული იყო თუ არა. დამიჯერეთ, ჰოვარდ ვებმა იცის, რომ შეცდა, როცა 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ნაიჯელ დე იონგი არ გააძევა. თუმცა, მეორე მხრივ, ამ ორი მომენტის შედარება შეუძლებელიც არის. არბიტრების უმრავლესობა სპეციალურ სემინარებს ესწრება, რომლებსაც პიერლუიჯი კოლინა ატარებს. იტალიელის აზრით, მსგავსი გამოხდომები ფეხბურთში უნდა ამოიძირკვოს. ჩაქირს ალბათ სწორედ ეს შეგონებები უტრიალებდა გონებაში.

### ჩაქირი და ცოტა იუმორი

„გარდიანის" ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის" 18 წლის გულშემატკივარმა ქალაქ ბინგჰემიდან „რეალთან" შეხვედრის მიმდინარეობისას პოლიციის ცხელ ხაზზე დარეკა, „ოლდ ტრეფორდზე" მომხდარი „დანაშაულის" შესახებ მოახსენა და ექვმიტანილი ჩიუნიეთ ჩაქირის დაკავება მოითხოვა. მოგვიანებით ის ისევ დაუკავშირდა 999-ის სამსახურს და უაზრო, გამოხდომისთვის ბოდიში მოიხადა.

### გაგიკვირდებათ და...

სხვათა შორის, როი კინის პოზიციას იზიარებს „დეილი მეილის" მკითხველთა დიდი ნაწილიც (66%) - მათი აზრითაც მსაჯი მართალი იყო, როცა ნანი გააძევა.

სავარაუდო ტრანსფერი

# როცა სერი რუნის აღარ უღიმის

## მანჩესტერმა შესაძლოა, თავისი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავი გაყიდოს



უეინ რუნის იუნაიტედიდან შესაძლო წასვლაზე ხმები კიდევ ერთხელ აგორდა

„რეალთან" შეხვედრამ „მანჩესტერ იუნაიტედის" ბანაკში ძალიან ბევრი რამ შეცვალა. სასტარტო შემადგენლობების გამოცხადებისთანავე ფეხბურთის გულშემატკივარს გაუკვირდებოდა, რომ მასში **უეინ რუნის** სახელი და გვარი ვერ ამოიკითხა. „ტელეგრაფის" ცნობით, **ალექს ფერგიუსონი** უკმაყოფილოა 27 წლის ვარსკვლავის საქმისადმი დამოკიდებულებით და მზადაა, ზაფხულზე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი 20 მილიონ ფუნტად გაყიდოს. მით უფრო, რომ „პარი სენ-ჟერმენის" ინტერესის შესახებ დიდი ხანია, ცნობილია. „გარდიანი" ასახელებს მეორე მოტივსაც: „ეშმაკებს" სახელფასო ფონდის შეკვეცა სურთ, რუნი კი გუნდში ყველაზე მაღალ ანაზღაურებას იღებს. ბონუსების ჩათვლით, „იუნაიტედი" რუნის კვირაში 260 ათას ფუნტს (300 ათასი ევრო) უხდის.

„ოლდ ტრეფორდიდან" მეგობრის შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდა „იუნაიტედის" ყოფილი თავდამსხმელი **მაიკლ ოუენიც**. აი, რა თქვა 33 წლის ვეტერანმა skysports-თან ინტერვიუში: *„რუნის კალიბრის ფეხბურთელისთვის სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან მატჩში ტაქტიკური მოსაზრებების გამო სათადარიგოთა სკამზე ჯდომა კბილებში დარტყმას ჰგავს. უეინს ორი გზა აქვს: ყურადღება არ მიაქციოს იმას, რაც მოხდა ან უთხრას მენეჯერს, რომ მის გადაწყვეტილებებს არ ეთანხმება. თუკი საშუალო გაქანების თავდამსხმელი ხართ, შესაძლოა, თქვენი არჩევანი პრემიერლიგისა და ორიოდე ევროპული კლუბით შემოიფარგლოს, მაგრამ როცა ლაპარაკია რუნიზე, ვინ შეიძლება მისით დაინტერესდეს? „რეალი", „ბარსელონა", „ბაიერნი", „მანჩესტერ სიტი", პსჟ - ეს კი მხოლოდ მცირე ჩამონათვალია".*

ამბები

### ვესტ ბრომვიჩი თუ ისევ დინამო?

SKYSPORTS-ის ცნობით, „ვესტ ბრომვიჩი" კიევის „დინამოდან" იჯარით აყვანილი მაკედონიელი მარცხენა მცველის, 28 წლის **გორან პოპოვის** კონტრაქტის გამოსყიდვას სეზონის დასრულებისთანავე აპირებს. ფეხბურთელმა ძირითადად ტრავმების გამო სასტარტო შემადგენლობაში სულ 7 თამაში ჩაატარა, მაგრამ მწვრთნელებს მისი მაინც ეიმედებათ. *„გორანმა თავისი ფიცხი ხასიათის გამო წითელი ბარათი და ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა (3 თებერვალს, „ტოტენჰემთან" შეხვედრაში* ***კაილ უოლკერისთვის*** *შეფურთხების გამო. რედ), თუმცა მან მოინანია თავისი საქციელი, მას შემდეგ თავაულებლად შრომობს და ყოველდღიურად გვიმტკიცებს, რომ ჩვენთან დარჩენა სურს,"* - განაცხადა **სტივ კლარკმა**.

### კიდევ ერთი ხორვატი პრემიერლიგაში

დნეპროპეტროვსკის „დნიპროსა" და ხორვატიის ნაკრების 25 წლის მარცხენა მცველის **ივან სტრინიჩის** შეძენით რუსული (მოსკოვის „დინამო") და ინგლისური პრემიერლიგის („სანდერლენდი") კლუბები არიან დაინტერესებულნი. ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, მისი კლიენტი უპირატესობას უკანასკნელს ანიჭებს. ხორვატს უკრაინულ კლუბთან კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს. სააგენტოები მას 5,5-6 მილიონ ევროდ აფასებენ. „შავ კატებს" მომდევნო სეზონში „ტოტენჰემიდან" იჯარით აყვანილი 22 წლის **დენი როუზის** შემცვლელი სჭირდებათ.

### ვენგერი შეშფოთებულია

13 მარტს, მიუნხენის „ალიანს არენაზე" „არსენალი" ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალის განმეორებით შეხვედრაში „ბაიერნს" უნდა დაუპირისპირდეს. „მეთოფეთა" მთავარი მწვრთნელი **არსენ ვენგერი** აღიარებს, რომ შეგირდების არამყარი ფსიქოლოგიური მდგომარეობით შეშფოთებული. რადგან ლონდონელებმა უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში რამდენიმე სერიოზული დარტყმა მიიღეს: 16 თებერვალს „ბლექბერნთან" მარცხის (0:1) შემდეგ ასოციაციის თასის გათამაშებას გამოეთიშნენ, 19-ში „ემირიტსზე" მიუნხენელებთან უშანსოდ დამარცხდნენ (1:3), 3 მარტს კი „ტოტენჰემთან" პრინციპული დერბი დათმეს (1:2) და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გაირთულეს. *„ძნელია, წინასწარ განსაზღვრო, როგორ გადაიტანენ ამდენ წარუმატებლობას ჩემი ფეხბურთელები. ბიჭების პოტენციალში წამითაც არ მეპარება ეჭვი, მაგრამ ყველაზე მეტად ის მაწუხებს, როდის შეძლებენ ამ ყველაფერთან გამკლავებას,"* - განაცხადა 63 წლის ფრანგმა.



მირალემ პიანიჩი

### სიტი პიანიჩით დაინტერესდა

იტალიური „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, „რომას" ცენტრალური ნახევარმცველის **მირალემ პიანიჩის** ტრანსფერით „მანჩესტერ სიტი" დაინტერესდა. „ქალაქელთა" წარმომადგენელი **პატრიკ ვიეირა** კვირას „სტადიო ოლიმპიკოზე" „ჯენოასთან" მატჩსაც (3:1) დაესწრო, სადაც 22 წლის ბოსნიელმა ტრავმა მიიღო და მოედანი 39-ე წუთზე დატოვა. ფეხბურთელს „ჯალოროსისთან" ხელშეკრულება 2015 წლამდე აკავშირებს. აპენინელი ჟურნალისტების ვარაუდით, მანჩესტერელებს პიანიჩი 25 წლის **სამირ ნასრის** შემცვლელად სჭირდებათ, ვინც, სავარაუდოდ, მომდევნო სეზონიდან კარიერას „ინტერში" განაგრძობს. პერსპექტიულ შუახაზელს „რომა" 14 მილიონ ევროდ აფასებს.

### ჩელსის არგენტინელი სამიზნე

„ჩელსის" ლისაბონის „ბენფიკას" არგენტინელი ცენტრალური მცველის, 26 წლის **ეზეკიელ გარაის** გადაბირება სურს და მზადაა, „არწივებს" 14 მილიონი ევრო გადაუხადოს. თუმცა „პენსიონერებს" მიზნის მისაღწევად კონკურენციის გაძლება მოუწევთ. სამხრეთამერიკელით სხვა პრემიერლიგური კლუბებიც არიან დაინტერესებულნი. აღსანიშნავია ისიც, რომ გარაის ტრანსფერში გაღებული ფულის 50% მადრიდის „რეალის" ბიუჯეტში წავა, რადგან სამეფო კლუბმა 2011 წლის ზაფხულზე ლისაბონელებს ის 5,5 მილიონ ევროდ სწორედ ამ პირობით დაუთმო.

### სელტიკი ჰუპერის შემცვლელს ეძებს

შოტლანდიის მოქმედი ჩემპიონი „სელტიკი" 2013/14 წლების სეზონისთვის ცენტრფორვარდს ეძებს, ვისაც **გარი ჰუპერის** შეცვლა შეეძლება. 25 წლის ინგლისელს „ნორვიჩი" იწვევს: კლუბები გარიგებასთან იანვარშიც ახლოს იყვნენ, მაგრამ ბოლო მომენტში „კელტების" თავკაცმა **ნილ ლენონმა** ტრანსფერზე უარი თქვა. ერთ-ერთი, ვისზეც „სელტიკ პარკზე" სერიოზულად ფიქრობენ, „ჰარტსის" 20 წლის ტანმაღალი (194 სმ) შემტევი **მაიკლ ნგუა**. ახალგაზრდა ფეხბურთელი შოტლანდიურ კლუბში იჯარით თამაშობს. მისი სატრანსფერო უფლებები „ლივერპულს" ეკუთვნის. „დეილი მეილის" ინფორმაციით, მერსისაიდელები ფეხბურთელს 2 მილიონ გირვანქასტერლინგად შეელევიან.

### იუნაიტედს მოგება დაუთვალეს

ბრიტანული „დეილი პოსტის" დათვლით, „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ უეფასგან 39 მლნ ევროს მიიღებს. შარშან, ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩენის შემდეგ, მათმა შემოსავალმა 30,4 მილიონი შეადგინა. არადა, „ეშმაკებს" ფინალში გასვლის შემთხვევაში მარტო უეფასგან 56 მილიონის მიღება შეეძლოთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგენდა

# შემდეგი გაჩერება: სილვიო პიოლა



ფრანჩესკო ტოტი

**1994 წლის 4 სექტემბერს ფრანჩესკო ტოტიმ პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში, 2013 წლის 3 მარტს კი 225-ე, რომელმაც მთელი საფეხბურთო იტალია აალაპარაკა... ამ ორ გოლს შორის მთელი ცხოვრებაა, რომლითაც „რომას" უკვე ლეგენდად ქცეული კაპიტანი ამაყობს და ამის საფუძველი ნამდვილად აქვს. „რომა"-"ჯენოას" შეხვედრის მე-16 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც დანიელე დე როსიმ თერთმეტმეტრიანი აიკიდა, ბურთთან კი ტოტი მივიდა და გენუელთა კიპერს აუღებელი დაურტყა. „სტადიო ოლიმპიკოს" ტაბლოზე უმალ გაჩნდა წარწერა: „*ნორდალი-ტოტი 225, მადლობა, კაპიტანო*"...**

**თუ ჯერ კიდევ არ იცით, რაზეა საუბარი, გეტყვით, რომ ფრანჩესკო ტოტი სერია A-ში გატანილი გოლების რაოდენობით ლეგენდარულ შვედ ფორვარდს გუნარ ნორდალს გაუთანაბრდა და მასთან ერთად, მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. შედეგი მართლაც ფენომენალურია, „იმპერატორის" წინ კი მხოლოდ სილვიო პიოლაა 274 გოლით.**

## SEI FORTE, PAPA

„რომა"-"ჯენოას" დასრულებისთანავე, მინდორზე ფრანჩესკო ტოტის შვილები, შანელი და კრისტიანი შეცვივდნენ, რომლებსაც სპეციალურად დამზადებული მაისურები ეცვათ წარწერით: Sei forte, papa (საუკეთესო ხარ, მამა)... ფრანჩესკოსთვის ეს სიურპრიზი იყო, რაზეც თავად საუბრობს:

*„მეგონა, რომ შვილები სახლში იყვნენ და იქიდან მქომაგობდნენ, რადგან სტადიონზე იშვიათად დადიან. როდესაც მინდორზე დავინახე, მივხვდი, რომ განუმეორებელი საღამო გამოვიდა. ბედნიერი ვიყავი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გოლი ჩვენი გულშემატკივრების თვალწინ გავიტანე და თურმე, ჩემი შვილებიც აქ ყოფილან. ეს დღე არასდროს დამავიწყდება, რადგან აბსოლუტურად ყველასგან უდიდესი სითბო ვიგრძენი. 225 გოლი იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორ მიყვარს „რომა" და ამ გუნდის თითოეული გულშემატკივარი".*

## ახდენილი ოცნება

ტოტის გოლით „რომა" დაწინაურდა „ჯენოასთან", თუმცა გენუელებმა გაათანაბრეს ანგარიში და იყო საფრთხე, რომ კაპიტნის 225-ე გოლი წარუმატებელ შედეგს გაეუფერულებინა. 58-ე წუთზე, ტოტიმ კუთხური ჩააწოდა, 18 წლის **ალესიო რომანიოლიმ** კი თავური დაჰკრა ბურთს და ბადეში გაახვია. თინეიჯერი ფრანჩესკოსკენ გაემართა და გოლი მასთან ერთად იზეიმა. რომაელთა მესამე გოლი **სიმონე პეროტას** ანგარიშზეა და ამ შემთხვევაშიც, ასისტენტის როლი „იმპერატორმა" ითავა. საგულისხმოა ერთი ნიუანსი - ალესიო რომანიოლი 1995 წლის 12 იანვარს დაიბადა, ოთხი დღის შემდეგ კი ტოტიმ თავისი მეორე გოლი გაიტანა სერია A-ში, რითაც „ბარი" დაამწუხრა. დღეს, ტოტი და რომანიოლი თანაგუნდელები არიან და რა გასაკვირია, რომ ალესიოსთვის ეს ახდენილი ოცნებაა.

## პირველი ერთ გუნდში გატანილი გოლებით

„რომა"-"ჯენოას" პაექრობისას „სტადიო ოლიმპიკოს" ტრიბუნებზე ერთი დიდი ბანერი იყო გაფენილი წარწერით: „*შემდეგი გაჩერება, სილვიო პიოლა*"... სერია A-ს ყველა დროის ბომბარდირს 274 გოლი აქვს გატანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მასთან გასათანაბრებლად „იმპერატორს" 49 გოლი აკლია. 36 წლის ფეხბურთელისთვის ამის გაკეთება იოლი არ იქნება, მაგრამ ტოტის რომ ურთულესი მიზნების მიღწევა შეუძლია, ეს უკვე ნამდვილად ვიცით.

ცნობისთვის, სილვიო პიოლამ თავისი გოლები სამი გუნდის შემადგენლობაში გაიტანა, გუნარ ნორდალმა კი 225 გოლი „რომასა" და „მილანში" ასპარეზობით დააგროვა. ანუ, ერთ გუნდში გატანილი გოლების რაოდენობით, ტოტი პირველია.

## განუმეორებელი ფრანკო სენსი

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ შეიძლებოდა ტოტის საერთოდ არ ეთამაშა „რომაში" და შესაბამისად, არც ეს ყველაფერი ყოფილიყო. კარიერის სტარტზე, ის თითქმის გადასული იყო „სამპდორიაში", როდესაც მწვრთნელის წინააღმდეგ და ფეხბურთელის დასაცავად თვით კლუბის პრეზიდენტი **ფრანკო სენსი** წავიდა... მოვუსმინოთ ტოტის:

*„1996 წელს, „რომა" კარლოს ბიანკიმ ჩაიბარა, რომელიც რატომღაც ცუდად იყო განწყობილი რომაელების მიმართ, განსაკუთრებით მე ვერ მიტანდა. მალევე გადაწყვიტა, რომ გუნდი უნდა დამეტოვებინა და კლუბის მესვეურებმა „სამპდორიასთან" შეთანხმებას მიაღწიეს. ფიქრებით უკვე გენუაში ვიყავი, სადაც რობერტო მანჩინი უნდა შემეცვალა. „რომაში" ფაქტობრივად ბოლო დღეებს ვატარებდი, როდესაც მიუნხენგლადბახის „ბორუსიასთან" ამხანაგური მატჩი ვითამაშე და გოლი შევაგდე. ამას „აიაქსთან" სპარინგი და კიდევ ერთი გოლი მოჰყვა. ბიანკის ჩემი გაშვება გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ საქმეში პრეზიდენტი ფრანკო სენსი ჩაერია - მან დირექტორთა საბჭოზე განაცხადა, რომ იარი ლიტმანენის ტრანსფერის საკითხი უნდა მოხსნილიყო დღის წესრიგიდან, რადგან გუნდში ახალი ვარსკვლავი, ფრანჩესკო ტოტი გამოჩნდა. ამიტომ, ფრანკო სენსის ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უკავია და ასე იქნება ყოველთვის, ის განუმეორებელი იყო".*

## STADIO FRANCESCO TOTTI

„რომა"-"ჯენოას" მატჩის შემდეგ, ფრანჩესკო ტოტის უამრავმა ადამიანმა მიულოცა, ყველაზე საინტერესო ფრაზა კი მისმა ექსმწვრთნელმა **ზდენეკ ზემანმა** თქვა: „*ჩემი აზრით, ფრანჩესკო ტოტი იტალიის საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულშია ფრანჩესკო ტოტისთან და ფრანჩესკო ტოტისთან ერთად*".

2013 წლის 3 მარტს, „იმპერატორისთვის" ამ მეტად მნიშვნელოვან დღეს კიდევ ერთი ამბავი გახმაურდა - დიდი ალბათობით, „რომას" ახალი სტადიონი ფრანჩესკო ტოტის სახელობის იქნება. დიახ, არენა, რომელიც 2016 წლის აგვისტოში უნდა გაიხსნას, უკვე ლეგენდად ქცეული ფეხბურთელის სახელს ატარებს. იქნებ, სწორედ ამ სტადიონზე იყოს ტოტის შემდეგი გაჩერება: სილვიო პიოლა...

**ლაშა ნიკლაური**

ტოტენჰემი

# ბეილს რონალდოს და მესის დონის ხელფასს შესთავაზებენ

როგორც კი „ტოტენჰემი" ლიგის საგზურს გაინაღდებს, უელსელ ვარსკვლავს, **გარეთ ბეილს** 5-წლიან კონტრაქტში 40 მილიონ ფუნტს შესთავაზებენ.

„დეილი მეილმა" გაარკვია კონტრაქტის დეტალები, რომლის შეთავაზებასაც ბეილისთვის აპირებენ.

გასულ სეზონში გარეთმა 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა „ტოტენჰემთან" და 2016 წლამდე კვირაში 75 ათას გირვანქა სტერლინგს იღებს. როგორც კი „ტოტენჰემი" ჩემპიონთა ლიგის საგზურს გაინაღდებს (თუ ეს არ მოხდა 23 წლის უელსელს ლონდონში ვერაფრით შეაკავებენ), გარეთს 5-წლიან ხელშეკრულებას შესთავაზებენ, რომლის განმავლობაშიც ის 40 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. **დანიელ ლევი**, კლუბის პრეზიდენტი კარგად აცნობიერებს, რომ ბეილი შესაძლოა, **კრიშტიანო რონალდოს** და **ლეო მესის** დონის ვარსკვლავი გახდეს და მას კვირაში 150 ათასს შესთავაზებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გარეთ ბეილი

ევროპალიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები

**პლზენი (ჩეხ)-ფენერბაჰჩე (თურ) 0:1**
გოლი: 0:1 ვებო (81)

**სტიაუა (რუმ)-ჩელსი (ინგ) 1:0**
გოლი: 1:0 რუსესკუ (34-პენ)

**შტუტგარტი (გერ)-ლაციო (იტა) 0:2**
გოლები: 0:1 ედერსონი (21), 0:2 ონასი (56)

**ბაზელი (შვე)-ზენიტი (რუს) 2:0**
გოლები: 1:0 მ. დიასი (83), 2:0 ა. ფრაი (93-პენ)
გაძევება: ნეტო (92. ზენიტი)

**ბენფიკა (პორ)-ბორდო (საფ) 1:0**
გოლი: 1:0 კარასო (21 ს.კ.)

**ლევანტე (ესპ)-რუბინი (რუს) 0:0**
გაძევება: ანსალდი (51. რუბინი), მიჩელი (54. ლევანტე)

**ტოტენჰემი (ინგ)-ინტერი (იტა) 3:0**
გოლები: 1:0 ბეილი (6), 2:0 სიგურდსონი (18), 3:0 ვერტონგენი (53)

**ანჟი (რუს)-ნიუკასლი (ინგ) 0:0**



შტუტგარტი-ლაციო 0:2

ბარსელონა

# ბარსას აგერი და ვერმალენი სურს



დანიელ აგერი



თომას ვერმალენი

„ბარსელონას" უმთავრესი პრობლემა დაცვის ხაზში რომ არის, უკვე ცხადზე ცხადია. კატალონიური გრანდი კარს „მშრალად" პრიმერას სუსტ გუნდებთანაც ვერ ინარჩუნებს. ვეტერანი კაპიტანი **კარლეს პუიოლი** ხშირად ტრავმიანობს და ვერც საუკეთესო ფორმაშია, არც სხვები ბრწყინავენ,

ამიტომაც, „დეილი მეილის" ინფორმაციით, „ბარსელონამ" დაცვის ხაზის გამაგრება ინგლისიდან გადაწყვიტა.

„ბარსელონამ" თვალი „ლივერპულის" მცველ **დანიელ აგერსა** (28 წლის) და „არსენალის" კაპიტან **თომას ვერმალენს** (27) დაადგა. აგერში გასულ ზაფხულში „ლივერპულმა" „მანჩესტერ სიტის" 20 მილიონ გირვანქა სტერლინგზეც უარი უთხრა. აგერის შეძენა „ბარსას" ადრეც სურდა. „ბარსას" „დორტმუნდის" მცველი **მატს ჰუმელსი** სურდა, მაგრამ გერმანელები მას ძვირ ფასს ადებენ, ამიტომ ყურადღება ისევ აგერზე შეაჩერეს.

„ბარსელონა" ვერმალენის სანაცვლოდ 15 მილიონ გირვანქას იხდის. და თუ ეს ტრანსფერი შედგა, „ბარსა" „არსენალს" ბოლო 6 სეზონში მესამე კაპიტანს წაართმევს (**ტიერი ანრის** და **სესკ ფაბრეგასის**) შემდეგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# მადლობა ვის? ლავეცის!

## პსჟ მეოთხედფინალში გაიჭრა

„მესტალიაზე" დაფიქსირებული შედეგის გამო ამ წყვილის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა, მაგრამ ზლატან იბრაჰიმოვიჩის გარეშე დარჩენილი პსჟ საპასუხო მატჩში ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, რის გამოც კარლო ანჩელოტის გუნდის მეოთხედფინალში გასვლა მეორე ტაიმში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. თუმცა ჟონასის გოლს ესეკილ ლავეციმ მალევე უპასუხა და წონასწორობა აღადგინა, ვალენსიელებმა კი მეორე გოლის გატანა ვერ შეძლეს და თამაში დამატებით დროში ვერ გადაიყვანეს. ამრიგად, პარიზული გრანდი არსებობის ისტორიაში მეორედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში.



პსჟ-ს ესეკილ ლავეციმ (მარცხნივ) უშველა

**პსჟ-ვალენსია 1:1 (2:1)**

**გოლები:** 0:1 ჟონასი (55), 1:1 ლავეცი (66)
**პსჟ (4-2-2-2):** სირიგუ - ჟალე (27. ვან დერ ვილი), ტიაგო სილვა, ალექსი, მაქსველი - ტიაგო მოტა (58. გამეირო), მატუიდი - შანტომი, პასტორე - ლუკას მოურა (83. სახო), ლავეცი.
**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ბარაგანი, მატიო, რუისი, სისოკო - პარეხო, ალბელდა (46. ბანეგა) - ფეგული (63. პიატი), ტინო კოსტა, ჟონასი (76. ვალდესი) - სოლდადო.
**გაფრთხილება:** ლავეცი - ალბელდა, ვიქტორ რუისი, სოლდადო, პარეხო, ბანეგა
**მაყურებელი:** 44 867

### რეაქციები

**კარლო ანჩელოტი (პსჟ):** *„მართალია, დღეს კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მიმაჩნია, რომ მეოთხედფინალში გასვლა დავიმსახურეთ. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ პირველ ტაიმში ჩემი გუნდი ძალიან არ მომეწონა. ბიჭები თითქოს მოშვებულები იყვნენ და დაბნეულობაც ეტყობოდათ, რის გამოც „ვალენსიამ" ჩვენი დაწნეხა შეძლო. რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, პსჟ თავისებურად მხოლოდ გოლის მიღების შემდეგ ათამაშდა."*

**ერნესტო ვალვერდე (ვალენსია):** *„მიუხედავად იმისა, რომ „მესტალიაზე" წავაგეთ, საპასუხო მატჩში შანსი ბოლო წუთამდე გვქონდა. პირველი ტაიმი ძალიან კარგად ჩავატარეთ, მეორე ნახევარში კი დაღლა დაგვეტყო და პსჟ-ს დასამარცხებლად არც კლასი გვეყო."*

### შემადგენლობები

**კარლო ანჩელოტიმ** ძირითადი შემადგენლობა რამდენიმე პოზიციაზე შეცვალა. **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** დისკვალიფიცირებული გახლდათ, **მარკო ვერატიმ** კი ტრავმის გამო ვერ ითამაშა. მათ გარდა, სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ **ვან დერ ვილი, არმანდი** და **სახოც**. შესაბამისად, ანჩელოტიმ დაცვის ხაზი **ალექსთან** ერთად **ტიაგო სილვათი, ჟალეთი** და **მაქსველით** დააკომპლექტა, ნახევარდაცვის ცენტრში **მატუიდთან** ერთად **ტიაგო მოტა** გაამწესა, მარჯვენა ფლანგზე **შანტომი** დააყენა, ზლატანი კი **ლუკას მოურათი** შეცვალა.

ვალენსიელებს **რამისა** და **რიკარდო კოშტას** სახით წამყვანი მცველები აკლდათ. შესაბამისად, პირველი მატჩისგან განსხვავებით, **ვალვერდემ** დაცვა ახლებურად დააკომპლექტა. ამასთან, მან ძირითადში დააბრუნა **ტინო კოსტა**, რომელმაც **გუარდადო** შეცვალა.

### გოლები

**0:1 ჟონასი (55):** ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ჟონასმა არ იცოდა, რა მოეხერხებინა ბურთისთვის - უბრალოდ 18 მეტრიდან პირდაპირ კარში დაარტყა და ბურთი **სირიგუს** კარის ბადეში გაეხვია.

**1:1 ლავეცი (66): გამეირო** სამ ვალენსიელში გაძვრა და ბურთმა ლავეციმდე მიაღწია, რომლის პირველი დარტყმა **გუაიტამ** მოიგერია, თუმცა დამატებაზე ბურთს მუხლი მიარტყა და ანგარიში მაინც გაათანაბრა.

**გმირი**

### ბლაიზ მატუიდი (პსჟ)

**მატუიდი** ძალიან კარგი იყო ორთაბრძოლებში და ისიც დაამტკიცა, რომ მოედნის ხედვაც უვარგა. ცენტრში მან **ტინო კოსტა** თითქმის ყველა ეპიზოდში დაჩაგრა. თუმცა მატჩის გმირად დასახელების უმთავრესი მიზეზი მაინც ისაა, რომ მატუიდის პასების 96 პროცენტი ზუსტი იყო.

**ანტიგმირი**

### როზერტო სოლდადო (ვალენსია)

**სოლდადო** მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა და ისიც მატჩის დასაწყისში, მერე კი თამაშიდან გაითიშა. ეს მარტო მისი ბრალი არ იყო - რობერტოს ხომ პასები სჭირდება. თუმცა თვითონაც ვერ იხსნებოდა კარგად და თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ტიაგო სილვასა და ალექსის ჩრდილში მოექცა. შედეგი: სოლდადომ სირიგუს კარისკენ მხოლოდ ერთხელ დაარტყა.

**მსაჯი**

**მილორად მაჟიჩს** უყვარს ყველაფრის მყისიერად გარკვევა და არც ჟესტიკულაციებს ერიდება ხოლმე. მან არაერთი დისკუსია გამართა და ცდილობდა, ფეხბურთელებისთვის თითქმის ყველა გადაწყვეტილება დეტალურად აეხსნა. შეიძლება ითქვას, რომ სერბმა უშეცდომოდ იმსაჯა, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მატჩი კორექტული იყო.

**მწვრთნელები**

ანჩელოტიმ ორი თვის უთამაშებელი ტიაგო სილვა ძირითადში გაამწესა, რაც ერთგვარი რისკი იყო. 27 წუთის შემდეგ კარლიტო იძულებული გახდა, დაცვაში დაუგეგმავი ცვლილება გაეკეთებინა, რადგან ჟალე დაშავდა და შესაცვლელი გახდა. როდესაც კი ჟონასმა ანგარიში გახსნა, პარიზელთა იტალიელმა თავკაცმა საყრდენი ნახევარმცველი მოტა შემტევი **გამეიროთი** შეცვალა. ამ ცვლილებამ გაამართლა: ლავეცის გოლში გამეიროს ლომის წილი მიუძღვის.

ვალვერდემაც ხეირიანი შეცვლები გააკეთა: **ალბელდას** ნაცვლად ბანეგას გამოჩენამ და სუსტი **ფეგულის** ნაცვლად **პიატის** გამოყვანამ „ვალენსიას" შეტევებს ეფექტი შემატა. სამაგიეროდ, გაუგებარია, რატომ მოხსნა მატჩის მინურულს თამაშიდან ყველაზე სახიფათო ვალენსიელი ჟონასი - გოლის ავტორს დაღლა თითქოს არ ეტყობოდა.

### რაც თვალში მოგვხვდა

- თავიდან ორივე გუნდს დაულაგებლობა ეტყობოდა. „ვალენსიელები" უფრო მონდომებულები ჩანდნენ.
- თუმცა ვალვერდეს გუნდის შეტევები ზედმეტად ერთფეროვანი გახლდათ: ვალენსიელები უმეტესად თითქმის მხოლოდ ცენტრიდან უტევდნენ. ფეგული ხშირად იწევდა ცენტრში და ერთი სიტყვით, ფლანგზე გარღვევებისა და სოლდადოსკენ ჩაწოდებების ნაკლებობა იგრძნობოდა.
- პარიზელები პირველ ნახევარში შეტევის აწყობისას ხშირად სცოდავდნენ - ანჩელოტის შეგირდები ზედმეტად ბევრ არაზუსტ პასს აკეთებდნენ და მრავალსვლიან კომბინაციებსაც ვერ ახორციელებდნენ. შესაბამისად, თამაშს ტემპი აკლდა.
- ბანეგას შემოყვანით „ვალენსიას" შეტევები გაუმჯობესდა. ვალვერდეს ბიჭებმა უფრო სწრაფად და აზრიანად შეუტიეს. შესაბამისად, ჟონასის გოლი აბსოლუტურად ლოგიკური გახლდათ.
- პსჟ-მ ანგარიში პირველივე ხეირიანი შეტევით გაათანაბრა.
- მეორე ტაიმში ვალენსიელთა ბურთის ფლობის მაჩვენებელმა 61 პროცენტს მიაღწია, მაგრამ ვალვერდეს ბიჭებმა ეს უპირატესობა მეორე გოლში ვერ ასახეს. ესპანელებს იდეები და კრეატივი აკლდათ.

### დასკვნა

თამაში არ გამოვიდა სანახაობრივი, რაც პირველ რიგში პარიზელების ბრალია. ვალენსიელები ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. პსჟ მეოთხედფინალში დამსახურებულად გავიდა, მაგრამ თუ ანჩელოტის შეგირდები არ მოუმატებენ, ნახევარფინალში გასვლა გაუჭირდებათ.

გვერდ მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

# ეფექტური იუვე

## კონტეს ფორმაციის იუვენტუსისთვის ფორმალური მატჩები არ არსებობს

„იუვენტუსი" მეოთხედფინალში რომ გავიდოდა, ეს გლაზგოში დაფიქსირებული 3:0-ის შემდეგაც ყველამ ვიცოდით. საინტერესო ის იყო, რა შემადგენლობით და როგორ ფეხბურთს ითამაშებდა ტურინული კლუბი უმოტივაციო საპასუხო შეხვედრაში. საკმაოდ სახეცვლილი თერთმეტეულით „ბებერმა ქალბატონმა" ისევ გვასიამოვნა და ალესანდრო მატრისა და ფაბიო კვალიარელას გოლებით „სელტიკი" ტურინშიც დაამარცხა. ამრიგად, 2006/07 წლების სეზონის შემდეგ „იუვე" პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. იტალიის ჩემპიონმა ამ სეზონში „ბარსელონას" დამამარცხებელ შოტლანდიურ გუნდს შანსი არ დაუტოვა.



ლეონარდო ბონუჩი, არტურო ვიდალი და ფაბიო კვალიარელა ამ უკანასკნელის გოლს ზეიმობენ

**იუვენტუსი-სელტიკი 2:0 (3:0)**

**გოლები:** 1:0 მატრი (24), 2:0 კვალიარელა (65)
**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარძალი, მარონე, ბონუჩი - პადოინი, ვიდალი (67. ისლა), პირლო (69. ჯაკერინი), პოგბა, პელუზო (59. ასამოა) - კვალიარელა, მატრი.
**სელტიკი (4-3-2-1):** ფორსტერი - მეტიუსი (52. ფორესტი), ვილსონი, ვანიამა (46. ამბროუზი), ისაგირე - კაიალი, მალგრიუ, ლედლი - კომონსი (73. ნუიუი), სამარასი - ჰუპერი.
**გაფრთხილება:** პელუზო - ისაგირე
**მაყურებელი:** 39 011

როგორც მოსალოდნელი იყო, შოტლანდიელებმა შეუტიეს, ტურინელებმა კი აქცენტი კონტრშეტევებზე გააკეთეს. შესაბამისად, ლოგიკურია ის, რომ „სელტიკმა" სხვადასხვა დროს ბურთის ფლობის 70-პროცენტიან მაჩვენებელს მიაღწია.

პირველი კარგი მომენტი გლაზგოელებს შეექმნათ: 22-ე წუთზე **ჯო ლედლის** დარტყმა **ჯიჯი ბუფონის** კარს მცირე მანძილით ასცდა. ზუსტად ორ წუთში „იუვემ" ანგარიში გახსნა: **ფორსტერმა ფაბიო კვალიარელას** დარტყმა კი მოიგერია, მაგრამ **მატრის** დარტყმულს ველარ გაუმკლავდა. შოტლანდიელებს მალევე შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, როცა **კრის კომონსის** დარტყმის შემდეგ **ჰუპერმა** ბურთს ბუფონის მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს შეუცვალა მიმართულება, მაგრამ ჯიჯიმ ამაზეც მოასწრო რეაქცია და ტურინელები გადაარჩინა.

**ანტონიო კონტეს** შეგირდები თავდაჯერებულები, მაგრამ საკმაოდ მოდუნებულები იყვნენ, რის გამოც გლაზგოელებს გატანა 35-ე წუთზეც შეეძლოთ, როცა **სამარასის** ჩაწოდებულს ჰუპერი ხეირიანად ვერ გამოეხმაურა.

მიუხედავად იმისა, რომ „სელტიკის" მეოთხედფინალში გასვლის არავის სჯეროდა, ტურინში ჩასული შოტლანდიელი ფანები თავის გუნდს პირველიდან ბოლო წუთამდე მხურვალედ ქომაგობდნენ.

კვალიარელას გოლის შემდეგ, რომელმაც კონკრეტულად საპასუხო მატჩის ბედიც გადაწყვიტა, „იუვე" მხოლოდ მატჩის ჩამთავრებაზე ფიქრობდა.

*„ვინც ფიქრობს, რომ იოლი მატჩი გვქონდა, ძალიან ცდება. გლაზგოელებმა თავიდან მედგრად შემოგვიტიეს და ანგარიში რომ გაეხსნათ, მართლა გაგვიჭირდებოდა. კარგია, რომ გადამწყვეტ მომენტებში ცივსისხლიანად ვიმოქმედეთ,"* - განაცხადა პირველი გოლის ავტორმა მატრიმ საფინალო სასტვენის შემდეგ.

*„სელტიკსა" და „იუვენტუსს" შორის მთავარი განსხვავება თავდასხმაა. დღესაც ორივეს თანაბრად გვქონდა მომენტები - ტურინელებმა გამოიყენეს, ჩვენ - ვერა! ბუფონი უცხოპლანეტელია,"* - ეს შოტლანდიური გრანდის თავკაც **ნეილ ლენონის** სიტყვებია.



## უცხოური ფეხბურთი

ლეგენდა

# დი სტეფანო: ესპანური პრესა ჟოზეს გადაყენებას ცდილობს




მადრიდის „რეალის“ ლეგენდა და საპატიო პრეზიდენტი **ალფრედო დი სტეფანო** მიიჩნევს, რომ ესპანური მედია ჩასაფრებულია და **ჟოზე მოურინიოს** მოხსნა აქვს გულში ამოჭრილი.

ამასთან ლეგენდარულმა ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ ჟოზე მოურინიო კლუბის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით სარგებლობს და თავადაც დიდი სურვილი აქვს, მომავალშიც ის იყოს „სამეფო კლუბის“ მესაჭე.

*„ესპანური მედია მთელი ძალებით ცდილობს ჟოზე მოურინიოს გადაყენებას, მაგრამ ჟოზეს მხარს კლუბის ხელმძღვანელობა და გულშემატკივრები უჭერენ. არ ვიცი, რას ერჩიან, რატომ არ ესიმპათიურებათ. ალბათ, იმიტომ, რომ ხშირად უწევთ მოურინიოს გამო წვალება. ამას იმიტომ ვამბობ ღიად, რომ მსურს მომავალ სეზონშიც „რეალი“ მან გაწვრთნას. როცა კონტრაქტი დაუსრულდება, ჟოზეს შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც თავად მიიჩნევს საჭიროდ“,* - განაცხადა დი სტეფანომ.

დანაშაული და სასჯელი

# ბერლუსკონი, ერთი წლით ვირის აბანოში

„მილანის“ პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონის** იტალიის სასამართლომ 1-წლიანი ციხე მიუსაჯა. მან ერთ-ერთ გაზეთში უკანონოდ გამოაქვეყნა პოლიტიკური ოპონენტისა და სადაზღვევო ფირმა „უნიპოლის“ შეფის საიდუმლო ლაპარაკი. რის შემდეგაც ამ კომპანიამ იტალიის ერთ-ერთი ბანკი ვეღარ შეიძინა.

სხვათა შორის, გაზეთი,სადაც ეს ინფორმაცია სილვიომ გამოაქვეყნა, მის ძმას **პაოლო ბერლუსკონის** ეკუთვნის, ვისაც 2 წელი და 3 თვე შეუფარდეს. ამჟამად სილვიო ბერლუსკონი თავისუფალია და სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


სილვიო ბერლუსკონი

ამბები

## დიუფი ჰანოვერიდან მიდის?

ამას წინათ „ჰანოვერის“ პრეზიდენტმა **მარტინ კინდმა** განაცხადა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ **მამე დიუფს** ახალი კონტრაქტი გავუფორმოთო, მაგრამ ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა. სენეგალელ ფორვარდს „წითლებთან“ ხელშეკრულება გაისად, 2014 წლის ზაფხულში უმთავრდებოდა და ჰანოვერელებს მისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება ძალიან უნდოდათ, რადგან დიუფი შესანიშნავად თამაშობს და მსურველები მოუმრავლდა. „კიკერის“ ცნობით, 25 წლის თავდამსხმელმა „ჰანოვერის“ შეფების მორიგ, გაუმჯობესებულ შეთავაზებაზეც უარი თქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მირკო სლომკას გუნდს ან მომავალ ზაფხულს დატოვებს, ანაც გაისად უფასოდ წავა.

მამე დიუფი „ჰანოვერში“ 2012 წლის იანვარში, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ გადავიდა და წინა სეზონში „წითლებს“ 10 მატჩში 6 გოლით შეეწია (პლუს 5 მატჩი და 4 გოლი ევროპალიგაში). მიმდინარე სეზონში დიუფმა ბუნდესლიგის 19 მატჩში 10 გოლის გატანა შეძლო, გერმანიის თასზე 2 თამაშში ორჯერ იხეირა, ევროპალიგაში კი 6 შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა. ამბობენ, მისი გადაბირება დორტმუნდის „ბორუსიას“ უნდაო...

## ბალაკის გამოსათხოვარი მატჩი ზაფხულში დაიგეგმა

გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტნის, **მიხაელ ბალაკის** გამოსათხოვარი მატჩი 5 ივნისს, ლაიპციგში გაიმართება. ეს ინფორმაცია 36 წლის მიხაელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გაახმაურა. სხვადასხვა ვარსკვლავთან ერთად, ბალაკი თავის გამოსათხოვარ შეხვედრაზე ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვსაც** დაპატიჟებს. მატჩში ერთმანეთს ბალაკის მეგობრებით დაკომპლექტებული გუნდი და მსოფლიოს ნაკრები დაუპირისპირდებიან. მიხაელის გუნდში სხვებთან ერთად **ბერნდ შნაიდერი** და **ოლივერ ნოივილიც** ითამაშებენ.

*„მსოფლიო ნაკრებში თამაშზე უკვე თანხმობა მითხრეს ბასტიან შვაინშტაიგერმა და ანდრეი შევჩენკომ. გუნდის მწვრთნელი კი ჟოზე მოურინიო იქნება,“* - განაცხადა ბალაკმა, რომელიც ორივე გუნდში ითამაშებს. საინტერესოა, მიიღებს თუ არა მიხაელის მიპატიჟებას ლიოვი - მას და ბალაკს ხომ ცუდი ურთიერთობა აქვთ.

## როლფესის ახალი კონტრაქტი

„ლევერკუზენის“ კაპიტანმა **სიმონ როლფესმა** „ფარმაცევტებთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2015 წლის 30 ივნისამდე აქვს. 31 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა, რომელიც „ბაიერში“ 2005 წლიდან თამაშობს (მანამდე აახენის „ალემანიაში“ იყო), ბოსებისგან შეთავაზება რამდენიმე კვირის წინ მიიღო და მაშინ მოსაფიქრებელი დრო ითხოვა. ამის მიზეზი ისაა, რომ როლფესს ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებენ - მწვრთნელები, **საშა ლევანდოვსკი** და **სამი ჰიიპია ლარს ბენდერს, გონსალო კასტროსა** და **შტეფან რაინარტცს** როლფესზე წინ აყენებენ ხოლმე.

**გოტფრიდ ლენცი**

## ქართული სპორტი

ჭიდაობა. პრესკონფერენცია

# ჩემპიონატს მინისტრთა კაბინეტიც ამზადებს

## ყიფიანი სპორტის ახალ სასახლეს დაგვპირდა

**გუშინ საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში 19-24 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში გასამართი ევროპის ჩემპიონატისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძესთან ერთად საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი და მისი მოადგილე თამაზ თევზაძე უძღვებოდნენ.**




*„ეს ჩემპიონატი ისე უნდა ჩავატაროთ, როგორც საქართველოს და ქართველ ხალხს ეკადრება. ეროვნულ ნაკრებებთან ერთად ყველა უნდა ვეზიაროთ იმ სიხარულს, რასაც ჩვენი წარმატება ჰქვია. სამინისტროსთან ერთად 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ, რათა ყველა ტექნიკური საკითხი, ყველა დეტალი დროულად მოვაგვაროთ“* - თქვა შესავალ სიტყვაში კურტანიძემ, რომელმაც ხაზი ამ ტურნირით ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების დაინტერესებასაც გაუსვა. მისი თქმით, მზადების ეტაპს თვით ქვეყნის პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი** აკონტროლებს, ამასთან, შეჯიბრების მაღალორგანიზებულად ჩასატარებლად სამინისტროს გარდა, სამთავრობო კომისიაცაა შექმნილი.

*„ჭიდაობაში ამ დონის ტურნირი პირველად ტარდება საქართველოში და მისი ღირსეულად მასპინძლობა ძალზე მნიშვნელოვანია. სპორტის სამინისტრო ჭიდაობის ფედერაციასთან ერთად ყველაფერს აკეთებს საამისოდ. საორგანიზაციო საქმეებში მინისტრთა კაბინეტია ჩართული, რამე პრობლემა რომ არ შეიქმნას. უკვე ყველა დეტალი გაწერილია და დამუშავებული. ჩემპიონატში 47 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, მთლიანად კი თბილისში 1000-მდე სტუმარს ველოდებით. შეჯიბრების გარდა, საერთაშორისო ფედერაცია სამსაჯო თუ სხვა სახის სემინარებს და კონგრესსაც მართავს, გვეწვევიან სხვადასხვა ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციათა პრეზიდენტები, 14 მარტიდან უკვე დაიწყება სტუმრების ჩამოსვლა და მათ სამასპინძლოდ მზად უნდა ვიყოთ. ტექნიკურად ყველა საკითხი შეთანხმებულია, მათ შორის - გახსნა-დახურვის ცერემონიალი“* - თქვა ყიფიანმა. მისივე ცნობით, ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში აღინიშნება **ლევან თედიაშვილისა** და **გურამ სალარაძის** საიუბილეო თარიღები, რომელთაგანაც პირველს დაბადების დღე 15 მარტს, მეორეს კი 21-ში აქვს.

*„მსოფლიოს საჭიდაო სამყაროში ატეხილი იმ ცნობილი სკანდალის შემდეგ ეს პირველი ოფიციალური ტურნირია. თან ევროპის კონტინენტი ჭიდაობაში წამყვანია და ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ, ამ პირველობის მასპინძლობით ქართულმა საჭიდაო სამყარომ თავისი წვლილი შეიტანოს იმ საერთო საქმეში, რომ ჭიდაობა დარჩეს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში“* - განაცხადა თევზაძემ.

■ ■ ■

გამომსვლელებმა ძალიან ბევრი ისაუბრეს ჩემპიონატის გაშუქების, მისი პოპულარიზაციის თუ მაყურებელთა მოზიდვის საქმეში მასმედიის როლზე. პრესკონფერენციის ძირითადი ნაწილიც ამ თემაზე საუბარმა წაიღო, რადგან სპორტის სასახლეში მთლად იდეალური პირობები არ არის ჟურნალისტთა მუშაობისთვის. სხვას თავი დავანებოთ, პრესლოჟაში ინტერნეტიც კი არაა ხეირიანი, რომ შეუფერხებლად იმუშაო, არა და არ დაადგა საშველი პრესცენტრის მოწყობასაც, რომ იქ თუნდაც მაგიდა-სკამები მუდმივად იდგეს და ყოველი შეჯიბრების წინ ტურნირის ორგანიზატორ ფედერაციას საძებარი არ ჰქონდეს ეს ელემენტარული რამეც კი. სხვა საქმეა, რომ ჟურნალისტებს პრესლოჟიდან პრესცენტრში მოსახვედრად ცხრაპარტია კიბეებზე გვიწევს ასვლა-ჩამოსვლა, ლოჟაში ერთადაა ადგილები ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლებისა და ტელეოპერატორებისთვის, რაც ისედაც ვიწრო ფართს საერთოდ გაუვალს ხდის. არადა, უცხოეთში ყველა ნორმალურ ბაზაზე ტელეოპერატორებს ცალკე ქანდარა ეთმობათ. სპორტის სასახლე არც ტექნიკურადაა მზად ასეთი მასშტაბის შეჯიბრებების მასპინძლობისთვის. მაგალითად, ძალზე მოუხერხებელია და პატარაა მოსათელი დარბაზი, რომლისთვისაც ხან დერეფანს გადატიხრავენ ხოლმე და ხან კალათბურთელთა დარბაზს იყენებენ, თუმცა იქაც ისეთი სიმჭიდროვეა... აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამ დარბაზშიც უნდა იყოს გათბობა, მონიტორები, ტელევიზორები, სადაც გამოსვლის მოლოდინში მყოფი ფალავნები საკუთარ რიგსაც მიადევნებენ თვალს და - ტურნირის მსვლელობას, კონკურენტთა გამოსვლებსაც. არადა, სპორტის სასახლეში ფართი არის, მაგრამ იმდენად მოუხერხებელი კონსტრუქციაა, ვერ იყენებ. სხვათა შორის. ორიოდე კვირის წინ ფედერაციებთან შეხვედრისას თევზაძემაც გაუსვა ხაზი, რომ შენობა ერთ დროს ნამდვილად იყო პროგრესული მოვლენა ქართული სპორტისთვის, თუმცა დღევანდელ მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებს. ყიფიანმა განმარტა, რომ დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში სპორტის სასახლეში სერიოზული რეფორმები ვერ ჩატარდებოდა,

**ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ, ამ პირველობის მასპინძლობით ქართულმა საჭიდაო სამყარომ თავისი წვლილი შეიტანოს იმ საერთო საქმეში, რომ ჭიდაობა დარჩეს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში**



მარცხნიდან: ლევან ყიფიანი, ლუკა კურტანიძე, თამაზ თევზაძე

>> მე-11 გვერდზე

« მე-10 გვერდიდან

სამომავლოდ კი ახალი სასახლის აშენება იგეგმება, სადაც სპორტის თანამედროვე მოთხოვნები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. კურტანიძე დაგვპირდა, რომ ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს პრესცენტრის ნორმალურად, შეუფერხებლად მუშაობისთვის და დახმარება ჟურნალისტებსაც გვთხოვა, რათა ჩემპიონატი კარგად გაშუქდეს. არადა, ეს მით უფრო საშური საქმეა, რომ, როგორც თევზაძემ გვითხრა, 20-მდე უცხოელმა ჟურნალისტმა უკვე გამოთქვა ჩამოსვლის სურვილი, აკრედიტაცია კი დღეიდან იწყება. მსურველებს საკრედიტაციო ფორმის შევსება სპორტის სამინისტროს საიტის მეშვეობით შეუძლიათ. ჩემპიონატის გასაშუქებლად დღეიდან ჭიდაობის ფედერაციის საიტიც ამოქმედდება, რომელთან ერთადაც სამინისტროს საიტიც იმუშავებს. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია პირდაპირ რეპორტაჟსაც მოამზადებს, ჩვენები კი ამაში მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს.

■ ■ ■

პრესკონფერენციას ახალგაზრდების დიდი ჯგუფიც ესწრებოდა - ესაა ეგრეთ წოდებული მოხალისეთა ჯგუფი, რომლებიც ტურნირს მოემსახურებიან. კურტანიძის განმარტებით, ჩემპიონები მედლებთან ერთად ქართულ ქამრებსაც მიიღებენ საჩუქრად, როგორც ეროვნულ სუვენირს. საერთოდ, ჩემპიონატი კულტურული ღონისძიებით დატვირთული იქნება, რათა ქვეყნის პოპულარიზაციის ასეთი ჩინებული შანსი გამოვიყენოთ და სტუმრებს გავაცნოთ ჩვენი კულტურა.

თვით ჩემპიონატს რაც შეეხება, საშეჯიბრებო ნაწილი 19 მარტს კი იწყება, თუმცა ოფიციალური მხარე ბევრად ადრე გაჩაღდება. მაგალითად, 17-ში უკვე მსაჯთა დეპარტამენტის შეხვედრაა. იმავე დღეს ჩამოვლენ ინსტრუქტორები FILA-დან და მსაჯები. 18 მარტს მსაჯთა სემინარი და ჭიდაობის ევროპული ფედერაციის (ჩელა) კონგრესია. 19-ში უკვე ჭიდაობები დაიწყება და თავდაპირველად ტურნირში თავისუფალი სტილით მოჭიდავენი და ქალები ჩაებმებიან - პირველი ოთხი დღე მათ დაეთმობათ. 19-ში ვაჟთაგან 66-96-ის ფალავნები იჭიდავებენ, ქალთაგან კი - მხოლოდ 48 კილოგრამის წარმომადგენლები. 20-ში ლეიბზე „თავისუფალთაგან" 55-60, ქალთაგან კი 51-59-ის

**ლოჟაში ერთადაა ადგილები ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლებისა და ტელეოპერატორებისთვის, რაც ისედაც ვიწრო ფართს საერთოდ გაუვალს ხდის**

მოჭიდავეები გავლენ. 21 მარტს ვაჟთაგან 74-120-ის ათლეტები იასპარეზებენ, მანდილოსანთაგან - 55-67-ის. 22 მარტს „თავისუფალთა" ტურნირს 84-კილოგრამიანი ფალავნები დაასრულებენ, ქალებისას - 63 და 72-იანები. 23-24 მარტი ბერძენ-რომაელებს დაეთმობათ. თავდაპირველად 55, 60, 96 და 120-ის მოჭიდავებს ვიხილავთ ასპარეზზე, 66, 74 და 84 კილოგრამების წარმომადგენლები კი ჩემპიონატის ბოლო დღეს, 24 მარტს იჭიდავებენ.

ტურნირის რეგლამენტი განსხვავებული მხოლოდ პირველ დღესაა - საკვალიფიკაციო წრის შეხვედრები 19 მარტს 13 საათზე დაიწყება და 17-მდე გაგრძელდება. 17.15-ზე პირველობის გახსნის ცერემონიალი დაიწყება, რომელიც ზუსტად ნახევარ საათს გასტანს, ფინალური ბლოკი კი 18 საათზე დაიწყება და 20-ზე დასრულდება. დანარჩენ დღეებში განრიგი ერთნაირია - საკვალიფიკაციო ეტაპი 13 საათზე დაიწყება, ფინალები - 18 საათზე...

გუშინდელ პრესკონფერენციაზე მაყურებელთა დასწრების აუცილებლობაზეც არაერთხელ ითქვა, რაც მართლაც საშურია. ბილეთის ფასი ჯერ დადგენილი არაა, თუმცა როგორც არაოფიციალურად გვითხრეს, ვარაუდობენ, რომ 2-5 ლარის ფარგლებში იქნება. ამასთან, იმუშავებს აბონენტების სისტემაც, რაც ევროპის პირველობაზე დასწრების მსურველებს (ასეთი კი, დარწმუნებული ვართ, ბევრი იქნება) ფინანსურ შეღავათებს მისცემთ.

**ირაკლი თავაძე**

---

● ჭადრაკი

# რუსეთთან მატჩში გადაწყდება...

ანა ზატონსკიხი უკრაინელი დიდოსტატია, არაერთხელ წარმატებით დაუცავს თავისი ქვეყნის სპორტული ღირსება. რამდენიმე წელიწადია, ამერიკაში გადასახლდა და ახლა ოკეანისგაღმელთა სახელით გამოდის შეჯიბრებებზე. ასტანაში მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში აშშ-ის ნაკრების პირველ დაფაზე თამაშობს. გუშინ მე-5 ტურში მას თეთრი ფიგურებით **ბელა ხოტენაშვილი** დაუპირისპირდა (მწვრთნელთა შტაბმა ჩვენი გუნდის ლიდერი **ნანა ძაგნიძე** დაასვენა). ქართველმა დიდოსტატმა დებიუტშივე მიაღწია პოზიციურ უპირატესობას, რაც ენდშპილში მატერიალურში გადაიზარდა და 44-ე სვლაზე ხოტენაშვილმა თავის გუნდს ქულა მოუტანა. **ნინო ხურციძემ** მე-40 სვლაზე გააჩერებინა საათი თათევ აბრაჰამიანს, **სალომე მელიამ** შავი ფიგურებით ვიქტორია ნის დასამარცხებლად 37 სვლა იკმარა. ირინა კრუში და **ლელა ჯავახიშვილი** 47-ე სვლაზე დაზავდნენ. ამდენად, გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა 3,5:0,5 და გუნდური 7 ქულით ჩინელებთან მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს. აზიელებმა გუშინ უკრაინელებთან **1:3** წააგეს (ცზიუ ვენძიუნი - კატერინა ლაგნო 0,5:0,5, ანა უშენინა - ჰუან ძიანი 1:0, თან ჟონი - მარია მუზიჩუკი 0,5:0,5, ნატალია ჟუკოვა - გუო ძი 1:0). **საფრანგეთი - რუსეთი 0,5:3,5** (სოფი მილე - ვალენტინა გუნინა 0:1, ალექსანდრა კოსტენიუკი - ანდა შაფრანსკა 1:0, სილვია კოლასი - ნატალია პოგონინა 0,5:0,5, ოლგა გირია - ნატაშა ბენგმეშბახი 1:0), **ყაზახეთი - ინდოეთი 1:3** (გულისკან ნახბაიევა - ეიშა კარავადე 0,5:0,5, რუთ რადმინი - დინარა სადუაკასოვა 1:0, მადინა დავლეტბაიაევა - მერი გომესი 0:1, სვამინათან სოუმია - ჟანსაია აბდუმალიკი 0,5:0,5). **თურქეთი - რუმინეთი 2:2** (ბეთულ ილდიზი - ირინა ბულმაგა 1:0, ელენა კოსმა - კუბრა ოზთურქი 0:1, კარდელენ კემხანი - ალინა ლამი 0:1, კარმენ ვოიცუ-იაგოდინსკი - სელენ სოპი 1:0).



მარჯვნივ სალომე მელია

ხუთი ტურის შემდეგ: რუსეთი (16), უკრაინა (13) - 9-9, ჩინეთი (13), საქართველო (13) - 7-7, ინდოეთი (10,5) - 6, რუმინეთი (8,5), აშშ (7,5) - 4-4, ყაზახეთი (7,5) - 2, თურქეთი (6), საფრანგეთი (5) - 1-1 ქულა.

მოჭადრაკეები დღეს დაისვენებენ. ხვალ საქართველოს ნაკრებს მეტად პრინციპული შეხვედრა ელის რუსეთის გუნდთან. ამ პაექრობის შედეგზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენების ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი. ამიტომ, არც გვეეჭვება, რომ დღეს საქართველოს დელეგაციას დასასვენებლად არ ეცლება - მწვრთნელებიცა და მოჭადრაკეებიც გამარჯვების გზების საძიებლად არაფერს დაიშურებენ. ჩვენს უმთავრეს მეტოქეებს - უკრაინელებსა და ჩინელებს იოლი გასეირნება ელით, რადგან აუტსაიდერებს - ფრანგებსა და რუმინელებს დაუპირისპირდებიან და მოგების შანსს ხელიდან არ გაუშვებენ. ინდოელები ამერიკელებს, ყაზახები კი თურქებს გაუწევენ მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

---

# ბოლო ტურის წინ

ირანულ ხაზარში მოჭადრაკეთა მე-11 საერთაშორისო ფესტივალზე **შოთა აზალაძემ,** რომელმაც **დავით ბენიძესთან** ერთად მეშხედის ტურნირიდან ჩამოსვლა დააგვიანა და პირველ ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა ჩაეწერა, ბოლო სამ ტურში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა - ზედიზედ სძლია მანუელ პეტროსიანს, **ბაჩანა მორჩიაშვილსა** და არაშ როხანს, მორჩიაშვილმა, თავის მხრივ, სარასადათ ხადემალშარისა და ვირგინიუს გრამლიუსკასს აჯობა, **ლევან ფანცულაიამ** მირადილ ზეინალი და მოჰამად ხადემი დაამარცხა, ამირეზა პურამეზანალის კი დაუზავდა, დავით ბენიძემ ფერეიდონ ეზატ და არიან ხოლამი დაჯაბნა, სარგის მანუკიანთან კი ქულა გაიყო. გუშინ ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: პურია დარინი-ჰომეინ ტუფიგი 0.5:0.5, მისრათდინ ისკანდაროვი-ჰამედ მოოსავიანი 0:1, ალი ფახირნავაზი-სერგეი ვოლკოვი 0:1.

ბოლო ტურის წინ 8-8 ქულით აზალაძე და მოოსავიანი (ირანი) ლიდერობენ. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს ვოლკოვმა (რუსეთი), დარინიმ და ტუფიგმა (ორივე-ირანი). 6 მოჭადრაკეს, მათ შორის - ფანცულაიას და მორჩიაშვილს 7-7 ქულა აქვთ, ბენიძეს - 6,5 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ინტერესს იწვევს მოოსავიანი-აზალაძის, ვოლკოვი-დარინის, ტუფიგი-ფანცულაიას, როგხანი-ისკანდაროვის, ასკარიზადეხი-ბენიძის ორთაბრძოლები. საპრიზო ადგილების ბედიც ამ პაექრობების შედეგებით გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**

---

● მძლეოსნობა

# მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავ

ამას წინათ დიდუბის მანეჟში საქართველოს მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატზე სტაიერმა **თენგიზ ლვინჯილიამ** 1500 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი მოიპოვა, 800 მეტრზე კი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. 26 წლის მძლეოსნისთვის ეს არ ყოფილა პირველი წარმატება...

სოხუმიდან ოტებულმა ლვინჯილიების ოჯახმა (დედა და სამი ვაჟი, მამა აფხაზეთის ომში დაიღუპა) ზუგდიდს შეაფარა თავი. თენგიზი 9 წლის იყო, მძლეოსნობაში რომ დაიწყო ვარჯიში **რევაზ ბუკიას** ხელმძღვანელობით. 2003 წელს საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში 800 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა. პერსპექტიულ ახალგაზრდას თბილისში გადმოსვლა შესთავაზეს. დედაქალაქში ჯერ **ედუარდ ლომთაძე** ამეცადინებდა, ახლა **თენგიზ გელდიაშვილთან** იმაღლებს ოსტატობას. განვლილ 10 წელიწადში რამდენჯერმე მოიგო საქართველოს ჩემპიონატები 800 და 1500 მეტრზე რბენაში, 2009-2010 წლებში აზერბაიჯანისა და სომხეთის ღია პირველობებში ყველას აჯობა 800 მეტრზე, ისრაელში მე-3 ადგილზე გავიდა.

- ის იყო 800 მეტრზე საქართველოს სარეკორდო ზღვარს მივუახლოვდი, რომ ორი წლის წინათ ტრავმა მივიღე, - მითხრა თენგიზ ლვინჯილიამ. - ბევრი დრო გამიცდა. ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდან დავიწყე - შარშან მაისში განვაახლე ვარჯიში. ნელ-ნელა ვუბრუნდები ჩვეულ ფორმას. წლეულს ორი მიზანი დავისახე - 800 მეტრზე საქართველოს რეკორდის დამყარება და დიდ ბრიტანეთში გუნდურ ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება. მით უმეტეს, რომ მთელი ზამთარი ვარჯიში არ შემიწყვეტია. ჩვენმა ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა მანეჟის გასათბობად. ახლა იქ წვრთნის ნორმალური პირობებია.

**- აბა, ხელს რა გიშლის?**

- 200 ლარს ვიღებდი სტიპენდიას, რომელიც ჩემთვის საარსებო წყარო იყო. იმასაც ეკონომიურად ვხარჯავდი, რომ შეძლებისდაგვარად ოჯახსაც დავხმარებოდი; იანვრიდან სტიპენდია მომიხსნეს. თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნები, აქტიურ სპორტს ჩამოვშორდე და სამუშაო ვეძებო.

**- მომავალ უქმეებზე კროსში საქართველოს საგაზაფხულო ჩემპიონატში იასპარეზებ?**

- რადგან მომზადებული ვარ, ალბათ, გამოვალ. მერე კი ვნახოთ. არადა, ძალიან მინდოდა მაისში საქართველოს ღია პირველობაში მიმეღო მონაწილეობა, რადგან ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე წამსვლელთა ვინაობა იქ გაირკვევა...

**P.S.** თენგიზ ლვინჯილიასთან საუბრის შემდეგ მის სტიპენდიასთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **ვასილ ბერიშვილს** ვთხოვეთ.



თენგიზ ლვინჯილია

აი, რა გვითხრა მან: *"სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მითითებით, სტიპენდიები დაენიშნებათ მხოლოდ იმ ათლეტებს, რომლებიც სპორტის ოსტატისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგებს აჩვენებენ. ასე რომ, სტიპენდია არა მარტო ლვინჯილიას, არამედ საქართველოს ბევრ მძლეოსანს მოეხსნა, რომლებიც ჯერჯერობით ამ ნორმატივებს ვერ აკმაყოფილებენ".*

**ვაჟა დანელია**

---

● ცურვა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ბოლქვაძე (მარცხნივ) და თემურ კობახიძე

# ბერლინიდან ორი ბრინჯაოთი

გერმანიის დედაქალაქში დამთავრდა მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის (ივლისი, ბარსელონა) სალიცენზიო შეჯიბრებაც იყო. ევროპის 27 ქვეყნის 1500 წარმომადგენელს შორის ოთხი ჩვენებურიც **(ირაკლი რევიშვილი, ირაკლი ბოლქვაძე, დავით სიხარულიძე, თემურ კობახიძე,** დელეგაციის ხელმძღვანელი **ირინა მინჟულინა)** ცდიდა ძალებს. ქართველმა სპორტსმენებმა ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ირაკლი ბოლქვაძემ 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 2.10,55-ით მე-3 ადგილი დაიკავა. იგი 2012 წლის ევროპის ახალგაზრდული პირველობის ბრინჯაოს პრიზიორია 200 მეტრზე ბრასში, მერე ლონდონის ოლიმპიურ თამაშებშიც იასპარეზა. როგორც ირინა მინჟულინამ გვითხრა, ბოლქვაძეს ამ დისციპლინაში უკვე აქვს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური, ახლა 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში იბრძოლებს ლიცენზიებისთვის. 200 მეტრზე კომპლექსში მისი საუკეთესო შედეგია 2.05,30 (სალიცენზიო ნორმატივი 2.04,19). კობახიძეს 400 მეტრი კომპლექსით 4.29,61-ში აქვს დაფარული, საგზურის მოსაპოვებლად კი ეს დისტანცია 4.28,30-ში უნდა გაცუროს, რაც მისთვის პრობლემა არ უნდა იყოს.

ბერლინში საქართველოს დელეგაციას მეორე ბრინჯაო თემურ კობახიძემ მოუტანა 1995-1996 წლებში დაბადებულთა შორის - 100 მეტრი ბატერფლაით 56,99 წამში დაფარა (სალიცენზიო ნორმატივი - 54,41), 50 მეტრზე ბატერფლაით (25,45) მე-4 ადგილი დაიკავა. ამ შედეგით თანატოლებს შორის ევროპულ რეიტინგში მეშვიდეა. საქართველოს ჩემპიონატში თემურმა 50 მ გაცურვას 0,04 წამით ნაკლები მოანდომა, რითაც ქვეყნის რეკორდი გააუმჯობესა. აქ სალიცენზიო ნორმატივია 24,80 წამი. კობახიძემ ბატერფლაით 200 მეტრზეც მოსინჯა ძალები და მე-8 (2.10,33) ადგილი დაიკავა. საგულისხმოა, რომ წლეულს ივლისის დასაწყისში იგი ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში (პოლონეთი) იასპარეზებს.

ირაკლი რევიშვილმა ბერლინში 200 მეტრი თავისუფალი ყაიდით წუთსა და 55,89 წამში გაცურა. არადა, შარშან თურქეთის ტურნირზე სალიცენზიოზე (1.52,21) ნაკლები დრო (1.51,81) აჩვენა, ოღონდ ის შეჯიბრება საგზურებს არ იძლეოდა. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების პრობლემა რევიშვილს არ უნდა შეექმნას, არც დავით სიხარულიძეს, საფუძველს ამ დისტანციაზე მისი საუკეთესო შედეგი (1.54,07) იძლევა.

ოთხივე ქართველი მოცურავე ახლა მონდომებით ემზადება მორიგი სალიცენზიო ტურნირისთვის, რომელიც 4-7 აპრილს ეინდჰოვენში (ჰოლანდია) გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

---

● ჩოგბურთი

# რევანში არ შედგა

ანთალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) **სოფიო შაფათავამ** ერთეულთა თანრიგი პირველ წრეში სლოვაკ ვივიენ იუჰაჟოვასთან წააგო, სამაგიეროდ, წყვილებში მიეცა რევანშის შანსი, მას შემდეგ, რაც ალიონა ფომინასთან ერთად სტარტზე პატრისია ლანგრანჯანსა (რუმინეთი) და გაბრიელა პორუბინს (მოლდოვა) სძლია. სამწუხაროდ, რევანში არ შედგა, რადგან მეოთხედფინალში ქართულ-უკრაინული დუეტი აგნეს ბუკტასთან (უნგრეთი) და ვივიენ იუჰაჟოვასთან სამ სეტში დამარცხდა - 6:7, 6:3, 8:10. ქართველი ჩოგბურთელი ანთალიურ ტურნირს დაემშვიდობა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

● ერთა თასი

# ბორჯღალოსნებმა და ლომებმა რაზმები გადაახალისეს

**საქართველოს ნაკრები ხვალ ერთა თასის მორიგი ტურის მატჩში ესპანეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ბორჯღალოსნებმა" განვლილ სამ ტურში სამივე შეხვედრა მოიგეს და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცნენ. სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში არიან ესპანელი „ლომები". მათ სამი მატჩიდან ორი წააგეს, ერთში ფრეს მიაღწიეს და ბოლო ადგილზე არიან.**



ესპანეთის ნაკრები

ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელებმა, როგორც წესი და რიგია, საბრძოლო რაზმები მატჩამდე 48 საათით ადრე დაასახელეს. **მილტონ ჰეიგმა** საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. მთავარი სიახლე ისაა, რომ ძირითად შემადგენლობაში ბოლო მატჩს ითამაშებს **ირაკლი აბუსერიძე.** მას ქართველი გულშემატკივარი საზეიმოდ გააცილებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით ღვაწლმოსილ მორაგბეთა გაცილება ტრადიცია გახდება. ივნისში, თბილისში გასამართ ტურნირსა და ნოემბრის ტესტებზე კიდევ რამდენიმე „ბორჯღალოსანს" გავაცილებთ, იმათ, ვისაც ნაკრებში 50 კეპზე მეტი მოუგროვებიათ.

საგულისხმოა, რომ ესპანელებთან მატჩში 50-ედ მოირგებს ეროვნული ნაკრების კვართს მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე,** შუამარბი **დავით კაჭარავა** კი საქართველოს ნაკრებში მე-60 მატჩს გამართავს.

ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს შერკინების კვაჭი **რეზო ბელქანია,** რომელიც გუნდს სოჭში არ ახლდა. ძირითად შემადგენლობაში დაიწყებენ თამაშს **ვასილ კაკოვინი, დავით ქუბრიაშვილი** და **ვიქტორ კოლელიშვილი,** რომლებიც რუსებთან მატჩში სათადარიგოთა შორის იყვნენ. სოჭში გატანილი ორი ლელო სწორედ ქუბრიაშვილსა და კოლელიშვილზე მოდის.

წლეულს პირველად მოირგებს ეროვნული ნაკრების კვართს მეორეხაზელი **ლევან დათუნაშვილი,** რომელიც ჰეიგმა ასევე ძირითად შემადგენლობაში დააყენა. შესაბამისად თადარიგში გადაინაცვლეს **დავით ზირაქაშვილმა, ირაკლი ნატრიაშვილმა, შალვა სუთიაშვილმა** და **გიორგი ჩხაიძემ.**

განაცხადში არ არიან პირველხაზელები **შალვა მამუკაშვილი** და **მიხეილ ნარიაშვილი.** თადარიგში დაიკავა ადგილი ახალგაზრდა შერკინების ბურჯმა **ზურაბ ჟვანიამ,** რომელსაც ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ექნება.

უკანა ხაზში, როგორც უკვე ვთქვით, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ ირაკლი აბუსერიძე და დავით კაჭარავა. „აბუს" დუბლიორი ახალგაზრდა **ვაჟა ხუციშვილი** იქნება, შეცვლაზე ითამაშებს ასევე შუამარბი **თედო ზიბზიბაძე,** რომელსაც საზარდული აწუხებდა. სხვა ცვლილება უკანა ხაზში არ არის.

რუმინეთთან მატჩის შემდეგ რამდენიმე ცვლილება განახორციელა გუნდის შემადგენლობაში ესპანეთის ნაკრების ახალზელანდიელმა თავკაცმა **ბრაის ბევინმა.** ის, როგორც აღმოჩნდა, ძირითადად პირველი ხაზის თამაშით ყოფილა უკმაყოფილო. მან სამი პირველხაზელიდან ორი შეცვალა. შერკინების მარცხენა ბურჯად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს „არმიას" მორკინალი **დავით გურგენიძე.** შერკინების კვაჭი კი სულაც დებიუტანტი **უნაი ლასა** იქნება. მათ გვერდით იბრძოლებს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ესპანელი ბურჯი **ხესუს მორენო.**

ბევინმა უცვლელი დატოვა მეორე და მესამე ხაზი. უკანა ხაზში მან კიდევ ერთი ახალი მორაგბე მიიწვია. ფრანგული „არასის" ცხრა ნომრის, **ხაუნ კერეტოს** დებიუტი რუმინეთთან მატჩში შედგა, როცა ის მატჩის მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა. ამჯერად კერეტო ძირითად შემადგენლობაშია. გამოცდილმა **პაბლო ფეიხოომ** კი სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა.

მგეზავად **კორი სმიტი** გაირჯება, რომელსაც „სტეუარის" წინააღმდეგ არ უთამაშია. საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ შუამარბი **ხაიმე ნავა** და ბასკი გარემარბი **ჟულიენ გოია.** მწყობრშია ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ესპანელი მორაგბე, ფულბეკი **სესარ სემპერე.**

აღსანიშნავია, რომ გუნდის თამაშის საგრძნობლად გაძლიერება შეუძლიათ სათადარიგოთა შორის მყოფ მოთამაშეებს **ჯო ჰატჩინსონს, ჯო კარტერს, ნიკ მარშალს** და **ტომ პარკერს.** თუმცა ძნელი დასადგენია, მათ შორის რომელია ესპანელი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებების მატჩი, ხვალ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 15 საათზე დაიწყება. თამაშს ირლანდიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი არბიტრი **სტიუარტ გაფკინი** იქნება.

### საქართველო-ესპანეთი

**საქართველო:** 15. ლაშა ხმალაძე, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. რეზო ბელქანია, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. ზურაბ ჟვანია, 18. დავით ზირაქაშვილი, 19. გიორგი ჩხაიძე, 20. შალვა სუთიაშვილი, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. თედო ზიბზიბაძე, 23. ბექა წიკლაური

**ესპანეთი:** 15. სესარ სემპერე, 14. ჟულიენ გოია, 13. კარლოს ბლანკო, 12. ხაიმე ნავა, 11. მატიას ტუდელა, 10. კორი სიმპსონი, 9. ხაუნ კერეტო. 1. დავიდ გურგენიძე, 2. ლასა უნაი, 3. ხესუს მორენო, 4. მეთიუ კუკი, 5. ხესუს რეკუერდა, 6. ხუან მაგუნასელაია, 7. გლენ როლსი, 8. ლიონელ პარდო.

16. ავსგუსტინ ორტისი, 17. ჯო ჰატჩინსონი, 18. ხუან ნავა, 19. ჯეკი კარტერი, 20. ნიკ მარშალი, 21. ხუან ტუდელა, 22. პაბლო ფეიხოო, 23. ტომ პარკერი.

**მსაჯი:** სტიუარტ გაფკინი (ირლანდია)

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 2. რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 3. პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | -13 | 5 |
| 4. ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | -10 | 4 |
| 5. რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -25 | 4 |
| 6. ესპანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | -14 | 3 |

### III ტური

### 9 მარტი

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი



რუსეთი-საქართველო. ბურთით ლაშა ხმალაძე

● აღიარება



მამუკა გორგოძე

# კიდევ ერთი ოსკარი მამუკა გორგოძეს

ყოველდღიური ფრანგული სარაგბო გაზეთი „მიდი ოლიმპიკი" 26 მარტს, მონპელიეში საქართველოს ნაკრებისა და ადგილობრივი კლუბის მესამეხაზელს **მამუკა გორგოძეს** სპეციალურ ჯილდოს „ოსკარს" გადასცემს.

ღონისძიებას, რომელიც „სტად ივეს დუ მანუარზე" გაიმართება, ათასზე მეტი მიწვეული სტუმარი დაესწრება. აქ იქნებიან სარაგბო კლუბ „მონპელიეს" სპონსორებისა და მედიაპარტნიორების წარმომადგენლები, ფრანგული სარაგბო „ბომონდი". საღამოს წარუძღვებიან ცნობილი ტელეწამყვანები **ჟან აბელუ** (ფრანს ტვ) და **რომენ მაგელანი** (კანალ პლუსი).

„ოსკარს" მამუკა გორგოძეს მიმდინარე სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატსა და „ჰაინეკენის თასზე" შესანიშნავი თამაშისთვის გადასცემენ, რაც ჩვენი ნაკრების ლიდერის კიდევ ერთი დიდი აღიარებაა.

● საქართველოს ჩემპიონატი

# დასავლეთში დასრულდა, აღმოსავლეთი დაიძაბა

**საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში რეგულარული გათამაშება დასასრულს უახლოვდება. უფრო სწორად, დასავლეთ დივიზიონში ის უკვე დასრულდა, სადაც მომდევნო, ფინალური ეტაპის ორი მონაწილე გამოვლინდა. ესენია: ქუთაისის „ბაგრატი" და ფოთის „რაინდები".**

აღმოსავლეთ ზონაში კი ერთი ტურილა დარჩა ჩასატარებელი. აქ პირველი ადგილი დიდი ხანია თბილისის „თიბისიმ" დაისაკუთრა, რომელიც ზოგადად პირველი ლიგის უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევა. მეორეაადგილოსნის ვინაობა შესაძლო იყო, ბოლოსწინა, მე-17 ტურის შეხვედრებს გამოევლინა, მაგრამ უმთავრესი პრეტენდენტის - პატარძეულის „ვეფხვების" მატჩი ლიდერ „თიბისისთან" გადაიდო.

„ვეფხვებს" 49 ქულა აქვთ და მეორე ადგილზე არიან. მას ორი ქულით ჩამორჩება თბილისის „ხულიგანა", რომელმაც ასპარეზობა დაასრულა. პატარძეულელების უკან ჩამოტოვება თბილისის „ივერიას" შეუძლია, რომელიც 45 ქულით მე-4 ადგილზეა, თუმცა საამისოდ, მან ბოლო ტურში გარდაბნის მგლებს ისე უნდა მოუგოს, რომ პრემიალური ქულაც ირგუნოს. „ვეფხვებმა" კი ორივე მატჩი უნდა წააგოს, რაც პრაქტიკულად არარეალურია, თუმცა თეორიულად, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

„ივერიას" მდგომარეობა კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, მე-17 ტურში თბილისის „დინამოს" დამარცხება რომ მოეხერხებინა. უმოტივაციო დინამოელებმა მეტოქეს უშელავათო ბრძოლა გაუმართეს და ფრეს გამორჩნენ - 17:17.

„ხულიგანამ" კი სეზონის თავის ბოლო შეხვედრაში აუტსაიდერი „უნივერსიტეტი" დიდი ანგარიშით 69:0 დაამარცხა. სამოყვარულო კლუბმა „დევებმა" თბილისის „ტორნადოს" სძლიეს - 28:5.

### აღმოსავლეთი ზონა

### XVII ტური

**ივერია-დინამო 17:17, ტორნადო-დევები 5:28, უნივერსიტეტი-ხულიგანა 0:69, ვეფხვები-თიბისი (გადაიდო)**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. თიბისი - 64 ქულა, 2. ვეფხვები - 49, 3. ხულიგანა - 47, 4. ივერია - 45, 5. დინამო - 41, 6. დევები - 24, 7. მგლები - 23, 8. ტორნადო - 15, 9. უნივერსიტეტი - 11.**

### XVIII ტური

**დევები-ვეფხვები, ივერია-მგლები, თიბისი-უნივერსიტეტი, დინამო-ტორნადო.**

დასავლეთ ზონაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმატებას ქუთაისის „ბაგრატმა" და ფოთის „რაინდებმა" მიაღწიეს. ბოლო ტურში ერთმანეთის პირისპირ სწორედ ეს გუნდები წარდგნენ. ქუთათურებმა საკუთარ მოედანზე მეტოქეს დიდი ანგარიშით სძლიეს 45:9, რითაც დაამტკიცეს, რომ უმაღლეს ლიგაში აღზევებაზე საფუძვლიანი პრეტენზია აქვთ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფოთის „რაინდები". ამ კლუბმა მოკლე დროში საქართველოს ნაკრებს სამი მორაგბე აღუზარდა. ორი მათგანი, მესამეხაზელი **დიმიტრი ბასილაია** და პირველხაზელი **ზურაბ ჟვანია,** შაბათს „ბორჯღალოსანთა" რიგებში ითამაშებენ. კიდევ ერთი შერკინების ბურჯი **ირაკლი მირცხულავა** კი ფრანგულ „ტარბში" ასპარეზობს.

ერთი სიტყვით, გათამაშების მეორე ეტაპზე ოთხი გუნდი ერთმანეთს ორწრედ დაუპირისპირდება. პირველ ადგილზე გასული გადასასვლელ მატჩში უმაღლესი ლიგის ბოლოადგილოსანს ეთამაშება. მეორე ადგილზე გასული კი, იმ გუნდის უმაღლესი ლიგიდან გაგდებას შეეცდება, ვინც ბოლოსწინა ადგილი დაიკავა.

### დასავლეთი ზონა

### X ტური

**მარტვილი-ჯრუჭი 0:49, არწივები-დელფინები 22:14, ბაგრატი-რაინდები 45:9.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბაგრატი - 49 ქულა, 2. რაინდები - 35, 3. დელფინები - 22, 4. არწივები - 22, 5. ჯრუჭი - 13, 6. მარტვილი - 1.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**შარლოტი–ბრუკლინი 78:99**

29:26, 24:17, 9:28, 16:28

შ: კიდ-გილკრისტი (17), გორდონი (16), ჰენდერსონი (11), უოკერი (10+8 პასი+3 ჩაჭრა).

ბ: ჯონსონი (22), უილიამსი (20+8 პასი), ლოპესი (16+3 დაფარება), ევანსი (6+16 მოხსნა).

**კლივლენდი–იუტა 104:101**

23:19, 26:32, 19:25, 36:25

კ: ირვინგი (20+7 მოხსნა+10 პასი), ტომპსონი (16+12 მოხსნა+3 დაფარება), ელინგტონი (16+6 მოხსნა), გი (15), სპეიტსი (14+7 მოხსნა), მაილზი (12).

ი: ჰეივორდი (25+7 პასი+3 ჩაჭრა), კანტერი (17+7 მოხსნა), მილსეპი (16+8 მოხსნა), ბერქსი (14), ფოიე (11), ფეივორსი (6+12 მოხსნა+4 დაფარება).

**ინდიანა–ბოსტონი 81:83**

27:19, 22:23, 19:16, 13:25

ი: ჯორჯი (16+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰილი (14), ჰიბერტი (12+12 მოხსნა+6 დაფარება), სტივენსონი (12+5 ჩაჭრა), უესტი (11+16 მოხსნა).

ბ: გარნეტი (18+10 მოხსნა), პირსი (13+8 მოხსნა), ბრედლი (13), გრინი (11+7 მოხსნა), ტერი (10).

**ატლანტა–ფილადელფია 107:96**

26:19, 33:28, 32:23, 16:26

ა: ტიგი (27+11 პასი), ჰორფორდი (21+12 მოხსნა+6 პასი), ტოლივერი (21+8 მოხსნა), სმიტი (13+6 მოხსნა).

ფ: უილკინსი (21+6 მოხსნა), რაიტი (20+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტ. იანგი (16+6 მოხსნა), ჰოლიდეი (11+12 პასი), ჰოიესი (8+11 მოხსნა).

**მაიამი–ორლანდო 97:96**

25:18, 30:22, 22:34, 20:22

მ: ჯეიმსი (26), უეიდი (24+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბოში (17+10 მოხსნა).

ო: ვუჩევიჩი (25+21 მოხსნა), ნელსონი (16+14 პასი+3 ჩაჭრა), ჰარისი (16+7 მოხსნა), აფლალო (13+5 პასი), ჰარკლესი (12+3 ჩაჭრა).

**დეტროიტი–ნიუ იორკი 77:87**

19:24, 19:20, 27:21, 12:22

დ: ნაითი (17), მაქსიელი (14+9 მოხსნა), სინგლერი (13+8 მოხსნა), ჟერებკო (12), კალდერონი (10+16 პასი).

ნ-ი: ფელტონი (26+6 მოხსნა), სტაუდმაიერი (22+9 მოხსნა), სმიტი (20+5 პასი+4 ჩაჭრა), ჩენდლერი (2+11 მოხსნა).

**მემფისი–პორტლენდი 91:85**

18:26, 20:24, 27:17, 26:18

მ: გასოლი (23+12 მოხსნა), კონლი (20+6 პასი), ბეილესი (13), ალენი (10+7 მოხსნა).

პ: ლილარდი (20), ჰიქსონი (12+13 მოხსნა), მეინორი (12), მეტიუზი (11), ოლდრიჯი (10+10 მოხსნა+6 პასი), ბატუმი (10).

**ნიუ ორლეანი–ლეიკერსი 102:108**

28:28, 39:20, 26:27, 9:33

ნ-ო: გორდონი (18+5 პასი), ვასკესი (15+12 პასი), ანდერსონი (14+6 მოხსნა), ლოპესი (13+11 მოხსნა), დევისი (13+6 მოხსნა), ამინუ (12+16 მოხსნა+3 დაფარება), რივერსი (10).

ლ: ბრაიანტი (42+7 მოხსნა+12 პასი), ჰოვარდი (20+15 მოხსნა+3 ჩაჭრა+4 დაფარება), მიქსი (19), უორლდ პისი (11).

**მინესოტა–ვაშინგტონი 87:82**

24:29, 24:14, 17:20, 22:19

მ: უილიამსი (16+8 მოხსნა), რუბიო (15+7 მოხსნა+11 პასი+6 ჩაჭრა), რიდნური (15), ბარეა (12), კანინგემი (11).

ვ: უოლი (19+7 პასი+3 ჩაჭრა), არიზა (16+7 მოხსნა+6 პასი), ნენე (12+8 მოხსნა+7 პასი), უებსტერი (11+7 მოხსნა), ოკაფორი (10+14 მოხსნა).

**დალასი–ჰიუსტონი 112:108**

34:25, 26:31, 27:27, 25:25

დ: ნოვიცკი (22), მერიონი (22), კარტერი (16+7 მოხსნა), მაიო (13+6 მოხსნა+12 პასი), რაიტი (12).

ჰ: ჰარდენი (28+9 პასი), პარსონსი (23), აშიქი (12+15 მოხსნა), ლინი (12), დელფინო (11+6 მოხსნა).

**სან ანტონიო–ჩიკაგო 101:83**

22:23, 25:29, 25:16, 29:15

ს-ა: დანკანი (18+10 მოხსნა+5 დაფარება), ჯინობილი (18+9 პასი), ლეონარდი (14+7 მოხსნა), სპლიტერი (13+10 მოხსნა), მილზი (13).

ჩ: ბელინელი (21+7 პასი), დენგი (19+7 მოხსნა), ტიგი (11), ბუზერი (10+8 მოხსნა), ნოა (8+13 მოხსნა+4 დაფარება).

**ფინიქსი–ტორონტო 71:98**

24:28, 16:26, 15:18, 16:26

ფ: მარკუს მორისი (12).

ტ: დეროზანი (15+6 მოხსნა), ჯონსონი (14+6 მოხსნა), ტელფეირი (13+7 პასი+4 ჩაჭრა), ვალანჩუნასი (10), ანდერსონი (10), როსი (10).



კობი ბრაიანტი

**კლიპერსი–მილუოკი 117:101**

34:32, 32:26, 23:24, 28:19

კ: კროუფორდი (25+3 ჩაჭრა), გრიფინი (23+11 მოხსნა+11 პასი), ბარნსი (20), პოლი (14+9 პასი), ჯორდანი (10+6 მოხსნა).

მ: ელისი (22+6 პასი), ილიასოვა (20), ჯენინგსი (18+12 პასი), სანდერსი (11+7 მოხსნა), დანლივი (10).

**გ. სტეიტი–საკრამენტო 87:83**

28:21, 13:23, 28:19, 18:20

გ-ს: ტომპსონი (20), ლი (17+10 მოხსნა), ბარნსი (14), კარი (13+8 პასი), ჯეკი (12).

ს: ტომპსონი (17+8 მოხსნა), პატერსონი (15+8 მოხსნა), დაგლასი (10+6 პასი).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 59 | 45 | 14 | 76.3 |
| 2. ნიუ იორკი* | 58 | 37 | 21 | 63.8 |
| 3. ინდიანა* | 61 | 38 | 23 | 62.3 |
| 4. ბრუკლინი | 61 | 35 | 26 | 57.4 |
| 5. ატლანტა | 60 | 34 | 26 | 56.7 |
| 6. ჩიკაგო | 61 | 34 | 27 | 55.7 |
| 7. ბოსტონი | 60 | 33 | 27 | 55.0 |
| 8. მილუოკი | 59 | 30 | 29 | 50.8 |
| 9. ტორონტო | 62 | 24 | 38 | 38.7 |
| 10. ფილადელფია | 60 | 23 | 37 | 38.3 |
| 11. დეტროიტი | 63 | 23 | 40 | 36.5 |
| 12. კლივლენდი | 61 | 21 | 40 | 34.4 |
| 13. ვაშინგტონი | 59 | 19 | 40 | 32.2 |
| 14. ორლანდო | 62 | 17 | 45 | 27.4 |
| 15. შარლოტი | 61 | 13 | 48 | 21.3 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 62 | 48 | 14 | 77.4 |
| 2. ოკლაჰომა* | 60 | 44 | 16 | 73.3 |
| 3. კლიპერსი* | 63 | 44 | 19 | 69.8 |
| 4. მემფისი | 59 | 40 | 19 | 67.8 |
| 5. დენვერი | 62 | 40 | 22 | 64.5 |
| 6. გ. სტეიტი | 62 | 35 | 27 | 56.5 |
| 7. ჰიუსტონი | 62 | 33 | 29 | 53.2 |
| 8. იუტა | 61 | 32 | 29 | 52.5 |
| 9. ლეიკერსი | 62 | 31 | 31 | 50.0 |
| 10. პორტლენდი | 60 | 28 | 32 | 46.7 |
| 11. დალასი | 63 | 27 | 33 | 45.0 |
| 12. მინესოტა | 58 | 21 | 37 | 36.2 |
| 13. ფინიქსი | 61 | 21 | 40 | 34.4 |
| 14. ნიუ ორლეანი | 62 | 21 | 41 | 33.9 |
| 15. საკრამენტო | 63 | 21 | 42 | 33.3 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ქულა**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.6 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 28.2 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.6 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 27.0 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 26.3 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 23.6 |
| კაირი ირვინგი (კლივ) | 23.2 |
| სტივენ კარი (გ-სტ) | 22.1 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 21.7 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 21.0 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 12.1 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 11.7 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.6 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 11.4 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 11.4 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 11.3 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 11.3 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 10.5 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 10.0 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 9.9 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.1 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.5 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 9.4 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 8.6 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 7.8 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.6 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 7.5 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 7.5 |
| ხოსე კალდერონი (დეტ) | 7.5 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.2 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.4 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.2 |
| მონტა ელისი (მილ) | 2.0 |
| კემბა უოკერი (შარ) | 1.9 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 1.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.9 |
| ჯეისონ კიდი (ნ-იორკ) | 1.8 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 1.8 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 1.8 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.2 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.9 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.8 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.3 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.3 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.2 |
| ჯაველ მაკგი (დენ) | 2.1 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.0 |
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 1.8 |

# ამბები ლეიკერსიდან

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ყოფილი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** არ ივიწყებს კალიფორნიულ კლუბს და პენსიაში მყოფიც ცდილობს ყოფილი შეგირდების დახმარებას.

როგორც იტყობინებიან, ფილი ეხმარება "ლეიკერსის" ცენტრს **დუაიტ ჰოვარდს** რჩევებით, რის შესახებაც პრესას "ლეიკერსის" ცენტრმა აცნობა.

*"დიახ, ფილი მხარს მიჭერს, მაძლევს სასარგებლო რჩევებს. მან კარგად იცის, რა მდგომარეობაშია კალათბურთელი, რომელსაც ზურგ ზე ოპერაცია აქვს გადატანილი. ჯექსონმა მითხრა, რომ სრულად აღდგენისთვის დაახლოებით ერთი წელი მჭირდება. ასე რომ, ნუ დავაჩქარებთ მოვლენებს"*, - განაცხადა ჰოვარდმა.

თავად ფილმა, რომელმაც სამწვრთნელო კარიერა დაახლოებით ორი წლის წინ დაასრულა, Sports Illustrated-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ სეზონში დუაიტის სუსტი თამაში უკავშირდება არა გადატანილი ტრავმის შედეგებს, არამედ ამჟამინდელი მწვრთნელის **მაიკ დ'ენტონის** სათამაშო სისტემასთან შეუთავსებლობას.

■ ■ ■

ამასობაში, "ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** განაცხადა, რომ იდაყვის ტრავმა არ შეუშლის ხელს რეგულარული ჩემპიონატის გაგრძელებაში.

ბრაიანტმა დაზიანება ორი დღის წინ, "ოკლაჰომასთან" მატჩში მიიღო, რომელშიც კალიფორნიელთა ლიდერმა 30 ქულა დააგროვა, მაგრამ მისმა გუნდმა წააგო – 105:122.



ჰოვარდი და ფილ ჯექსონი

*"ყოველ ჯერზე, როცა იდაყვში ხელის მოხრას ან გაშლას ვცდილობ, ტკივილს ვგრძნობ. მაგრამ გავაგრძელებ თამაშს, რადგან მოვიდა სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის დრო"*, - თქვა ბრაიანტმა. სხვათა შორის, გუშინ, კობიმ „ნიუ ორლეანს" 42 ქულა ჩაუგდო და თავის გუნდს სეზონში 31-ე მატჩი მოაგებინა.

■ ■ ■

"ლეიკერსის" ბანაკიდან გავრცელებული კიდევ ერთი ინფორმაცია გუნდის ესპანელ ლეგიონერს **პაუ გასოლს** უკავშირდება. კალათბურთელს იმედი აქვს, რომ სულ მალე მიიღებს ექიმებისგან მოედანზე გასვლის ნებართვას. შეგახსენებთ, რომ პაუმ კუნთის ტრავმა თებერვლის დასაწყისში მიიღო. თავდაპირველად, ექიმებს კუნთის გაწყვეტაზე ჰქონდათ ეჭვი, მაგრამ გასოლი სერიოზულ დაზიანებს გადაურჩა.

ამ სეზონში ესპანელი საშუალოდ 13.3 ქულასა და 8.1 მოხსნას აგროვებს.



დერიკ როუზი

# მალე დაიწყებს

"ჩიკაგო ბულზმა" ტრავმირებულთა სიიდან გამოიყვანა თავისი ლიდერი **დერიკ როუზი** და შარშანწინდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშეს ყოველდღე ელიან მოედანზე.

*"ის ძალიან მალე დაბრუნდება. როცა დერიკი მზად იქნება, მე მას სათამაშო დროს მივცემ, - ამბობს "ჩიკაგოს" დამრიგებელი* **ტომ ტიბოდო**. *- ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ მან გაიუმჯობესოს თავისი კონდიციები და მაქსიმალური კონცენტრაცია რეაბილიტაციის პროცესზე გააკეთოს. ახლა, უბრალოდ, მცირედი მოთმინება გვჭირდება".*

აქამდე, NBA-ის თამაშების ოქმებში როუზის სტატუსი იყო – "თამაშგარეთ გაურკვეველი ვადით". შეგახსენებთ, რომ როუზი შარშანდელი პლეი ოფის შემდეგ არ გასულა მოედანზე.

## ავტოსპორტი

# მაკლარენი გზებზეც სწრაფია

ჟენევაში კომპანია McLaren Automotive-მა გამართა ახალი ჰიბრიდული სუპერკარის McLaren P1-ის პრეზენტაცია. მასში მონაწილეობა მიიღო ფორმულა 1-ში "მაკლარენის" მექსიკელმა პილოტმა სერხიო პერესმა.

ავტომობილი, რომელიც "მაკლარენის" ინჟინრების მიერ არის შექმნილი, თავისი ჩქაროსნული და დინამიკური შესაძლებლობებით მაქსიმალურად არის მიახლოებული ფორმულა 1-თან და განკუთვნილია იმათთვის, ვინც ნამდვილად აფასებს სიჩქარეს და თან სოლიდური ფინანსური შესაძლებლობები გააჩნია, რადგან მანქანის ღირებულებაა – 866 ათასი ფუნტი სტერლინგი. "მაკლარენის" შეფის რონ დენისის თქმით, მანქანა შეზღუდული ტირაჟით გამოვა – 375 ეგზემპლარი.

პრეზენტაციისას სერხიო პერესმა აღნიშნა, რომ უკვე იჯდა ახალი მანქანის საჭესთან და ტრასაზე მისი მოქმედება, მართლაც მოგაგონებთ ფორმულა 1-ის მანქანას, რონ დენისი კი ირწმუნება, რომ P1 – ყველაზე სწრაფი საგზაო მანქანაა მსოფლიოში, რომელიც მომავალში სიჩქარის ყველა რეკორდს მოხსნის.

McLaren P1-ის ჰიბრიდული ძრავა 900 ცხენის ძალას ანვითარებს და მანქანა აღჭურვილია უნიკალური აქტიური აეროდინამიკური ელემენტებით. გარკვეულ სიჩქარეზე P1-ის კორპუსიდან ამოდის უკანა ფრთა, წინა საბურავების წინ კი ჩნდება ორი დეფლექტორი: ეს ელემენტები საგზაო სუპერკარს დაუჯერებელი დონის მოჭიდების ძალის მიღების საშუალებას აძლევს. გამოცხადებული მაქსიმალური სიჩქარეა – 349 კმ/სთ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ახალი მაკლარენი

## ამბები

**ბიატლონი**

### მთავარი საკითხი გარკვეულია

ბიატლონში ნორვეგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სტიან ეკჰოფმა** განაცხადა, რომ მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატის ოთხგზის ჩემპიონი **ემილ ჰეგლე სვენდსენი** მონაწილეობას არ მიიღებს მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე, რომელიც სოჭში გაიმართება. სვენდსენმა ვერ მოასწრო ავადმყოფობის შემდეგ ფორმაში ჩადგომა. სხვათა შორის, მან ამ მიზეზით მსოფლიოს თასის წინა ეტაპი გამოტოვა, რომელიც ნორვეგიის კურორტ ჰოლმენკოლენში გაიმართა.

სვენდსენის უარი კი იმას ნიშნავს, რომ ფრანგი **მარტენ ფურკადი** ვადაზე ადრე გახდა ბროლის დიდი გლობუსის მფლობელი, რადგან მისი დაწევა გენერალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ ნორვეგიელს შეეძლო. ფურკადი ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს თასის მფლობელი.

**ფორმულა 1**

### ყველაზე სწრაფი მარუსია ყოფილა

გერმანულმა გამოცემა Auto Motor und Sport-მა ბარსელონაში გამართული ოთხდღიანი ტესტების ანალიზი ჩაატარა და მეტად საინტერესო დასკვნებიც გამოიტანა.

როგორც ირკვევა, სწორ მონაკვეთებზე ყველაზე დაბალი სიჩქარე აქვს მსოფლიოს ჩემპიონ „რედ ბულს". ბარსელონას ტრასაზე მისი მაქსიმალური სიჩქარე იყო - საათში 307,7 კილომეტრი. ეს 12,8 კმ/სთ-ით ნაკლებია, ვიდრე „მარუსიას" შედეგი, რომელიც სწორ მონაკვეთებზე ყველაზე სწრაფი იყო.

რუსული საჯინიბოს შემდეგ მოდიან - „ფერარი", „ზაუბერი" და „ფორს ინდია".

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ინდიან უელსი

# ელიტა სრული შემადგენლობით

სეზონში მასტერსის სერიის პირველმა ტურნირმა ATP-ის კლასიფიკაციის სრული ელიტა შეკრიბა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ინდიან უელსის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს TOP30-ის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. თუმცა, რა თქმა უნდა, საყოველთაო ინტერესს იწვევს მოქმედი ჩემპიონის **როჯერ ფედერერის**, ყოფილი ჩემპიონების – **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **რაფაელ ნადალის**, აგრეთვე **ენდი მარეის** თამაში. სხვათა შორის, ბრიტანელს აქ არასოდეს გაუმარჯვია.

გასულ წელს, საკმაოდ მოულოდნელად ფინალში გავიდა ამერიკელი **ჯონ ისნერი**, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა ნოვაკ ჯოკოვიჩი. ასეთი წარმატების წყალობით, ამერიკელმა ჩოგბურთელმა რეიტინგის პირველ ათეულში შესვლა მოახერხა, მაგრამ ამ ტრიუმფს არ მოჰყვა გამარჯვებების სერია, წელს კი ამერიკელს ძალიან ცუდად აქვს საქმე. თუ მან შარშან მოახერხა ჯოკოვიჩის, ფედერერის, **ჟო-ვილფრიდ ცონგას, ტომაშ ბერდიხისა** და სხვა ძლიერი ჩოგბურთელების დამარცხება, ამ სეზონში ის აგებს ისეთ მოთამაშეებთან, როგორებიც არიან **ედუარდ როჯე-ვასელენი, დენის ისტომინი, ტომი ჰაასი** და სხვები.

წელს ვერც როჯერ ფედერერი გვხიბლავს წარმატებული გამოსვლებით. ამ სეზონში შვეიცარიელმა სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ვერც ერთში ფინალს ვერ მიაღწია. ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში მას ენდი მარეიმ აჯობა, როტერდამის მეოთხედფინალში დამარცხდა ფრანგ **ჟულიენ ბენეტოსთან**, დუბაიში კი ნახევარფინალი დაუთმო ტომაშ ბერდიხს.

რაც შეეხება ენდი მარეის, ის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში დამარცხების შემდეგ არ გვინახავს არც ერთ ტურნირზე. ასე რომ, შოტლანდიელ ჩოგბურთელს საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა ძალების მოსაკრებად და ამერიკული მასტერსებისთვის მოსამზადებლად.

რაფაელ ნადალს წელს პირველად მოუწევს ჰარდზე თამაში და ეს მის გამოსვლას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ესპანელს ინდიან უელსში თამაშის საინტერესო ისტორია აქვს. მან ორჯერ მოიპოვა მთავარი პრიზი და ორივეჯერ ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩი დაამარცხა, თუმცა 2011 წელს, უკვე სერბი ჩოგბურთელის ჯერი დადგა. როგორც გითხარით, რაფაელი დიდხნიანი შესვენების შემდეგ პირველად გამოჩნდება ჰარდისაფრიან კორტზე. მუხლებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ესპანელმა აქცენტი გრუნტის ტურნირებზე გადაიტანა და კარიერაში თავისი 37-ე და 38-ე ტიტულები მოიპოვა. ვნახოთ, რამდენად სწრაფად გადაეწყობა ესპანელი უფრო სწრაფ საფარზე.



ნოვაკ ჯოკოვიჩს ინდიან უელსი 2011 წელს აქვს მოგებული

# მარეის მეორე ადგილი შეუძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდიან უელსის მასტერსმა, შესაძლოა, სერიოზული ცვლილებები შეიტანოს მამაკაცთა კლასიფიკაციაში. კერძოდ, ბრიტანელ **ენდი მარეის** აქვს შანსი, გახდეს მსოფლიოს მეორე ნომერი.

ამ მომენტისთვის, შოტლანდიელს 8180 ქულა აქვს და მსოფლიოს რეიტინგში მესამე ადგილი უკავია. ის 1 355 ქულით ჩამორჩება მეორე პოზიციაზე მყოფ **როჯერ ფედერერს**. ამასთან, შვეიცარიელ ჩოგბურთელს თავისი შარშანდელი ტიტულის დაცვა უწევს, ბრიტანელმა კი 2012 წელს, ინდიან უელსის ტურნირი მეორე რაუნდიდან დატოვა.

ასე რომ, თუ მარეი მოიგებს ტურნირს, ის მსოფლიოს მეორე ჩოგანი გახდება იმ შედეგის მიუხედავად, რასაც ფედერერი აჩვენებს. თუ ენდი ფინალამდე მიაღწევს, მაშინ როჯერს მეორე პოზიციის შესანარჩუნებლად ნახევარფინალში გასვლა დასჭირდება.

დაბოლოს, ფინალამდე წაგების შემთხვევაში მარეი ვერ მოიპოვებს მეორე ჩოგნის სტატუსს და ფედერერი გარანტირებულად შეინარჩუნებს ამ პოზიციას.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანელი ჩოგბურთელი 2009 წელს, სამი კვირის განმავლობაში იყო მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ნომერი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ენდი მარეი

## ინდიან უელსი. კალათების ბადე

| 1/64 | 1/32 |
|---|---|
| ჯოკოვიჩი (სერ, 1) | ჯოკოვიჩი (სერ, 1) |
| ფონინი (იტა) | |
| ბედენე (სლოვენ) | |
| ებდენი (ავსტრა) | |
| კუზნეცოვი (რუს) | დიმიტროვი (ბულ, 31) |
| დიმიტროვი (ბულ, 31) | |
| კუერი (აშშ, 23) | კუერი (აშშ, 23) |
| სოკი (აშშ) | |
| კარლოვიჩი (ხორ) | |
| მატოშევიჩი (ავსტრა) | |
| რობრედო (ესპ) | მონაკო (არგ, 14) |
| მონაკო (არგ, 14) | |
| ჩილიჩი (ხორ, 12) | ჩილიჩი (ხორ, 12) |
| სებალიოსი (არგ) | |
| რამოსი (ესპ) | |
| მუნიოსი (ესპ) | |
| ლოდრა (საფ) | რაონიჩი (კან, 17) |
| რაონიჩი (კან, 17) | |
| ფიში (აშშ, 32) | ფიში (აშშ, 32) |
| ბეკერი (გერ) | |
| რეინოლდსი (აშშ) | |
| ბლეიკი (აშშ) | |
| ჰაასე (ჰოლ) | ცონგა (საფ, 8) |
| ცონგა (საფ, 8) | |
| მარეი (ბრიტ, 3) | მარეი (ბრიტ, 3) |
| დონსკოი (რუს) | |
| იტო (იაპ) | |
| ლუ (ტაივ) | |
| სმიჩეკი (აშშ) | კლიჟანი (სლოვაკ, 26) |
| კლიჟანი (სლოვაკ, 26) | |
| დოლგოპოლოვი (უკრ, 22) | დოლგოპოლოვი (უკრ, 22) |
| ხირალდო (ესპ) | |
| ბერლოკი (არგ) | |
| ტურსუნოვი (რუს) | |
| პეტცშნერი (გერ) | ნიშიკორი (იაპ, 16) |
| ნიშიკორი (იაპ, 16) | |
| ალმაგრო (სერ, 11) | ალმაგრო (სერ, 11) |
| ლაჩკო (სლოვაკ) | |
| ხიმენო ტრავერო (ესპ) | |
| ანდუხარი (ესპ) | |
| ჯონსონი (აშშ) | ჰაასი (გერ, 19) |
| ჰაასი (გერ, 19) | |
| შარდი (საფ, 25) | შარდი (საფ, 25) |
| ფაუ (გერ) | |
| ფალა (კოლ) | |
| დავიდენკო (რუს) | |
| მატიო (საფ) | დელ პოტრო (არგ, 7) |
| დელ პოტრო (არგ, 7) | |

| 1/32 | 1/64 |
|---|---|
| ბერდიხი (ჩეხ, 6) | ბერდიხი (ჩეხ, 6) |
| | ზვერევი (გერ) |
| | მელცერი (ავსტრია) |
| | ტროიცკი (სერ) |
| | გოფენი (ბელ) |
| ფ. მაიერი (გერ, 27) | ფ. მაიერი (გერ, 27) |
| იანოვიჩი (პოლ, 24) | იანოვიჩი (პოლ, 24) |
| | გრანოლერსი (ესპ) |
| | ნალბანდიანი (არგ) |
| | ბელუჩი (ბრა) |
| | ტომიჩი (ავსტრა) |
| გასკე (საფ,10) | გასკე (საფ,10) |
| სიმონი (საფ, 13) | სიმონი (საფ, 13) |
| | მიულერი (ლუქ) |
| | ლორენცი (იტა) |
| | კუბოტი (პოლ) |
| | პერი (საფ) |
| კოლშრაიბერი (გერ, 21) | კოლშრაიბერი (გერ, 21) |
| ვერდასკო (ესპ, 29) | ვერდასკო (ესპ, 29) |
| | ნიემინენი (ფინ) |
| | სისლინგი (ჰოლ) |
| | ჰანესკუ (რუმ) |
| | ანდერსონი (ს. აფრ) |
| ფერერი (ესპ, 4) | ფერერი (ესპ, 4) |
| ნადალი (ესპ, 5) | ნადალი (ესპ, 5) |
| | სოედა (იაპ) |
| | ჰარისონი (აშშ) |
| | ლ. მაიერი (არგ) |
| | მალისე (ბელ) |
| იუჟნი (რუს, 30) | იუჟნი (რუს, 30) |
| სეპი (იტა, 20) | სეპი (იტა, 20) |
| | ბრანდსი (გერ) |
| | ბალდატისი (კვიპ) |
| | გულბისი (ლატ) |
| | ფ. ლოპესი (ესპ) |
| ტიპსარევიჩი (სერ, 9) | ტიპსარევიჩი (სერ, 9) |
| ისნერი (აშშ, 15) | ისნერი (აშშ, 15) |
| | ჰიუიტი (ავსტრა) |
| | როსოლი (ჩეხ) |
| | ოდესნიკი (აშშ) |
| | ბაუტისტა აგუტი (ესპ) |
| ვავრინკა (შვეიც, 18) | ვავრინკა (შვეიც, 18) |
| ბენეტო (საფ, 28) | ბენეტო (საფ,28) |
| | პელია (არგ) |
| | დოდიგი (ხორ) |
| | პოსპიშილი (კან) |
| | ისტომინი (უზბ) |
| ფედერერი (შვეიც, 2) | ფედერერი (შვეიც, 2) |

### 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

ჯოკოვიჩი (სერ, 1)-დიმიტროვი (ბულ, 31)
კუერი (აშშ, 23)-მონაკო (არგ, 14)
ჩილიჩი (ხორ, 12)-რაონიჩი (კან, 17)
ფიში (აშშ, 32)-ცონგა (საფ, 8)
მარეი (ბრიტ, 3)-კლიჟანი (სლოვაკ, 26)
დოლგოპოლოვი (უკრ, 22)-ნიშიკორი (იაპ, 16)
ალმაგრო (ესპ, 11)-ჰაასი (გერ, 19)
შარდი (საფ, 25)-დელ პოტრო (არგ, 7)
ბერდიხი (ჩეხ, 6)-ფ. მაიერი (გერ, 27)
იანოვიჩი (პოლ, 24)-გასკე (საფ, 10)
სიმონი (საფ, 13)-კოლშრაიბერი (გერ, 21)
ვერდასკო (ესპ, 29)-ფერერი (ესპ, 4)
ნადალი (ესპ, 5)-იუჟნი (რუს, 30)
სეპი (იტა, 20)-ტიპსარევიჩი (სერ, 9)
ისნერი (აშშ, 15)-ვავრინკა (შვეიც, 18)
ფედერერი (შვეიც, 2)-ბენეტო (საფ, 28)

### ინდიან უელსის ტურნირის გამარჯვებულები

1987, 1988 - ბორის ბეკერი
1989 - მიროსლავ მეჩირჟი
1990 - სტეფან ედბერგი
1991, 1993 - ჯიმ კურიე
1992, 1996, 1997 - მაიკლ ჩანგი
1994, 1995 - პიტ სამპრასი
1998 - მარსელო რიოსი
1999 - მარკ ფილიპუსისი
2000 - ალექს კორეჩა
2001 - ანდრე აგასი
2002, 2003 - ლეიტონ ჰიუიტი
2004, 2006, 2012 - როჯერ ფედერერი
2007, 2009 - რაფაელ ნადალი
208, 2011 - ნოვაკ ჯოკოვიჩი
2010 - ივან ლუბიჩიჩი

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



**ტორონტო-ოტავა 5:4**

2:0, 1:1, 2:3

გოლები: 1:0 ბოჟაკი-6 (კესელი-13, ვან რიმსდიკი-6), 2:0 მაკლემანი-4 (კულემინი-11, ფანოფი-7), 3:0 ვან რიმსდიკი-13 (კესელი-14, ბოჟაკი-8), 3:1 ზიბანეჯადი-5 (კონდრა-5, გონჩარი-8), 3:2 ზ. სმიტი-1 (კ. ფილიპსი-2, მ. მიხალეკი-7), 4:2 კესელი-6 (ფანოფი-8, ფრანსონი-14), 5:2 კადრი-10, 5:3 ალფრედსონი-5 (ზ. სმიტი-8), 5:4 გრინინგი-4 (კონდრა-6, ბენუა-4).

**ჩიკაგო-კოლორადო 3:2**

1:1, 0:1, 2:0

გოლები: 1:0 შოუ-6 (სიბრუკი-7, საადი-5), 1:1 ჯ. მიტჩელი-7 (კობესიუ-3, რ. ო'რაილი 1), 1:2 დუშენი-8 (პარენტო-11), 2:2 ტეივზი-10 (ბოლანდი-4, ოდუია-8), 3:2 კარჩილო-1 (სტალბერგი-7, კრუგერი-6).

**კალგარი-სან ხოსე 4:1**

1:0, 0:1, 3:0

გოლები: 1:0 ჩერვენკა-3 (ბოუმისტერი-8, იგინლა-11), 1:1 ჯ. ტორნტონი-5 (პაველსკი-10), 2:1 კომო-1 (ბატლერი-5, ბროდი-5), 3:1 იგინლა-7 (ჰუდლერი-12), 4:1 გლენკროსი-8 (სტემპნიაკი-10, ვიდემანი-8).

**ანაჰაიმი-ფინიქსი 2:0**

1:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 პერი-7 (რაიანი-12, გეტცლაფი-18), 2:0 გეტცლაფი-9.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მონრეალი* | 23 | 14 | 5 | 4 | 32 |
| 2. პიტსბურგი* | 23 | 15 | 8 | 0 | 30 |
| 3. კაროლინა* | 22 | 13 | 8 | 1 | 27 |
| 4. ბოსტონი | 20 | 14 | 3 | 3 | 31 |
| 5. ტორონტო | 24 | 15 | 9 | 0 | 30 |
| 6. ოტავა | 24 | 12 | 8 | 4 | 28 |
| 7. ნიუ ჯერსი | 23 | 10 | 8 | 5 | 25 |
| 8. რეინჯერსი | 21 | 11 | 8 | 2 | 24 |
| 9. ფილადელფია | 24 | 11 | 12 | 1 | 23 |
| 10. აილენდერსი | 23 | 10 | 11 | 2 | 22 |
| 11. ვინიპეგი | 22 | 10 | 11 | 1 | 21 |
| 12. ტამპა ბეი | 23 | 10 | 12 | 1 | 21 |
| 13. ბაფალო | 24 | 9 | 13 | 2 | 20 |
| 14. ვაშინგტონი | 21 | 9 | 11 | 1 | 19 |
| 15. ფლორიდა | 23 | 7 | 11 | 5 | 19 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 24 | 21 | 0 | 3 | 45 |
| 2. ანაჰაიმი* | 22 | 16 | 3 | 3 | 35 |
| 3. ვანკუვერი* | 22 | 11 | 6 | 5 | 27 |
| 4. ლოს ანჯელესი | 21 | 12 | 7 | 2 | 26 |
| 5. სან ხოსე | 22 | 11 | 7 | 4 | 26 |
| 6. დეტროიტი | 23 | 11 | 8 | 4 | 26 |
| 7. ფინიქსი | 23 | 11 | 9 | 3 | 25 |
| 8. დალასი | 22 | 11 | 9 | 2 | 24 |
| 9. სტ. ლუისი | 22 | 11 | 9 | 2 | 24 |
| 10. მინესოტა | 22 | 11 | 9 | 2 | 24 |
| 11. ნეშვილი | 23 | 9 | 9 | 5 | 23 |
| 12. კალგარი | 21 | 9 | 8 | 4 | 22 |
| 13. ედმონტონი | 22 | 8 | 9 | 5 | 21 |
| 14. კოლორადო | 22 | 8 | 10 | 4 | 20 |
| 15. კოლამბუსი | 23 | 7 | 12 | 4 | 18 |

*- დივიზიონის ლიდერი

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 36 (11+25) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 34 (17+17) |
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 30 (6+24) |
| ერიკ სტაალი (კარ) | 28 (12+16) |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 28 (12+16) |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 28 (12+16) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 27 (14+13) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 27 (12+15) |
| იაკუბ ვორაჩეკი (ფილ) | 27 (10+17) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 27 (9+18) |

**გოლი**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 17 |
| ჯეფ კარტერი (ლ-ანჯ) | 15 |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 14 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 14 |
| ჯეიმს ვან რიმსდიკი (ტორ) | 13 |

**პასი**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 25 |
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 24 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 19 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 18 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 18 |
| კრის ლეტანგი (პიტ) | 18 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 18 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 18 |

## ოლიმპიზმი

# შვეიცარიას ოლიმპიადა არ უნდა

შვეიცარიული კანტონის – გრაუბიუნდენის მოსახლეობას არ სურს 2022 წელს მათ ქვეყანაში ზამთრის თამაშების ჩატარება.

როგორც ცნობილია, გრაუბიუნდენის ორი კურორტი – სანკტ მორიტცი და დავოსი ერთობლივი განაცხადის შეტანას აპირებდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 2022 წლის ოლიმპიადის მისაღებად. ამ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა რეფერენდუმი და მოქალაქეთა 53.66-მა პროცენტმა უარი განაცხადა ოლიმპიადის მიღებაზე. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო გრაუბიუნდენის მოსახლეობის 59.14-მა პროცენტმა.

2022 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მომხრეები ამბობდნენ, რომ ოლიმპიადის ჩატარებისთვის დახარჯულ თანხას (დაახლოებით 4.55 მილიონი დოლარი) ტურისტების მოზღვავებისა და კანტონში ეკონომიკის აღორძინების წყალობით ამოიღებდნენ.

თავის მხრივ, პროექტის მოწინააღმდეგეები შიშობდნენ, რომ ოლიმპიური ობიექტებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მასშტაბური მშენებლობა სერიოზულ ზიანს მიაყენებდა ალპების ეკოლოგიას.



დავოსში ოლიმპიადა არ იქნება

აქამდე, სანკტ მორიტცმა ორჯერ უმასპინძლა ზამთრის ოლიმპიადას – 1928 და 1948 წლებში, დავოსში კი თამაშები არასოდეს გამართულა. შვეიცარიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, რეფერენდუმის შედეგების კომენტირებისას განაცხადა, რომ იმედგაცრუებულია მოქალაქეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.



# ნუ ჩააბარებთ მედლებს!

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ თხოვნით მიმართა სპორტსმენებს, რომ მათ თავი შეიკავონ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მედლების დაბრუნებისგან. შეგახსენებთ, რომ წარსულის ცნობილი მოჭიდავეები ამ გზით გამოხატავენ პროტესტს 2020 წლის თამაშებზე ჭიდაობის პროგრამიდან ამოღების წინააღმდეგ.

როგორც უკვე ვწერდით, 2000 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა, რუსმა **საგიდ მურთაზალიევმა** და ბულგარეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვალენტინ იორდანოვმა** განაცხადეს, რომ პროტესტის ნიშნად დააბრუნებენ თავიანთ ოქროს მედლებს.

*„ჩვენ ვაფასებთ თქვენს სითამამეს და გვესმის იმედგაცრუება, მაგრამ ოქროს მედლების დაბრუნება კონტრპროდუქტიული გზაა, - წერია ჭიდაობის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე. - თქვენ აუცილებლად უნდა შეინარჩუნოთ საკუთარი მედლები, რადგან ის მძიმე შრომით გაქვთ მოპოვებული“.*

# 2004 წლის ახალი ჩემპიონი

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაასრულა იმ სიტუაციის გამოძიება, რომელიც 2004 წლის ოლიმპიადის დოპინგსინჯების ხელახალი შემოწმებისას წარმოიშვა. ლაპარაკია უროს ტყორცნისა და ბირთვის კვრის ტურნირებზე.




ადამ ნელსონი

შეგახსენებთ, რომ გასული წლის დეკემბერში, სოკ-მა გადაწყვიტა ოლიმპიური ოქრო ჩამოერთმია უკრაინელი **იური ბილონოგისთვის** (ბირთვის კვრა), ვერცხლი - ბელარუსი **ივან ტიხონისთვის** (უროს ტყორცნა) და ბრინჯაო - ბელარუსი **ირინა იატჩენკოსთვის** (ბადროს ტყორცნა). საბოლოოდ, მიიღეს გადაწყვეტილება ამ დისციპლინებში მედლების გადანაწილების შესახებ.

უროს ტყორცნაში ვერცხლის მედალი ერგება თურქ **ეშრეფ აპაქს**, ბრინჯაო - ბელარუს **ვადიმ დევიატკოვსკის**. 2004 წელს, ამ დისციპლინაში ჩემპიონი იაპონელი **კოძი მუროფუსი** გახდა.

ბირთვის კვრაში ოქროს მედლის მფლობელი გახდება ამერიკელი **ადამ ნელსონი**, რომელმაც ათენში იგივე შედეგი აჩვენა, რაც ბელონოგმა - 21,16 მეტრი. ვერცხლი ეკუთვნის დანიელ **იოახიმ ოლსენს**, ბრინჯაო - ესპანელ **მანუელ მარტინესს**.

## ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-რეალი | 104:105 (ო) |
| ოლიმპიაკოსი-ბარსელონა | 77:90 |
| ფენერბაჰჩე-მაკაბი | 85:94 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ცსკა-დინამო | 0:3 |
| სკა-სევერსტალი | 7:4 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-ბისტრიცა | 2:1 |
| კოშიცე-პოპრადი | 2:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლუკო-ილვესი | 2:4 |
| პელიკანსი-კალპა | 4:3 |
| ტაპარა-საიპა | 3:2 |
| ტპს-ჰამეენლინა | 0:4 |
| ესეტი-იუვიასკიულა | 3:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კლადნო-პარდუბიცე | 1:0 |
| ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 2:3 (ო) |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-რაპერსვილი | 3:2 (ო) |
| ბერნი-სერვეტი | 5:6 (ო) |
| კლოტენი-ლანგნაუ | 4:1 |
| ფრიბურგი-ბილი | 3:2 |
| ცუგი-ლუგანო | 2:3 |
| ციურიხი-დავოსი | 0:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| პერი-კუბოტი | 5:7, 7:5, 6:2 |
| ტომიჩი-ბელუჩი | 6:4, 6:3 |
| ტროიცკი-გოფენი | 6:4, 3:6, 4:6 |

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ბეგუ-უოტსონი | 6:2, 6:4 |
| დატე-ვოსკობოევა | 6:4, 3:6, 6:4 |
| სვიტოლინა-ნიკულესკუ | 0:6, 0:6 |
| ჰრადეცკა-თაუნსენდი | 6:3, 6:7, 3:6 |

## TV პროგრამა

**8 მარტი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ბენფიკა-ბორდო.
12:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ტოტენჰემი-ინტერი.
14:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ლევანტე-რუბინი.
16:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ანჟი-ნიუკასლი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
19:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. სტიაუა-ჩელსი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. აუგსბურგი-ნიურნბერგი (LIVE).
01:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. სტიაუა-ჩელსი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ოკლაჰომა.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰანოვერი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ოსპრეი-ტულუზა.
19:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლეიკერსი. 1986-87.
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ოკლაჰომა.
22:50 NBA ACTION.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. X ტური. უნიკახა-პანათინაიკოსი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.
12:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
12:40 სპორტ-NEWS.
13:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.
15:15 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. მაქაბი-ოლიმპიაკოსი.
17:15 სპორტ-NEWS.
19:45 კალათბურთი NBA ფილადელფია-ნიუ იორკი.
21:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 11 | (მოღრუბლულობა) |
| ქუთაისი | 5 | 20 | (მოღრუბლულობა) |
| ბათუმი | 5 | 20 | (მოღრუბლულობა) |
| ფოთი | 4 | 17 | (მოღრუბლულობა) |
| ზუგდიდი | 0 | 19 | (მოღრუბლულობა) |
| გორი | -7 | 12 | (მოღრუბლულობა) |
| თელავი | -2 | 9 | (წვიმა) |
| სიღნაღი | -3 | 8 | (მოღრუბლულობა) |
| გუდაური | -18 | 2 | (მოღრუბლულობა) |
| ბაკურიანი | -13 | 6 | (მოღრუბლულობა) |
| ბორჯომი | -9 | 10 | (მოღრუბლულობა) |
| მესტია | -10 | 6 | (მოღრუბლულობა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1615 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6595 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4879 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3945 |

## მძლეოსნობა



ტია ელებო

# მესამედ წავიდა

სიმაღლეზე ხტომაში 2008 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ტია ელებომ** მესამედ დაასრულა სპორტული კარიერა. ბელგიელმა სპორტსმენმა გადაწყვიტა უფრო მეტი დრო დაუთმოს თავის ორ შვილს. გარდა ამისა, ის აპირებს ითანამშრომლოს ბელგიის მძლეოსნობის ფედერაციასთან და მას ტურნირების ორგანიზებაში დაეხმაროს.

35 წლის ელებო პირველად სპორტიდან 2008 წლის დეკემბერში წავიდა და პირველი შვილი გააჩინა. 2010 წელს ბელგიელი დაბრუნდა, მაგრამ იმავე წლის აგვისტოში ისევ დაასრულა გამოსვლა ორსულობის მიზეზით.

2011 წლის ივნისში ელებომ დაბრუნების შესახებ მორიგი განცხადება გააკეთა. ამ გადაწყვეტილების მთავარი მოტივი ლონდონის ოლიმპიადაზე ტიტულის დაცვა იყო, მაგრამ 2012 წლის თამაშებზე ბელგიელმა მხოლოდ მეხუთე შედეგი აჩვენა.

2008 წლის ოლიმპიადაზე გამარჯვების გარდა, ელებოს ანგარიშზეა ევროპის ჩემპიონის ტიტული 2006 და 2007 წლებში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ორშაბათს** საქართველოში ჩამოვიდა ევროპის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი არვიდას საბონისი. მას ჟურნალისტებიც შევხვდით და არაერთი საინტერესო ამბავი მოვისმინეთ (ვიზიტის მიზანზე აქამდე ვწერდით). ერთ-ერთი ქართულ ჭაჭას ეხებოდა და სპეციალურად „ტაიმლაინის" მკითხველისთვის შემოვინახე. თუმცა მანამდე მათ, ვისაც საბონისი არ გინახავთ, ვიზუალური შთაბეჭდილების შესაქმნელად, ნიკოლოზ დერიუგინის ნათქვამს გაგახსენებთ.
2011 წელს საბასი თბილისს ევრობასკეტის ელჩის სტატუსით ეწვია, თან თავისი ფირმის ეკიპირებაზე ილაპარაკა, რომელიც საქართველოს ნაკრებს უნდა მოერგო (გამოგიტყდებით, ასეთი ლამაზი ფორმა ქართველებს მანამდე არ სცმიათ). ფირმას „220" ჰქვია, ეს ჩემი სიმაღლეაო, - აგვიხსნა არვიდასმა. ეს რომ გაიგო, ჟურნალისტთა შორის მჯდომმა საბონისის მეგობარმა ნიკოლოზ დერიუგინმა ჰკითხა:
- კალათბურთს რომ თამაშობდი, 225 სმ სიმაღლისა იყავი, რაც სიბერე შეგეპარა, სიმაღლეც დაგაკლდა?
საბონისმა ღიმილითვე უპასუხა:
- 220 ვიზუალურად უკეთესად გამოიყურება, თორემ, არც დავბერებულვარ და არც დავდაბლებულვარ.

### ლიტველი ქართველებში

ორი წლის შემდეგ, 2013 წლის 4 მარტს არვიდას საბონისმა გაიხსენა პირველად როგორ გასინჯა ჭაჭის არაყი. არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ეს საქართველოში მოხდა. ყველაფერი კი გამოცდილი ჟურნალისტის, თენგიზ პაჭკორიას შეკითხვას მოჰყვა:
უცხოურ გაზეთში



საბონისი, ფოტოკორესპონდენტი ალექსანდრე კოტორაშვილი და ნიკოლოზ დერიუგინი

# დედამიწა ზედხედში




## TimeLine

ნავიკითხე თქვენი ინტერვიუ, სადაც ამბობდით, რომ ქართველები ყველაზე სტუმართმოყვარენი არიან და მაგალითიც მოიყვანეთ. იქნებ, ეს მაგალითი ჩვენთანაც გაიხსენოთო...

საბონისს გაეღიმა და ხალისით დაიწყო:

*„14-15 წლისა ვიქნებოდი, როცა ლიტველებთან ერთად თბილისში სათამაშოდ ჩამოვედი. არ გვქონდა კვების ტალონები, არადა მატჩის შემდეგ მთელი გუნდი მოშივებული იყო. იოლი წარმოსადგენია, ორ მეტრს აცილებული ჭაბუკები რა მდგომარეობაში ვიქნებოდით.*

*სხვა გზა არ იყო, გადავწყვიტეთ სამ გუნდად გავყოფილიყავით და საშოვარზე წავსულიყავით. ჩემი გუნდი უახლოეს ბინას მიადგა, პირველივე სადარბაზოში შევედით, პირველივე სართულზე, პირველივე ბინის კარზე დავაკაკუნეთ. ოჯახის უფროსმა შეგვიპატიჟა, მისმა მეუღლემ ჩვენი ამბავი რომ გაიგო, სასწრაფოდ კვერცხი შეგვიწვა, სუფრა გააწყო... გემრიელი კერძების გარდა არყითაც გაგვიმასპინძლდნენ. პირველად სწორედ მაშინ დავლიე ჭაჭა... ძალიან ცოტა.*

*დამშვიდობებისას ჩვენმა მასპინძლებმა საჭმელებით ცელოფანის პარკები გაგვივსეს და ისე გამოგვისტუმრეს. კულმინაცია მეტად საინტერესო გამოვიდა - ჩვენს მსგავსად გუნდის ორი განაყოფიც სავსე პარკებით მოვიდა."*

### ქართველი ლიტველებში

გგონიათ, ლიტველები ნაკლებად სტუმართმოყვარენი არიან? თქვენი მონა-მორჩილი 2011 წელს ლიტვაში ევროპის ჩემპიონატის გასაშუქებლად იყო. უკრაინასთან მოგებული მატჩის (ჩვენი ნაკრების მეოთხე თამაში იყო) შემდეგ პირველად მოვახერხე ღამით სუხიშვილების კონცერტზე (11 საათზე იმართებოდა) წასვლა. ე.წ. ქართულ ქუჩაზე მიმავალს ერთი შეზარხოშებული ლიტველი გადამეხვია - ქართველი ხარო? არც GEORGIA მეწერა, არც დროშა მეხატა, უბრალოდ იერის მიხედვით განსაზღვრა ჩემი ეროვნება.

- უკრაინას მოუგეთ და ჯგუფიდანაც გასულები ხართო, - მომილოცა.

- ხვალ ბულგარეთთან თამაში გვაქვს მოსაგები-მეთქი.

- შენ და შენი მეგობარი ერთ ბოთლ წითელ ღვინოზე უნდა დაგპატიჟოთ, - თქვა ვირგილიუსმა და დასძინა, - თან ჩემს ქართულ ისტორიას მოგიყვებითო.

კი ვიუარე, მაგრამ ინტერესმა დამძლია - რას უნდა ნიშნავდეს „ქართული ისტორია"-მეთქი. როგორც აღმოჩნდა, ვირგილიუსი მეუღლესთან ერთად ყოველწლიურად ისვენებს საქართველოში. ცდილობენ შემოდგომით ჩამოვიდნენ, რადგან სწორედ ამ დროსაა რთველი.

- ქართული ტრადიციები მიყვარს, მაგრამ ერთისა ვერაფერი გავიგე: საწნახელში ჩასვლაზე ქალებს უარს რატომ ეუბნებიან? ბევრი ვეცადე, მაგრამ ყურძნის დაწურვის უფლება მაინც ვერ მივიღე, - თქვა ვირგილიუსის მეუღლემ.

მოკლე პასუხი ვერ გამომივიდა, თუმცა, ახლა ეს დიდად საინტერესო აღარაა. ლიტვურ-ქართულ სტუმართმოყვარეობაზე ვლაპარაკობდით. საუბრის დასრულების შემდეგ ვირგილიუსმა ხელი ასწია და გვითხრა:

- მოიცა, საქართველოში რომ ვიყოთ, გადაგვახდევინებდით? - არა. ჰოდა, რადგან ლიტვაში ვართ, დღეს მე ვარ თქვენი მასპინძელი.

### საბასი და მასალსკისი

ერთ რუსულ საიტზე საბონისთან დაკავშირებით ნამდვილი ამბავი ამოვიკითხე.

„კაუნასის „ჟალგირისი" საბჭოეთში იმდენად პოპულარული იყო, რომ 80-იან წლებში ჩამოსხმული არაყი „მასკოვსკაია" ამ გუნდის ფერებში, მწვანედ და ოქროსფრად გააფორმეს.

როგორც ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი ვალდემარას ხომიჩუსი ამბობს, ამ 750-გრამიან ბოთლს საბონისს უწოდებდნენ, ხოლო 250-გრამიანს - მასალსკისს. ეს უკანასკნელიც „ჟალგირისში" თამაშობდა და მინიატიურული კალათბურთელი იყო.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



საბონისი, მიშკინი და ტკაჩენკო

### ანეკდოტი

ორი გოლიათი, არვიდას საბონისი და ვლადიმირ ტკაჩენკო საღამოს სასტუმროში ბრუნდებოდნენ. გზად თითო რკინის ხურდა ფული იპოვნეს, ჯიბეში ჩაიდეს და გზა განაგრძეს.
დილას რომ გამოიღვიძეს, ჯიბეებში კანალიზაციის სარქველები აღმოაჩნდათ.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608